# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ივნისი **შაბათი** 2011

№ 147 (13444) ფასი 80 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

10

55 კგ. კვარცხლბეკი: მარცხნიდან მეორე ოქროს მედალოსანი ივანე მამისაშვილი

## დიალოგზე, ამხანაგურად

### 10 აგვისტოს თემურ ქეცბაია პოლონეთს სხვა რანგით ესტუმრება

2

1997 წლის 11 ოქტომბერი. საქართველო-პოლონეთი 3:0

## ოქრო და ვერცხლი მალტიდან

...თუმცა მარია შარაპოვა ბრძოლას აგრძელებს

## დღეს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაა

### მშვიდად, არაფერი ისეთი: პრეზიდენტს არ ირჩევენ

2

## რუსები ფავორიტებს კარგავენ

16

## ინტერმა გასპერინი დაადასტურა

## Benvenuto all'Inter MISTER GASPERINI



6

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ალმასკომის სხდომა

# ალმასკომიც გუნდია: ზოგი გაამოვა, ზოგი შევა

### ორი ულიცენზიო და სტადიონების სტადია

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის დღევანდელი შემადგენლობა ბოლოჯერ შეიკრიბა. სხდომაზე ფედერაციის დღეს გასამართი ყრილობის რეგლამენტი დაამტკიცეს.

ფედერაციის ლიცენზირების განყოფილების უფროსმა **ბაქარ ჟორდანიამ** თქვა, რომ ფიფასა და უეფას მოთხოვნების შესაბამისად, ლიცენზირების პროცესი გამკაცრდა. მან დაასახელა ის შვიდი კლუბი, რომლებმაც ეროვნული და უეფას ლიცენზიები მიიღეს - „დინამო“, „ზესტაფონი“, „ტორპედო“, „გაგრა“, „ვიტ ჯორჯია“, „სპარტაკი“, „მეტალურგი“. მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის ლიცენზია მიენიჭათ ბოლნისის „სიონს“, მარტვილის „მერანსა“ და ზუგდიდის „ბაიას“, ულიცენზიოდ დარჩნენ გორის „დილა“ და ფოთის „კოლხეთი“. მათ ისევე, როგორც გასულ სეზონში „სამტრედიას“, ხარვეზების დროულად გამოსწორება მოსთხოვეს.

ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და ამ კუთხით დღეს არსებულ მძიმე მდგომარეობაზე ილაპარაკა.

როგორც ცნობილია, ფეხბურთის ფედერაცია ფოთის, ქობულეთისა და გორის სტადიონებზე მოედნის საფრების გამოცვლას გეგმავს. სიჭინავამ აღმასკომის წევრებს აცნობა, რომ "ფაზისზე" საფრის გამოცვლასთან ერთად ფედერაცია ინდივიდუალურ სკამებსაც დაამონტაჟებს, თუ ფოთის მერია და რეგიონის ხელმძღვანელობა ვალდებულებებს შეასრულებენ. მოედანს კი ბერძნული კომპანია მიხედავს, რომელმაც ნაკრების ბაზაზე ჩინებული საფარი დააგო. თუ ფოთის სტადიონზე სამუშაოები ოქტომბრამდე დასრულდება, საქართველოს სუპერთასის მატჩს "ზესტაფონი" და "გაგრა" „ფაზისზე“ გაითამაშებენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა სიჭინავას ამცნეს, რომ ქობულეთის სტადიონის რეკონსტრუქციისთვის თანხა გამოყოფილია და საქმეს მალე შეუდგებიან.

პარადოქსული მდგომარეობა შეიქმნა გორში, სადაც ასევე იგეგმებოდა მოედნის საფრის შეცვლა: "დილას" ხელმძღვანელებს თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის საფარი მოსწონთ და ფედერაციას შესთავაზეს - ეს ასე იყოს და სხვა, ხელოვნურსაფრიანი მოედანი გაგვიკეთეთო. სახელმწიფო კი ფედერაციას თანხას კონკრეტულ საქმეზე აძლევს და ამ შემთხვევაში იმპროვიზაციას არ დაუშვებს. ამიტომ სიჭინავას გორში ჩასვლა და ვითარებაში გარკვევა სურს.

გორის სტადიონი ზვიად სიჭინავას ვერდიქტს ელის

მან გორის სტადიონზე გასახდელებისა და საშხაპეების მდგომარეობაც ახსენა და თქვა, პრობლემების მოგვარებამდე „დილას“ სხვა სტადიონზე თამაში მოუწევსო.

ცნობილი გახდა, რომ ლაგოდეხის ბაზის რეაბილიტაციას თანხის სიმცირე აბრკოლებს და ეს საქმე წლის ბოლომდე ვერ მოესწრება- ფიფა-უეფას მიერ გამოყოფილი სახსრები არასაკმარისია, 2012 წლიდან ზუგდიდში ახალი სტადიონის მშენებლობას კი საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან დააფინანსებენ.

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზეც მინდორს ბერძნული კომპანია ცვლის. ბერძნებმა ფედერაციას მისცეს გარანტია, რომ სამუშაოებს მაქსიმუმ 10 აგვისტომდე დაასრულებენ, 1 სექტემბერს კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევრო 2013-ის შესარჩევ მატჩში ესპანეთს ამ სტადიონზე უმასპინძლებს. ცხადია, აქ სხვა სამუშაოებიც იგეგმება - გასარემონტებელია გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები, პრესლოჟა...

მოედნების უხარისხობის პირობებში ფედერაცია გუნდებს მის ხელთ არსებული მოედნების გამოყენებასაც სთავაზობს. მაგალითად, სანამ ცხინვალის „სპარტაკი“ გორში „ქართლის“ მოედანს მიხედავს, ფედერაცია მზად არის, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისთვის „მიხეილ მესხის“ არენა მიაქირავოს. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** „ლელოს“ უთხრა, რომ გამოუვალი მდგომარეობისას გუნდებს ეროვნული ნაკრების ბაზის 3-ათასკაციანი სტადიონიც დაეთმობათ.

*„გარემონტდება მიხეილ მესხის სტადიონი, „მეტალურგის“, „ვიტ ჯორჯიას“, „ზესტაფონის“, „ტორპედოს“, „დინამოს“ სტადიონები წესრიგშია, მალე მოევლება ფოთის და გორის სტადიონებს და, ფაქტობრივად, სტადიონების პრობლემა მოგვარდება. თუ რომელიმე სტადიონი ლიცენზიას ვერ მიიღებს, გუნდებს ალტერნატივად ფედერაციის კუთვნილ სტადიონებს შევთავაზებთ. გუნდს, რომელიც საკუთარი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნავს, ცხადია, გასვლაზეც კარგ მოედანზე თამაში სურს და მათი ინტერესი გასათვალისწინებელია. სხვა თუ არაფერი, ელემენტარული კომფორტი არავის აწყენს“* - ამბობს არველაძე.

● ეროვნული ნაკრები

1997 წელი. საქართველო-პოლონეთი 3:0

# 10 აგვისტო

## პოლონელებმა ჩვენები დიალოგზე დაპატიჟეს

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, 10 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები პოლონეთს ესტუმრება და ლიუბინის „დიალოგ არენაზე“ ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრება.

ამის შესახებ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქართულ მხარეს ოფიციალური წერილით გუშინ აცნობა.

**თემურ ქეცბაია** თბილისში შეკრებას არ გეგმავს - საქართველოს ეროვნული ნაკრები 8 აგვისტოს პოლონეთში შეიკრიბება. 10 აგვისტოს მატჩი თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება.

● ტორპედო

# კაპიტანი დააბრუნეს, რვიანი გაუშვეს

ქუთაისის „ტორპედომ“ დაადასტურა, რომ 32 წლის მცველ **რევაზ ქემოკლიძესთან** და 31 წლის ნახევარმცველ **დავით ბოლქვაძესთან** კონტრაქტები გაფორმდა. რუსთავის „მეტალურგის“ ყოფილმა წევრებმა ერთწლიან ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი.

გადაწყდა, რომ "ტორპედოს" აღარ დატოვებს კაპიტანი **სევასტი თოდუა** - ის უკვე გუნდში ვარჯიშობს და შეკრებაზეც გაემგზავრა.

გუშინ "ტორპედომ" ურეკში შეკრება დაიწყო, რომელიც 4 ივლისამდე გასტანს. მწვრთნელებმა, **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** საკმაოდ შეცვლილი შემადგენლობა იახლეს:

მეკარეები: **ომარ მიგინეიშვილი, მაქსიმე ქვილითაია**

მცველები: **სევასტი თოდუა, რევაზ ქემოკლიძე, თემურ ფარულავა, გიორგი გურული, დაჩი ფოფხაძე, თენგიზ ჩიკვილაძე, ვაჟა ტაბატაძე, ცოტნე ხარაბაძე, გიორგი კუხიანიძე**

ნახევარმცველები: **დავით დიღმელაშვილი, მიხეილ ჩხარტიშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, გივი იოსელიანი, გიორგი სეთურიძე, გრიგოლ დოლიძე, თორნიკე თარხნიშვილი, დავით კირკიტაძე, დავით ბოლქვაძე**

თავდამსხმელები: **რევაზ გოცირიძე, ნიკა საბანაძე, გიორგი მეგრელაძე.**

გუნდი სეზონის შემდეგ დატოვა და ჯერ კიდევ უცნობია, ჩაირიცხება თუ არა თბილისის "დინამოში" **ნოდარ მაჭავარიანი, ვახტანგ კვარაცხელია** "ალექსანდრიაში" ისინჯება, შეკრებაზე არ წაუყვანიათ **მერაბ გიგაური, გივი ჩხეტიანი, ლევან ბაკურაძე, ნიკა მაისურაძე, ლაშა ქებაძე** და **ლაშა კემუხტაშვილი**. გიგაურსა და კემუხტაშვილს სხვა კლუბებში ივჯარით გაუშვებენ.

"ტორპედოში" დააბრუნეს **მიხეილ ჩხარტიშვილი**, აგრეთვე ხარაგაულის "ჩხერიმელაში" ივჯარით გაშვებული **ცოტნე ხარაბაძე, ვაჟა ტაბატაძე და გიორგი კუხიანიძე**.

ურეკში ქუთაისელები ორ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ - 27 ივნისს ოზურგეთის „მერცხალთან“, 29 ივნისს კი - ლანჩხუთის „გურიასთან“.

"ტორპედოს" ხელმძღვანელები მეორე შეკრებას სლოვენიაში გეგმავენ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

„ლელოს“

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეჭდვითი და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● მეტალურგი

# რაც არ გვინახავს, ორშაბათს ვნახავთ

რამდენიმე კვირაა, რაც რუსთავის "ოლიმპი" "მეტალურგად" ინოდება. უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე ქვემოქართლური კლუბის სახელი უკვე შეცვალეს, ახალი ლოგო კი საზოგადოებას ჯერ არ უნახავს.

კლუბმა სავსებით მართებული გადაწყვეტილება მიიღო და ქართული საფეხბურთო სამყაროს ინფორმირების მიზნით, ორშაბათს პრესკონფერენციას გამართავს, სადაც ახალ ლოგოსთან ერთად ახალ სათამაშო ფორმასა და ვებგვერდს წარმოადგენს. აქამდე რუსთავულ კლუბს ოფიციალური ინტერნეტსაიტი არ ჰქონდა და კარგია, "მეტალურგმა" ამ ხარვეზის გამოსწორებაზე რომ იზრუნა.

გაიმართება პრესკონფერენციაც, რომელზეც მედიის წინაშე "მეტალურგის" გენერალური დირექტორი **თორნიკე მაისურაძე** და პრესსამსახურის უფროსი **შოთა შერმადინი** წარდგებიან და გუნდის სლოვენიურ შეკრებას მიმოიხილავენ. გარდა ამისა, ორშაბათის ღონისძიება "ბანანცთან" წინასამატჩო პრესკონფერენციადაც შეიძლება განვიხილოთ.

რაკი "მეტალურგის" საევროთასო მეტოქე ვახსენეთ, შეგახსენებთ, რომ "ბანანცს" შეკრებები და სპარინგები არ სჭირდება, რადგან სომხეთში გაგანია ჩემპიონატია და დღეს ერევნელები "განძასარს" უმასპინძლებენ.

რაც შეეხება "ზესტაფონიდან" წასული **კახა ალადაშვილის** "მეტალურგში" გადასვლის თაობაზე გავრცელებულ ხმებს, დღესდღეობით ამ ინფორმაციას ფეხბურთელიც უარყოფს და კლუბიც.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ზესტაფონი

# იმერლებმა ახალი ჩოხა შეიკერეს

ახალ სეზონში "ზესტაფონი" ახალი დიზაინისა და სხვა მწარმოებლის ფორმით ითამაშებს. "ნაიკი" არანაკლებ სახელგანთქმულმა კომპანია "პუმამ" შეცვალა, რომელთანაც ფეროელები ადრეც თანამშრომლობდნენ. ჩვენი და კლუბის ქომაგთა აზრით, ახალი ფორმა წინაზე გაცილებით კარგად გამოიყურება. "ზესტაფონმა" ახალი „სამოსელით" პირველად ბუქარესტის "სტიაუასთან" ითამაშა.

ზესტაფონელები ტრადიციული თეთრი და ლურჯი ფორმით ითამაშებენ, მესამე სათადარიგო მაისურა კი, გასული სეზონის მსგავსად, შინდისფერი იქნება. სათამაშოს გარდა, ფეხბურთელებსა და პერსონალს უკვე გადაეცათ სავარჯიშო ფორმები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სავარაუდო ტრანსფერი

# ქვარაცხელია ქვარაცხელიასთან?

საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი **გივი ქვარაცხელია** ამჟამად უგუნდოდაა. 30 წლის ნახევარმცველი ბოლოს თბილისის "დინამოში" თამაშობდა, მაგრამ გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა და აღარ გაუგრძელეს.

როგორც შევიტყვეთ, მას ცხინვალის "სპარტაკში" ინვევენ და შესაძლოა, მოგვარის, **ბადრი კვარაცხელიას** ხელმძღვანელობით ითამაშოს.

*"ცხინვალელებმა კონკრეტული პირობები და კონტრაქტი შემომთავაზეს. პირობებზე ვერ შევთანხმდით, მაგრამ მითხრეს, თუ მოიფიქრებ, აგიყვანთო, მოლაპარაკება კი ჯერ არ დაგვისრულებია"* - გვითხრა ქვარაცხელიამ.

მან უარყო ინფორმაცია, თითქოს გორის "დილაში" ინვევენ: *"გორელთა მთავარ მწვრთნელ გია ცეცაძეს დიდი ხანია ვიცნობ და ჩემი ამბით დაინტერესდა, მაგრამ ეს იყო ჩვენი კერძო საუბარი და არა მოლაპარაკება გუნდთან, კონტრაქტის გაფორმებაზე ჩვენ არ გვილაპარაკია".*

**მერაბ მამულაშვილი**



გივი ქვარაცხელია

● ბაია

# მიდი მოდის გარეშე?

## ზუგდიდური ვინ საით...

გიორგი სომხიშვილი

ზუგდიდის „ბაია" უკვე არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა. **ირაკლი ქობალია** რუსთავის „ოლიმპში" ვარჯიშობს და ამ კლუბს ევროთასზე დაეხმარება, მერე კი კლუბში დაბრუნებას აპირებს.

ჯერ უცნობია მეკარე **გიორგი სომხიშვილის** საკითხი - მას ფოთის „კოლხეთში" იწვევენ, დარჩენას ზუგდიდელებიც სთავაზობენ და არჩევანს მალე გააკეთებს.

აზერბაიჯანში მიიწვიეს 21 წლის თავდამსხმელი **ირაკლი ეხვაია**, მაგრამ მან ვეტერანთათვის საოცნებო ტრანსფერის გზაზე დადგომა ჯერ ნაადრევად მიიჩნია.

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „გაგრაში" ვარჯიშობს 18 წლის ნიჭიერი თავდამსხმელი **მურთაზ ჩანგელია**, რომელიც ჭაბუკთა ლიგებსა და დუბლშემადგენლობებში "გოლის მანქანა" იყო.

თავად განსაჯეთ: 2009-10 წლების სეზონში ჭაბუკთა ლიგაში 44 გოლი გაიტანა, „ბაიას" დუბლებშიც ათამაშებდნენ და გუნდს 12 გოლით შეეწია. დასრულებულ სეზონში კი "ბაიას" დუბლშემადგენლობაში 21 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ჩანგელიამ „გაგრას" შემადგენლობაშიც მოასწრო თავის გამოჩენა: პირველივე საკონტროლო შეხვედრაში თენგიზ სულაქველიძის აკადემიასთან გაიტანა.

**მერაბ მამულაშვილი**

● დინამო

# რომელ პატარას ეპატარავება თავი. არც ორპეის

თავდაპირველად ცნობილი იყო, რომ ევროპის ლიგაზე თბილისის "დინამოს" მეტოქე "მილსამი" ქართველებს კიშინიოვში უმასპინძლებდა, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ კლუბი საკუთარი სტადიონის ევროსტანდარტებში მოქცევას ასწრებს და "დინამოს" მშობლიურ ქალაქ ორჰეიში დაუხვდება.

"მილსამის" ხელმძღვანელობას არენის მინი-რეკონსტრუქცია ორი კვირის წინ დაუწყია და ახლაღა გაირკვა, რომ პროცესის დროულად დასრულება შესაძლებელია. უეფა "მილსამის" საკუთარ ქალაქში თამაშის უფლებას მხოლოდ ევროპის ლიგის სანყის ეტაპზე აძლევს.

ორჰეი პატარა, 30-ათასიანი ქალაქია, სტადიონი კი 2 500 ადამიანს იტევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



● ფოტო კომენტარით

# რას უყურებს ჯანო ანანიძე ფოტოაპარატით, არ ვიცით, ან ჯერ რა საინტერესოა. მთავარი ისაა, რომ მას უყურებს მთელი საქართველო - ის ხომ ჩვენი იმედია:

# ბიჭი, რომელიც სხვებზე მეტს შეძლებს!



## ქართული ფეხბურთი

● საფეხბურთო სკოლები

# კატასტროფა

## კიდევ კარგად იზრდებიან. 144-დან მხოლოდ 20?!

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მალე საფეხბურთო სკოლებს კატეგორიები მიენიჭებათ. ფედერაციაში საფეხბურთო სკოლების ლიცენზირების კომისია შარშან ჩამოყალიბდა, საკლუბო ლიცენზირების განყოფილებამ კი შეიმუშავა კატეგორიზაციის დებულებები, რომელიც ყველა დაინტერესებულმა მხარემ მოიწონა და დაამტკიცა.

შექმნილმა ქვეკომისიებმა მუშაობა ორი მიმართულებით დაიწყეს: სფფ-ის ექსპერტები და სკოლების ასოციაციები სამართლებრივ, საკადრო, ფინანსურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებზე მუშაობდნენ, ფეხბურთის სპეციალისტების მონაწილეობით კი სპორტული საკითხების დახვეწა მიმდინარეობდა.

სკოლებთან ურთიერთობა რეგიონული ფედერაციების საშუალებით ხორციელდებოდა, რომელთაც 2011 წლის დასაწყისში რეგიონში არსებული საფეხბურთო სკოლებისთვის გადასაცემი მასალები დაურიგდათ.

ამჟამად ფედერაციასთან სხვადასხვა ფორმით 144 საფეხბურთო სკოლა თანამშრომლობს, თუმცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია მხოლოდ ნაწილმა წარმოადგინა და ისიც დაუხვეწავი სახით.

კომისიის დასკვნა ბავშვთა ფეხბურთში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს:

*"საფეხბურთო სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში გამოვლინდა ძალიან მძიმე სურათი. ეს ეხება სპორტულ, ინფრასტრუქტურულ, სამართლებრივ და საკადრო საკითხებს, რომ არაფერი ვთქვათ ფინანსურ მდგომარეობაზე. სკოლების ეფექტური ორგანიზების შემთხვევაში. არსებული ფინანსებითაც უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი.*

*კომისიას მიაჩნია, რომ, უპირველესად, უნდა მოწესრიგდეს სამართლებრივი საკითხები, კერძოდ, აღიარებენ თუ არა საფეხბურთო სკოლები სფფ-ის იურისდიქციას, რათა შემდგომ სფფ-მ განახორციელოს ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებული ქმედებები.*

*ამ ქმედებებიდან ყველაზე პრიორიტეტულია საბჭოური პერიოდიდან შემორჩენილი არასწორი მოდელის აღმოფხვრა: ზოგადი სპორტული დაწესებულებების განყოფილებების ნაცვლად საფეხბურთო სკოლების ცალკე იურიდიულ პირებად ჩამოყალიბება; ერთი იურიდიული პირის მიერ ცალ-ცალკე დაფუძნებული საფეხბურთო სკოლების და კლუბების გაერთიანება ერთიანი საფეხბურთო პოლიტიკის გასატარებლად, რადგან აბსოლუტურად გაუგებარია, რას უნდა ემსახურებოდეს რეგიონში საფეხბურთო კლუბისგან განცალკევებით ფუნქციონირებადი საფეხბურთო სკოლა, თუ არა ამავე კლუბისთვის კადრების მომზადებას"* - წერია ფედერაციის ცნობაში.

კომისიამ საფეხბურთო სკოლების წინასწარი შეფასება დაიწყო და ვარსკვლავის მინიჭების 20 კანდიდატი გამოავლინა:

„ოლიმპი", "ოლიმპიკი", თ. სულაქველიძის აკადემია, "ველაჯიოს" საფეხბურთო კომპლექსი - "ავაზა", 35-ე საფეხბურთო სკოლა, "მერანი", "მთვარის გლობუსი", "ნორჩი დინამოელი", "ლოკომოტივი", "ამერი" (ყველა - თბილისი), "ჩიხურას" აკადემია (საჩხერე), თერჯოლის სკოლა, ქუთაისის №94 ფეხბურთის სკოლა, "იმედი", "კოლხიდა", "ბაია" (ზუგდიდი), მარტვილის და ფოთის საფეხბურთო სკოლები, "ადელი" (ბათუმი), "ლუკა" (ბათუმი).

თუმცა კომისიის დასკვნაში მითითებულია, რომ სია საბოლოო არ არის და დასახელებული სკოლები მოთხოვნებს ერთნაირად ვერ აკმაყოფილებენ. სკოლებისთვის ვარსკვლავების დამტკიცების პროცესი გაგრძელდება მეორე ეტაპზეც, სექტემბრიდან 2012 წლის მაისამდე.

შემოწმების შედეგად კანდიდატებს შეიძლება მიენიჭოთ პირველი ან უფრო მაღალი კატეგორიის ვარსკვლავი ან პირიქით - გაუუქმდეთ კანდიდატის სტატუსი და დარჩნენ შეფასების გარეშე.

*"გვესმის, რომ სკოლებს არ ულხინთ, მაგრამ ელემენტარული პირობები ყველამ უნდა დააკმაყოფილოს, ჰყავდეთ ლიცენზირებული მწვრთნელები, სტადიონზე აუცილებელია საშხაპეები, გასახდელები. ამავე დროს, აუცილებელია სამედიცინო პუნქტი, ბავშვებს დახმარება დროულად რომ გაუწიონ"* - თქვა ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე**.

საინტერესოა, რომ ლიცენზირების კანდიდატი სკოლებიდან 10 თბილისშია, ხუთი - იმერეთში, სამი - სამეგრელოში და ორი აჭარაში. ანუ არც ერთი სკოლა არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს საქართველოს უმეტეს რეგიონში - შიდა და ქვემო ქართლში, გურიაში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში... გუშინ ამ საკითხზე ფედერაციის აღმასკომზეც ილაპარაკეს.

გამოცანად რჩება, ასეთი კატასტროფული მდგომარეობის შემდეგ კიდევ როგორ იზრდებიან ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მომავალი თაობები. როდესაც 144 მოქმედი სკოლიდან ლიცენზირების მინიმალურ მოთხოვნებს მხოლოდ 20 აკმაყოფილებს, ამ ვითარებას მართლაც შეეფერება სიტყვა "კატასტროფა".

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონი

ოთარ მარცვალაძე

# ვოლგამ, ესაო, ისაო

## ნიჟნელები მარცვალაძეს ძნელად ელევიან

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" პრესსამსახურმა გუშინ-მატკივრები გუშინ გვარიანად დააბნია: დილით დაადასტურეს, რომ შესაძლოა, გუნდის თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე** "კრასნოდარში" გადავიდეს, მაგრამ სიმართლე ბოლომდე მაინც არ გაამხილეს.

*"ეს არის ერთ-ერთი ვარიანტი, საკითხი განხილვის სტადიაშია. თავად ფეხბურთელს ნიჟნი ნოვგოროდში დარჩენა სურს"* - ეწერა კლუბის ვებგვერდზე.

შემდეგ "ვოლგას" პრესსამსახურმა მარცვალაძის გადასვლა საერთოდ უარყო. არადა, ოთარის ტრანსფერის გამოსყიდვაზე კრასნოდარელები ნიჟნინოვგოროდელებს უკვე შეუთანხმდნენ, ფეხბურთელმა კი რუსეთის პრემიერლიგის დებიუტანტ "კრასნოდართან" უკვე პირადი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და საქართველოს ნაკრების მცველის, **ალექსანდრე ამისულაშვილის** თანაგუნდელი გახდა.

26 ივნისს რუსეთის პრემიერლიგაში შესვენება გამოცხადდება და მარცვალაძის ტრანსფერს სწორედ ამის შემდეგ გამოაცხადებენ, ივლისის დასაწყისში კი ის კრასნოდარელებს ავსტრიულ შეკრებაზე გაჰყვება.

"სპორტ-ექსპრესის" ცნობით, 26 წლის მარცვალაძემ კონტრაქტში არსებული "ხვრელები" გამოიყენა, "კრასნოდარმა" კი განსაზღვრული სატრანსფერო თანხა გადაიხადა და ნიჟნინოვგოროდელები იძულებულნი გახდნენ, ქართველი თავდამსხმელი გაეშვათ. არადა, ეს ძალიან არ უნდოდათ, რადგან წლეულს მარცვალაძემ თავი კარგად წარმოაჩინა. რუსულ ინტერნეტ-პორტალ "სპორტს.რუს" შეფასებით, 6.8 საერეიტინგო მაჩვენებლით მარცვალაძე რუსეთის პრემიერლიგის ტოპთავდამსხმელთა ხუთეულში მესამე ადგილზეა, ქულები კი სამატჩო შეფასებების საშუალო არითმეტიკულით იანგარიშება.

მარცვალაძესთან ერთად, "კრასნოდარში" გამოცდილ ჩეხ ფეხბურთელ **მარტინ ირანეკსაც** ელიან. "ბირმინგემიდან" წამოსული 32 წლის ცენტრალური მცველი უკანა ხაზში **ალექსანდრე ამისულაშვილს** შეუწყვილდება.

სხვათა შორის, სეზონის დაწყებამდე "კრასნოდარში" გადასვლას სთავაზობდნენ **გია გრიგალავას**, მაგრამ მან ან უკვე გაშვებულ მთავარ მწვრთნელ **ომარ თეთრაძესთან** და კლუბის სპორტულ დირექტორ **მამუკა ჯუღელთან** "ვოლგაში" დარჩება ამჯობინა.

**მერაბ მამულაშვილი**

# რევიშვილი სიმბოლურშია

ნუკრი რევიშვილი

**ნუკრი რევიშვილი** championat.ru-მ რუსეთის ჩემპიონატის გასული ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მახაჩყალის "ანჟის" მეკარემ სამარის "კრილია სოვეტოვთან" 3:0 მოგებული შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და კარი რამდენჯერმე იხსნა.

"ანგარიშმა არ უნდა დაგვაბნიოს – "ანჟიმ" "კრილიას" არცთუ იოლად მოუგო. "ანჟის" მცველებს მეტოქეთა არაერთი შეტევა გამოეპარათ და რევიშვილს საქმე არ მოჰკლებია, იგი არაერთი ბრწყინვალე „სეივით" გამოირჩა და კარი მშრალად შეინახა. რამდენიმე ეპიზოდი რევიშვილის მონაწილეობით სამეკარეო ოსტატობის ჰიტ-აღლუმებში მოხვედრასაც იმსახურებს", - წერია რევიშვილის დახასიათებაში.

შეგახსენებთ, ნუკრი "ანჟის" გამოკვეთილი პირველი მეკარე წლეულს გახდა. 24 წლის ქართველმა კიპერმა მიმდინარე პრემიერლიგაში 13 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ორი გაუცდა, ისიც ტრავმების გამო. მისი დამსახურებაცაა, რომ დაღესტნურ კლუბს ჩემპიონატში დღეისთვის მხოლოდ 11 ბურთი აქვს მიღებული.

"ანჟის" 15 ტურის შემდეგ 26 ქულა აქვს, მეხუთე ადგილზეა და ერთპიროვნულ ლიდერ ცსკა-ს 5 ქულით ჩამორჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ვიტ ჯორჯია

# როსტიაშვილი ლატვიაში, ვიტ ჯორჯია მცხეთაში

მიხეილ როსტიაშვილი

"ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელი **მიხეილ როსტიაშვილი** ლატვიაშია, სადაც ერთ-ერთ იქაურ კლუბში, ჩვენი ინფორმაციით, რიგის "სკონტოში" ცდილობს მოწყობას. როგორც შევიტყვეთ, მას იქ დარჩენის კარგი შანსი აქვს და რამდენიმე დღეში გაირკვევა, შეძლებს თუ არა 20 წლის როსტიაშვილი ლატვიაში დამკვიდრებას.

შეგახსენებთ, იგი "ვიტ ჯორჯიას" საკუთრებაა, სადაც გასული სეზონის მეორე ნახევარი გაატარა, მანამდე კი ნახევარი წლის განმავლობაში იჯარით ქუთაისის "ტორპედოს" ღირსებაც იცავდა. "ტორპედოში" 3 მატჩი, "ვიტ ჯორჯიაში" 13 მატჩი და 1 გოლი – ასეთია როსტიაშვილის მონაგარი განვლილ ჩემპიონატში.

რაც შეეხება "სკონტოს", რიგელები ბოლო დროს ველარ ბრწყინავენ და ლატვიის ჩემპიონატში, რომელიც გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება, დღეისთვის მეოთხე ადგილზე არიან.

"ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობის პოზიცია კი ტრადიციულია – ფეხბურთელს ახალი კლუბის მოძებნაში ხელს არ შეუშლიან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ლატვიელებმა როსტიაშვილთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტეს, კლუბები ერთმანეთთან, ალბათ, საერთო ენასაც გამონახავენ.

რაც შეეხება "ვიტ ჯორჯიას", **ზურაბ ბერიძე** გუნდს მცხეთის სტადიონზე ავარჯიშებს, 27 ივნისს კი ვეტერინარები პირველ საკონტროლო მატჩს იქვე ჩაატარებენ საჩხერის "ჩიხურასთან".

სავარაუდოდ, "ვიტ ჯორჯია" უცხოურ შეკრებაზეც გაემგზავრება, თუმცა ჯერ არ გადაწყვეტილა, რომელ ქვეყანაში.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ჩელებაძე რუსეთს ეჩვევა

გიორგი ჩელებაძე

გუშინ რუსეთის I დივიზიონის მე-17 ტურში ქართველთა „ხიმკიმ" შინ 1:0 დაამარცხა კრასნოარსკის „ენისეი". **გიორგი ნავალოვსკიმ** (14 თამაში ამ სეზონში) 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ედიკ საჯაია** სათადარიგო იყო და მოედანზე შესვლამ არ მოუწია. ნავალოვსკიმ დაცვის მარცხენა ფრთაზე ითამაშა და რამდენჯერმე სახიფათოდ ჩაერთო „ხიმკის" შეტევებში. ამ თამაშს ესწრებოდა სოჭის „ჟემჩუჟინას" ყოფილი თავკაცი **ოლეგ ვასილენკო**, რომელიც შემდეგი ტურიდან უხელმძღვანელებს „ხიმკის". მოსკოვის გარეუბნის გუნდი 18 ქულით მე-15 ადგილზეა. ამავე ტურში **გიორგი ჩელებაძის** „ფაკელი" შინ 0:3 დამარცხდა „სიბირთან". 19 წლის ქართველი ფორვარდი, რომელიც კარიერაში მეორედ თამაშობდა „ფაკელის" რიგებში, მოედანზე 78-ე წუთზე გამოჩნდა. „ფაკელი" 12 ქულით ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გიორგი ნავალოვსკი

● ინტერვიუ. კევინ გროსკროიტცი

კევინ გროსკროიტცი ახალ სეზონს და ჩემპიონთა ლიგას მოუთმენლად ელოდება

# ისევ გვშია და გვწყურია!

## მესიჯი ბაიერნს: თქვენ რომ გგონიათ, ეგრე არ არის!

**ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბმა ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო, დორტმუნდის „ბორუსია“ კი ჯერ კიდევ ისვენებს. გერმანიის ჩემპიონები ვარჯიშს მომავალ ოთხშაბათს შეუდგებიან, მანამდე კი, „კიკერმა“ „ბორუსიას“ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, ნახევარმცველ კევინ გროსკროიტცს ძალიან საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა. 22 წლის კევინი გასულ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე იყო, ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ საშუალოდ ერთ თამაშში 14 კილომეტრს დარბოდა, რაც ძალიან ბევრია. მიუხედავად ამისა, გროსკროიტცი ამბობს, საკმარისად კარგად დავისვენე და დღესვე შემიძლია ვარჯიშის დაწყება, დაღლილი აღარ ვარო. გარდა ამისა, კევინი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საკუთარ მინუსებსა და პლუსებზე, კონკურენტ ივან პერიშიჩზე, ოცნებებსა და მოსისხლე მტერ „შალკეზე“ საუბრობს. აქვე შეგახსენებთ, რომ გროსკროიტცმა გასულ სეზონში „ბორუსიას“ ძირითად შემადგენლობაში 32 მატჩი ჩაატარა, 8 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასიც გააკეთა. ახლა კი დაპირებული ინტერვიუ:**

**- ჰერ გროსკროიტც, გასული სეზონი თქვენს კარიერაში საუკეთესო იყო. „დორტმუნდში“ შეუცვლელი ფიგურა ხართ, გერმანიის ნაკრებშიც გამოგიძახეს და რაც ყველაზე მთავარია, ჩემპიონი გახდით. ახლა რა მიზნები გაქვთ?**

- მართალია, იდეალური სეზონი გამოვიდა, მაგრამ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი და გასაუმჯობესებელი. მაგალითად, ძალიან მინდა, რომ თავით უკეთ ვთამაშობდე და ბურთს მარცხენა ფეხით უკეთესად ვფლობდე.

**- ახალი სეზონისთვის „ბორუსიამ“ ხორვატი შემტევი ნახევარმცველი, 22 წლის ივან პერიშიჩი შეიძინა, რომელიც უშუალოდ თქვენი კონკურენტია. ხომ არ გეშინიათ, რომ სასტარტოში ადგილს დაკარგავთ?**

- ფაქტი ის არის, რომ უბრძოლველად არაფერს დავთმობ. ჩემი უმთავრესი პლუსი სწორედ ბრძოლისუნარიანობა და ბრძოლის სურვილია. ორი წელია, უმაღლეს დონეზე ვთამაშობ და პროგრესს განვიცდი. თანაც, მე ძალიან ბევრ პოზიციაზე შემიძლია თამაში. ჩემი საყვარელი პოზიცია მარცხენა გარემარბის ადგილია, თუმცა თავისუფლად ვთამაშობ მარჯვენა ფლანგზე, საყრდენი ნახევარმცველის ადგილსა თუ ფლეიმეიქერის პოზიციაზეც.

**- „ბორუსიამ“ ბუნდესლიგაში მართლაც სამაგალითოდ იასპარეზა, ევროპის ლიგაში კი ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახეთ – მიუხედავად იმისა, რომ იქაც კარგად თამაშობდით. ფაქტია, გუნდს ევროსარბიელზე გამოცდილება აკლია, წინ კი ჩემპიონთა ლიგის თავგადასავლები გელით...**

- ევროპის ლიგაში ძალიან არ გაგვიმართლა. თუ გახსოვთ, ათი კაცით „სევილია“ საკუთარ საჯარიმოს მივაჯაჭვეთ და უამრავი საგოლე მომენტი გვქონდა. არა მგონია, რომ ჩემპიონთა ლიგაში თავი შევირცხვინოთ...

**- თქვენ დორტმუნდში დაიბადეთ და გაიზარდეთ, პატარაობიდან „ბორუსიას“ თავგადაკლული ფანი ხართ, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკეს“ ვერ იტანთ. არადა, ახლა სწორედ გელზენკირხენულ კლუბს უნდა მიბაძოთ...**

- „შალკეს“ უნდა მივბაძოთ? კი მაგრამ, რაში? „შალკეს“ მისაბაძი რა გვქირს?

**- გელზენკირხენელებმა ხომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშეს...**

- თუ ამას გულისხმობთ, ნამდვილად გეთანხმებით. ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი მიზანი მინიმუმ ჯგუფური ეტაპის გადალახვაა, მერე კი ვნახოთ და ამასთან, მე ერთი ოცნებაც მაქვს...

**- რა ოცნება?**

- მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში მადრიდის „რეალს“ შევხვდეთ, სადაც მომავალი სეზონიდან ჩემი უახლოესი მეგობარი ნური შაჰინი ითამაშებს. ეს იდეალური მატჩი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ნური „სამეფო გუნდში“ ადგილს დაიმკვიდრებს და „რეალის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდება. მას უდიდესი პოტენციალი აქვს.

**- მიუხხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ მომავალ სეზონში გერმანიის ჩემპიონები გახდებიან. განსაკუთრებით თომას მიულერი აქტიურობს, რომელიც ყველა ინტერვიუში ამბობს, აი, ნახავთ, „ბორუსია“ კონკურენციას ვეღარ გაგვიწევსო.**

- მიუხხენელები ყოველთვის ასე ლაპარაკობენ და არაფერი მიკვირს. პირადად მე მხოლოდ იმაში ვარ დარწმუნებული, რომ „ჰამბურგი“, „ვერდერი“ ან „შტუტგარტი“ მომავალ სეზონს უკვე ძალიან კარგად ჩაატარებენ და მინიმუმ ერთ-ერთი მათგანი გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მთავარი ფავორიტი კი, რა თქმა უნდა, ისევ „ბაიერნია“. მაგრამ იცით, რაშია საქმე? თუ ვინმეს ჰგონია, რომ „დორტმუნდი“ ამ ჩემპიონობით დანაყრდა და ჩვენ მოტივაცია დაგვაკლდება, ძალიან ცდება. ვიცი, რომ მიუხხენელებიც ამას ფიქრობენ და სწორედ მათ გასაგონად მინდა ვთქვა: ჩვენ არ დავნაყრებულვართ! ასე რომ, „ბორუსიას“ ტახტიდან ჩამოგდება ძალიან ძნელი იქნება.

● მსოფლიოს ჩემპიონატი ქალ ფეხბურთელთა შორის

# ხვალ ქალების მუნდიალი იწყება!

## წესით, გერმანიამ ტიტული უნდა შეინარჩუნოს

ხვალ მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება! ეს არის წინადადება, რომელსაც ფეხბურთის გულშემატკივრები მოუთმენლად ველით ხოლმე და რომლის გაგების დროს ყოველთვის გვბურძგლავს. თუმცა ამჯერად არ დაგვბურძგლავს, რადგან საქმე ეხება არა იმ უდიდეს საფეხბურთო ზეიმს, რომელსაც სხვანაირად მუნდიალსაც ვუწოდებთ ხოლმე, არამედ სულ სხვას, რომელსაც ასევე მუნდიალი ჰქვია, მასში ასევე ქვეყნების ეროვნული ნაკრებები მონაწილეობენ, ოღონდ, საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში ფეხბურთს ქალები ითამაშებენ...

ქალთა მუნდიალი არ არის და დიდი შანსია, რომ არასდროს იყოს ისეთი ტურნირი, რომელსაც მოუთმენლად დაველოდებით და თუნდაც იმის მეათედი შემართებით ჩავუჯდებით, როგორც ეს „დიდი“, კაცების მსოფლიოს ჩემპიონატის შემთხვევაში ხდება ხოლმე, მაგრამ ხომ იცით, ყველაფერს დამუღამება უნდა და დაგვერწმუნეთ, ამ „მკვდარი სეზონის“ დროს, როცა ფეხბურთში არაფერი ხდება, გარდა უამრავი სპეკულაციისა და თითო-ოროლა ტრანსფერისა, ქალ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის დამუღამებაც შეიძლება.

ქალი ფეხბურთელები მსოფლიოს თასისთვის ამჯერად გერმანიაში იბრძოლებენ და აქვე ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ ქალთა ფეხბურთში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი სწორედ გერმანიაა. მეტიც: გერმანელებმა ბოლო ორი მუნდიალი მოიგეს და შესაბამისად, მთავარ ფავორიტებად ამჯერადაც სავსებით სამართლიანად მიიჩნევიან. საყოველთაო მოსაზრებით, **სილვია ნაიდის** გუნდს (სწორედ ეს არის ქალთა ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელის სახელი და გვარი) ტიტულის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს – მით უმეტეს, რომ საკუთარ კედლებში თამაშობენ. ეს კი არა, გერმანიაში ამ დღეებში ყველა იმას ლაპარაკობდა, **ბირგიტ პრინცსა** (ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო, გერმანელი ქალი ფეხბურთელი) და კომპანიას უთხრეს, მეტოქეები დიდი ანგარიშით არ დაამარცხოთ, რათა ქალთა ფეხბურთმა პრესტიჟი არ დაკარგოს და ყველამ იმაზე ილაპარაკოს, რომ დონე ამაღლდაო.

ქალთა ფეხბურთში გრანდ ქვეყნებად გერმანია, ბრაზილია და აშშ მიიჩნევიან. რატომ? მოდით, ქალთა მუნდიალის ისტორიას გადავხედოთ და მიხვდებით, რატომაც.

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი მანდილოსნებს შორის 1991 წელს ჩინეთში ჩატარდა და მისი გამარჯვებული აშშ გახდა (ფინალი: აშშ-ნორვეგია 2:1), მესამე ადგილი კი შვედეთმა დაიკავა. მეორე მუნდიალს, ოთხი წლის შემდეგ, შვედეთმა უმასპინძლა, მსოფლიოს ჩემპიონი კი ნორვეგია გახდა (ფინალი: ნორვეგია-გერმანია 2:0), მესამე ადგილზე აშშ გავიდა. შემდეგ, 1999 წელს, ქალთა მუნდიალი აშშ-ში გაიმართა და ამერიკელებმა თასი არავის დაუთმეს (ფინალი: გერმანია-ჩინეთი 5:4 პენალტების სერიაში), მესამეადგილოსანი კი ბრაზილია იყო. 2003 წელს ქალთა მუნდიალისთვის ჩინეთს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ცნობილი ეპიდემიის გამო, მსოფლიოს ჩემპიონატი ისევ ამერიკაში ჩაატარეს, სადაც ამჯერად უკვე გერმანიამ იმარჯვა (ფინალი: გერმანია-შვედეთი 2:1), მესამე ადგილი კი ამერიკელებმა დაიკავეს. 2007 წელს (ჩინეთში) გერმანიამ ზედიზედ მეორედ მოიგო ქალთა მუნდიალი (ფინალი: გერმანია-ბრაზილია 2:0), ხოლო მესამე ადგილი ისევ აშშ-ს დარჩა.

ასე რომ, ორგზის ჩემპიონი გერმანია სუპერგრანდი და ჩემპიონობის ნომერ პირველი კანდიდატია. გერმანელებთან ერთად, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ამერიკას, აშშ-ს, შვედეთს და ნორვეგიასაც შეუძლიათ. საინტერესო გუნდი ჰყავს იაპონიასაც და გამორიცხული არც ინგლისისა და საფრანგეთისგანაა რამე. თუკი გერმანიას ბირგიტ პრინცი ჰყავს (**ალექსანდრა პოპიც**), ბრაზილია მსოფლიოს თასისთვის **მარტასთან** ერთად იბრძოლებს, ამ უკანასკნელს კი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება.

ქვემოთ კალენდარს გაეცნობით, ჩვენ კი იმასღა დავძენთ, რომ ქალების მუნდიალს რეგულარულად, ოპერატიულ რეჟიმში გავაშუქებთ. თქვენ კი, დაგვერწმუნეთ, თუ მოინდომებთ, დაუმუღამებთ კიდეც...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბრაზილიელი მარტა

### კალენდარი

**A ჯგუფი: გერმანია, საფრანგეთი, ნიგერია, კანადა**

**26 ივნისი. სინზჰაიმი.** ნიგერია-საფრანგეთი
**26 ივნისი. ბერლინი.** გერმანია-კანადა
**30 ივნისი. ბოხუმი.** კანადა-საფრანგეთი
**30 ივნისი. ფრანკფურტი.** გერმანია-ნიგერია
**5 ივლისი. მიონხენგლადბახი.** საფრანგეთი-გერმანია
**5 ივლისი. დრეზდენი.** კანადა-ნიგერია

**B ჯგუფი: ინგლისი, იაპონია, ახ. ზელანდია, მექსიკა**

**27 ივნისი. ბოხუმი.** იაპონია-ახალი ზელანდია
**27 ივნისი. ვოლფსბურგი.** მექსიკა-ინგლისი
**1 ივლისი. ლევერკუზენი.** იაპონია-მექსიკა
**1 ივლისი. დრეზდენი.** ახ. ზელანდია-ინგლისი
**5 ივლისი. ზინსჰაიმი.** ახალი ზელანდია-მექსიკა
**5 ივლისი. აუგსბურგი.** ინგლისი-იაპონია

**C ჯგუფი: აშშ, შვედეთი, კოლუმბია, ჩრ. კორეა**

**28 ივნისი. ლევერკუზენი.** კოლუმბია-შვედეთი
**28 ივნისი. დრეზდენი.** აშშ-ჩრ. კორეა
**2 ივლისი. აუგსბურგი.** ჩრ. კორეა-შვედეთი
**2 ივლისი. ზინსჰაიმი.** აშშ-კოლუმბია
**6 ივლისი. ბოხუმი.** ჩრ. კორეა-კოლუმბია
**6 ივლისი. ვოლფსბურგი.** შვედეთი-აშშ

**D ჯგუფი: ბრაზილია, ნორვეგია, ავსტრალია, გვინეა**

**29 ივნისი. აუგსბურგი.** ნორვეგია-გვინეა
**29 ივნისი. მიონხენგლად.** ბრაზილია-ავსტრალია
**3 ივლისი. ბოხუმი.** ავსტრალია-გვინეა
**3 ივლისი. ვოლფსბურგი.** ბრაზილია-ნორვეგია
**6 ივლისი. ფრანკფურტი.** გვინეა-ბრაზილია
**6 ივლისი. ლევერკუზენი.** ავსტრალია-ნორვეგია

### 1/4 ფინალი

**9 ივლისი. ლევერკუზენი.** B1-A2
**9 ივლისი. ვოლფსბურგი.** A1-B2
**10 ივლისი. აუგსბურგი.** C1-D2
**10 ივლისი. დრეზდენი.** D1-ჩ2

### 1/2 ფინალი

13 ივლისი. მიონხენგლადბახი. ლევერკუზენის გამარჯვებული-დრეზდენის გამარჯვებული
13 ივლისი. ფრანკფურტი. ვოლფსბურგის გამარჯვებული-აუგსბურგის გამარჯვებული
მატჩი მესამე ადგილისთვის: 16 ივლისი. ზინსჰაიმი
ფინალი: 17 ივლისი. ფრანკფურტი

● იუვენტუსი

# ანიელებმა კრედიტი აიღეს

## 60-70 მილიონი ტრანსფერებისთვის

ანდრეა ანიელი

გუშინ, "გაძეტა დელო სპორტმა" "იუვენტუსის" გულშემატკივრებისთვის სასიხარულო ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც კლუბის მესვეურებმა ტრანსფერებისთვის 60-70 მილიონი ევრო გადადეს. ბევრს გაუკვირდა ეს ცნობა, რადგან ტურინულ გრანდში არც არაბული ინვესტიციები ჩადებულა, არც რუსული და არც ამერიკული – მაშინ, საიდან ამდენი ფული? – სწორედ ამ საკითხზე ისაუბრა ჟურნალისტთან კლუბის პრეზიდენტმა **ანდრეა ანიელიმ**:

*"ევროტურნირებს მიღმა დარჩენამ ფინანსური თვალსაზრისით საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო, ამიტომ, თანხების მოზიდვა იყო საჭირო. კომპანია EXOR-მა, რომელიც კლუბის საკონტროლო პაკეტს ფლობს, კრედიტის სახით 120 მილიონი ევრო აიღო, რომელიც მთლიანად "იუვენტუსს" მოხმარდება. ბუნებრივია, რომ მთელი ეს თანხა მხოლოდ ტრანსფერებში არ დაიხარჯება, მაგრამ დიდი ნაწილი სწორედ აქეთკენ იქნება მიმართული. ანტონიო კონტესთან უახლოეს დღეებში მექნება შეხვედრა და ყველაფერზე დეტალურად დავილაპარაკებთ – ვიცი, რომ კმაყოფილია იმ ტრანსფერებით, რომლებიც უკვე გავჩარხეთ, თუმცა ეს რომ საკმარისი არაა, ყველამ კარგად ვიცით".*

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ამ 120 მილიონიდან მინიმუმ 60 სწორედ ფეხბურთელთა ტრანსფერებზე დაიხარჯება. ვერ ვიტყვით, რომ ამ თანხით ხუთ-ექვს ექსტრაკლასის ფეხბურთელს გადაიბირებ, მაგრამ გუნდის გვარიანად გაძლიერებას კი ნამდვილად ეყოფა. პრესაში არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, კიდევ ვინ უნდა დაიმატონ ტურინელებმა – აქამდე გაჩარხული ტრანსფერებიდან სამი უნდა გამოვარჩიოთ: **რეტო ციგლერმა** დაცვა გააძლიერა, **ანდრეა პირლომ** და **მიკელე პაციენცამ** კი ნახევარდაცვა. უახლოეს დღეებში, ტურინულ გრანდში **შტეფან ლიხტშტაინერიც** ჩაირიცხება, რომელიც ამპლუით მცველი გახლავთ. ანუ, შუა და უკანა ხაზი ასე თუ ისე გაძლიერებულია, ჯერი კი წესით შეტევაზე უნდა მიდგეს. შესაძლოა, ტურინელებმა ყველაზე გემრიელი ლუკმა, ან გნებავთ ლუკმები სწორედ ბოლოსთვის მოიტოვეს და მალე კიდევ უფრო ხმაურიანი ტრანსფერების შესახებ შევიტყობთ.

იტალიური პრესა სულ უფრო და უფრო აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ "იუვენტუსის" მესვეურები "პორტუს" თავდამსხმელით **რადამელ ფალკაოთი** არიან დაინტერესებულნი. 25 წლის კოლუმბიელმა თავდამსხმელმა გასული სეზონი ფანტასტიკურად ჩაატარა და ის, რომ მისმა გუნდმა ყველა ფრონტზე გაიმარჯვა, ამაში ლომის წილი დაიდო. ფალკაოს მიმართ ევროპული ფეხბურთის არაერთი გრანდი იჩენს ინტერესს და მათთან კონკურენციის გაწევა იოლი არ იქნება. მსურველთა შორის გახლავთ ლონდონის "ჩელსიც", რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინ „პორტუს" უკვე ექსთავკაცი **ანდრე ვილას-ბოასი** ჩაუდგა სათავეში. ესეც რომ არ იყოს, პორტუგალიური ფეხბურთის გრანდის მესვეურები წამყვან ფირვარდთან განშორებას არ აპირებენ, რადგან ვილას-ბოასის გაშვებით ერთი არაპოპულარული ნაბიჯი უკვე გადადგეს - თუ მას ფალკაოსაც მიაყოლებენ, შესაძლოა გულშემატკივართა აგრესიას შეენირონ კიდეც. მიუხედავად ამისა, "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*"ფალკაო ის ფეხბურთელია, რომელსაც დაუფიქრებლად გავუფორმებდი ხელშეკრულებას. ან რა ფიქრი უნდა, როდესაც გასულ სეზონში "პორტუს" ყველაფერი მოაგებინა და ურიცხვი რაოდენობის გოლი გაიტანა. მისით მართლაც ვართ დაინტერესებულნი და უახლოეს მომავალში მოლაპარაკების აქტიურ ფაზაში ჩავერთვებით. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან ვიცი, რომ რადამელი "იუვენტუსის" მიმართ დიდი სიმპათიით არის განწყობილი. დარწმუნებული ვარ, რომ საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება. რა შეიძლება იყოს მისი სავარაუდო ფასი? – ალბათ 25-30 მილიონი ევრო, თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუკი გარიგებაში სხვა ფეხბურთელი არ იქნება ჩართული. ჩვენ ერთი დიდი პლუსი გვაქვს, არაერთი ისეთი მოთამაშე გვყავს, რომლებიც ფალკაოს სანაცვლოდ შეგვიძლია "პორტუს" მესვეურებს შევთავაზოთ. უფრო მეტად დღეს ვერ დავკონკრეტდები, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".*

**ლაშა წიკლაური**

● ბაიერნი

# პროგრესი ბოატენგის საქმეში

## ლუსიო, მილიტო და ალექსი ამ ეტაპზე არააქტუალურია

გერმანული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, **ჟერომ ბოატენგის** მოსალოდნელი ტრანსფერი „მანჩესტერ სიტიდან" „ბაიერნში" რეალური გახდა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რეკორდმაისტერი და „სიტი" მოლაპარაკებებს აგრძელებენ და შეთანხმებასთან ახლოს არიან.

დღესდღეობით ბავარიული გრანდისთვის ყველაზე პრობლემატური და შესაბამისად აქტუალური საკითხი დაცვის ცენტრი და მისი გაძლიერებაა. „ლელოს" მკითხველები ინფორმირებულები არიან იმის შესახებ, რომ „ბაიერნს" „სიტისა" და გერმანიის ნაკრების მცველ ჟერომ ბოატენგის ყიდვა უნდა, მაგრამ ამას წინათ გაცნობეთ, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მართალია, მიუნხენელები ბოატენგს უკვე შეუთანხმდნენ და ამ უკანასკნელმაც თქვა, „ბაიერნში" გადასვლა ძალიან მინდაო, მაგრამ „ბაიერნის" ხელმძღვანელებს მანჩესტერელ კოლეგებთან სატრანსფერო თანხის შესახებ მოლაპარაკებები გაუგრძელდათ. ბოლოს საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „ბაიერნს" ალტერნატიულ კანდიდატებზე უნდა გადაეტანა ყურადღება.

ახლა ირკვევა, რომ „სიტიმ" 22 წლის ბოატენგის (13 მატჩი გერმანიის ნაკრებში) სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო მოითხოვა, რაც ბავარიელებს კატასტროფულად ეძვირათ. „მანჩესტერ სიტიმ" ჟერომ ბოატენგში შარშან 12.5 მილიონი გადაიხადა და მას მერე გერმანელმა მცველმა „სიტის" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 16 მატჩი (38-დან) ჩაატარა, რის გამოც მისი ფასის გაორმაგება არალოგიკურია.

„კიკერის" ინფორმაციით, „სიტიმ" ბოატენგის შემცვლელის ძებნა დაიწყო და როგორც კი იპოვის, ჟერომს „ბაიერნს" შედარებით იაფად დაუთმობს. შეგახსენებთ, რომ ბოატენგი ბავარიელებს უკვე მოურიგდა ოთხწლიან კონტრაქტზე.

ალტერნატივებზე კი მიუნხენელები ახლა მხოლოდ ზერელედ ფიქრობენ. ამ დღეებში ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ „ბაიერნს" ბრაზილიელი **ლუსიოს** დაბრუნება უნდოდა. ეს უკანასკნელი რეკორდმაისტერის ღირსებას 2004-დან 2009 წლამდე იცავდა, ახლა „ინტერშია" და ამას წინათ თქვა, რაკი **ლუის ვან გაალი** „ბაიერნის" მწვრთნელი აღარ არის, მიუნხენში დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდიო. მაგრამ „კიკერი" წერს, რომ 33 წლის ბრაზილიელმა მცველმა „ბაიერნის" შეფებს ზედმეტად მაღალი ხელფასი მოსთხოვა. ამბობდნენ, „ბაიერნს" "ჩელსის" მცველი **ალექსი** და ბარსელონელი **გაბრიელ მილიტოც** აინტერესებსო - ეს ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

● ინტერი

# გასპერინი ინტერის მწვრთნელია



ჯანპიერო გასპერინი

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ „ინტერის" მთავარი მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი **ჯანპიერო გასპერინი** გახლდათ - და აი, დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 53 წლის სპეციალისტი „ნერაძურის" ახალი მთავარი მწვრთნელია.

„გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, რომ **მასიმო მორატისა** და მწვრთნელს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და უახლოეს პერიოდში გასპერინი ერთნლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს. ერთი წელი უფრო გამოსაცდელ ვადას გავს და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ჯანპიერო სახელმოხვეჭილ მწვრთნელთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნება.

გასპერინი საშუალო დონის იტალიელი ფეხბურთელი გახლდათ - ყველაზე მეტი შეხვედრა (160) „პესკარაში" აქვს ჩატარებული, სადაც ხუთი წელი გაატარა (1985-1990); მეტ-ნაკლები წარმატებით ითამაშა „პაკლერმოში", „პისტოიეზეში", „სალერნიტანაში" და ნახევრადსამოყვარულო გუნდ „ვის პევაროში".

რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, 1994-2003 წლებში „იუვენტუსის" ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში, შედეგი სამი სეზონი „კროტონეს" მთავარი მწვრთნელის რანგში გაატარა, რასაც „ჯენოას' მესვეურთა შეთავაზება მოჰყვა - გენუურ გუნდში ოთხი წელი იმუშავა, სერია A-ს საგზური მოაპოვებინა და ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად აქცია. მომდევნო სეზონიდან გასპერინი „ინტერს" განვრთნის და ვნახოთ, რა ბედს ეწევა მის ხელში მილანური გრანდი.

**ლაშა წიკლაური**

● ნაპოლი

# კრიშიტოს უარი ქვეტექსტით

## და დონადელის თანხმობა

**მიკელე პაციენცას** "იუვენტუსში" გადაბარგების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ "ნაპოლის" მესვეურები კვალიფიციური შუახაზელის გადაბირებას შეეცდებოდნენ. ასე აგიხდეთ ყველაფერი – გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეაპოლურ კლუბთან სამწლიანი ხელშეკრულება **მარკო დონადელმა** გააფორმა. 28 წლის ნახევარმცველი "მილანის" აღზრდილია, უფრო შემოქმედია, მაგრამ ჩაშლაც კარგად ეხერხება – გასული სეზონი "ფიორენტინაში" გაატარა, ფლორენციულ კლუბთან ხელშეკრულების ვადა ამოეწურა და სამხრეთს თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურა. ანუ, **აურელიო დე ლაურენტისს** მასში ერთი ცენტიც არ გადაუხდია – ამად იყო, რომ დონადელის დამატებაზე საგანგებო კომენტარი ბედნიერი სახით გააკეთა:

*"ძალიან გახარებული ვარ, რადგან ყველანაირი საფასურის გარეშე მაღალი კლასის ფეხბურთელი დავიმატეთ. დონადელი ცენტრს კიდევ უფრო შეკრავს და გააძლიერებს როგორც შეტევით, ისე დაცვით ფაზებს. სწორედ ისეთი ნახევარმცველები მომწონს, რომლებიც თანაბარი წარმატებით ასპარეზობენ შეტევასა და დაცვაში. თუმცა მთავარი ისაა, თუ რა მოსწონს ვალტერ მაძარის და მინდა გითხრათ, რომ ისიც ძალიან კმაყოფილია. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან თითოეული ტრანსფერი მასთან შეთანხმებით კეთდება. გუნდს მთავარი მწვრთნელი აკომპლექტებს, "ნაპოლიში" მუდამ ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც".*

სამაგიეროდ, აურელიო დე ლაურენტისს მეორე ფრონტზე მოეცარა ხელი და **დომენიკო კრიშიტოს** გადაბირება ვერ შეძლო. "ნაპოლისა" და "ჯენოას" მესვეურებს შორის დიდხანს მიმდინარეობდა მოლაპარაკების პროცესი და თითქოს შეთანხმებით უნდა დასრულებულიყო, როდესაც უარი თავად ფეხბურთელმა განაცხადა. კრიშიტოს ასეთი პოზიცია ყველას გაუკვირდა, რადგან იქამდე არაერთხელ განუცხადებია, რომ სიამოვნებით მოირგებდა ნეაპოლური გუნდის მაისურს.

იტალიელი ჟურნალისტების ვერსიით, ძაღლის თავი მის "ინტერში" შესაძლო გადასვლაშია დამარხული. მას შემდეგ, რაც "ნერაძურის" მთავარი მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად **ჯანპიერო გასპერინი** იქცა, კრიშიტომ "ნაპოლისთან" მოლაპარაკების პროცესი ჯერ შეაფერხა, შემდეგ კი ჩიხში შეიყვანა. როგორც ჩანს, გასპერინი ყოფილ შეგირდს "ინტერში" გადაყვანას შეეპირდა და გენუურ-ნეაპოლური გარიგებაც ამად ჩაიშალა. თუ ეს მართლაც ასეა, გასპერინის „ინტერის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნის საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი ყოფილა.

**ლაშა წიკლაური**

● ამბები

## როცა წაგება უდრის წამებას

ასოციაციამ გავეშებულმა გულშემატკივარმა სტადიონ "მონუმენტალის" შტურმით აღება მოინდომა. ამ არენაზე, როგორც ნესი, "რივერ პლეიტი" ვარჯიშობს ხოლმე. სწორედ ასე სურდათ მათ თავიანთი უკმაყოფილების გამოხატვა იმ გუნდის მიმართ, ვინც რეალური საფრთხის წინაშე დგას, 110-ნლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად დაემშვიდობოს ელიტურ ლიგას. ფანები ერთნაირად შეურაცხყოფდნენ როგორც ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს, ასევე ხელმძღვანელობასაც. ხალხი მხოლოდ მას მერე დაშოშმინდა, რაც პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები გამოჩნდნენ. სწორედ ამ ფაქტის ნყალობით გადაურჩა არგენტინის დედაქალაქი კიდევ უფრო სერიოზულ უსიამოვნებებს. კლუბის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, რომ მთელი გუნდი სავარჯიშოდ ქალაქგარეთ გაეხიზნა, თუმცა ფანებმა იქაც მიაგნეს და ცხვირწინ აუფრიალეს ბანერი "მოკალი ან მოკვდი". იმისთვის, რომ უმაღლესში ადგილი შეინარჩუნოს, "რივერს" "ბელგრანოსთან" ორბურთიანი სხვაობის აღმოფხვრა მართებს. თამაში კვირას გაიმართება.

## რომანი ჰარი სენ-ჟერმენთან

ჰსუ-ს პრეზიდენტმა **რობინ ლეპრუმ** უკვე საბოლოოდ დაადასტურა, რომ **ლეონარდოს** ამ კლუბის სპორტულ დირექტორად დანიშვნა გადაწყვეტილი ამბავია. მიუხედავად პრესის ოპტიმისტური განწყობისა, რამდენიმე დღის წინ ბატონი ლეპრუ ამგვარი განცხადებების გაკეთებისგანაც კი თავს იკავებდა. მან იმედი გამოთქვა, რომ ლეონარდო კლუბთან ადაპტაციას მაქსიმალურად მალე გაივლის.

პარიზულ კლუბზე წერას კი მოკლე ინფორმაციით მოვრჩებით, კლუბმა "ტოტენჰემს" ოფიციალურად შესთავაზა 26 წლის ჰონდურასელი **ვილსონ პალასიოსის** ტრანსფერზე მოლაპარაკებების დაწყება.

## ხოაკინი მალაგაში

ერთ დროს ესპანური ფეხბურთის იმედად შერაცხილი **ხოაკინ სანჩესი**, ვისშიც "რეალი" "ბეტისს" თავის დროზე 45 მილიონს სთავაზობდა, "ვალენსიიდან" "მალაგაში" 4 მილიონად გადავიდა. მხარეებმა ხელშეკრულება 3 წლით დადეს. შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფეხბურთელს უკვე 4 წელია ესპანეთის ნაკრებში აღარ ინვევენ. მისი, როგორც ფეხბურთელის, დეგრადაციის მიზეზები, რა თქმა უნდა, ბანალურია - გაუთავებელი ტრავმები.

**ლევან ბიბილაშვილი**



ხოაკინ სანჩესი

ვალენსია | სეზონის სტატისტიკური შეჯამება | ვილიარეალი

# ისინი ითამაშებენ ჩემპიონთა ლიგაზე

## გრანდების შემდეგ ყველაზე მაგრები

გახარებული ვალენსია და მესტალია

თავიდან ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის სეზონის სტატისტიკური ანალიზი შემოგთავაზეთ. „ბარსელონას“ და „რეალის“ შემდეგ სხვა გუნდებს ცალ-ცალკე აღარ მიმოვიხილავთ - მათ სტატისტიკას წყვილად შემოგთავაზებთ. მაშასადამე, დღეს მესამეადგილოსანი „ვალენსიის“ და მე-4 ადგილზე გასული „ვილიარეალის“ ჯერია. ამ გუნდებმა ესპანეთი (ზემოთ ნახსენებ გრანდებთან ერთად) ჩემპიონთა ლიგაზე უნდა წარადგინონ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3. ვალენსია | 38 | 21 | 8 | 9 | 64-44 | 71 |
| 4. ვილიარეალი | 38 | 18 | 8 | 12 | 54-44 | 62 |

შეგახსენებთ, რომ ორივე კლუბი ვალენსიის მხარეს წარადგენს, ბოლო სეზონში სულ 4 გუნდი იყო ამ მხარიდან (ამ ორს პლუს „ლევანტე“ და „ერკულესი“), მაგრამ ალიკანტეს „ერკულესი“ პრიმერადივიზიონს დაემშვიდობა. იყო შანსი, ვალენსიის კიდევ ერთ წარმომადგენელს შეევსო პრიმერა, მაგრამ „ელჩე“ პლეი ოფის ფინალში ანდალუსიურ „გრანადასთან“ დამარცხდა.

### 1 000 წვრილმანი

**ვალენსია**

**შინ**: „ღამურები“ ყველაზე დიდი ანგარიშით სწორედ „ვილიარეალს“ გაუსწორდნენ - 5:0 მოუგეს; ყველაზე უხვგოლიანი მატჩი „რეალთან“ ითამაშეს, რომელიც 3:6 წააგეს, ეს იყო გუნდის ყველაზე დიდი მარცხიც. უნაი ემერიმ 19-დან 12-ჯერ 4-2-3-1 სათამაშო სქემას მიმართა; მეტოქის კარისკენ ყველაზე მეტჯერ „სევილიასთან“ მატჩში დაარტყეს (21), არადა, ეს შეხვედრა 0:1 წააგეს; ყველაზე მეტი ზუსტი დარტყმა „ვილიარეალთან“ განახორციელეს - 10; „ბარსელონამ“ „ღამურებს“ კარისკენ მხოლოდ 6-ჯერ დაარტყმევინა, რომელთაგანაც ზუსტი მხოლოდ 1 იყო - ორივე ეს მაჩვენებელი უარესია სეზონში; ყველაზე მეტჯერ გუნდი „ხეტაფესთან“ დაპირისპირებაში დაჯარიმდა (22), ყველაზე აკურატული კი „რეალთან“ შეხვედრაში იყო (6); 13-13-ჯერ მოანოდა კუთხური „ატლეტიკოსთან“ და „ვილიარეალთან“, 3-ჯერ „დეპორტივოსთან“; იმავე „დეპორტივოსთან“ ვალენსიელი ფორვარდები 8-ჯერ მოხვდნენ თამაშგარე მდგომარეობაში; ბურთის ფლობის პროცენტი საუკეთესო „ლევანტესთან“ (0:0) ჰქონდათ - 72%, უარესი - რა თქმა უნდა, „ბარსელონასთან“ - 38%; ყველაზე მეტი მაყურებელი „მესტალიაზე“ „ბარსასთან“ მატჩზე მივიდა - 50,8 ათასი, ნაკლები - „ესპანიოლთან“ და „რეალ სოსიედადთან“ (30-30 ათასი).

**სტუმრად**: ყველაზე დიდი ანგარიშით „ალმერიას“ მოუგეს - 3:0, ყველაზე მეტი გოლი „ხეტაფესთან“ გავიდა (6), ყველაზე დიდი ანგარიშით „სარაგოსასთან“ წააგეს - 0:4; 4-2-3-1 სქემა 11-ჯერ გამოიყენეს; ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ - „მალაგა“ (21), ნაკლები - „სარაგოსა“ - 2; ზუსტი დარტყმები: მეტი „მალაგა“ (8), ნაკლები „სარაგოსა“ და „ოსასუნა“ 1-1; ყველაზე მეტი ჯარიმა - „ვილიარეალი“ (28), ნაკლები - „ბარსელონა“ (9); კუთხური 10 „მალაგასთან“, 1 „სევილიასთან“; თამაშგარე: 5 „რასინგთან“, „სპორტინგთან“ და „დეპორტივოსთან“, არც ერთი „რეალ სოსიედადთან“ და „ლევანტესთან“; ბურთის ფლობა „რასინგი“ - 65%, „სევილია“ - 38%; მეტი მაყურებელი „ბარსასთან“ - 85 ათასი, ნაკლები - „ალმერიასთან“ - 10,5 ათასი.

**ვილიარეალი**

**შინ**: ყველაზე დიდი მოგება - „ესპანიოლი“ 4:0, წაგება - „რეალი“ 1:3, მეტი გოლი - „ოსასუნა“ 4:2; ხშირი სქემა - 4-4-2 (10); კარისკენ დარტყმა: მეტი - „ბილბაო“ 23, ნაკლები - „ბარსელონა“ 7, ზუსტი დარტყმა: მეტი - „ოსასუნა“ 11, ნაკლები - „რეალი“ 2; მეტი ჯარიმა - „ესპანიოლი“, „ალმერია“ და „სევილია“ 16, ნაკლები - „მალიორკა“, „ერკულესი“ 8; მეტი კუთხური - „სევილია“ და „ხეტაფე“ 9-9, ნაკლები კუთხური - „ვალენსია“ და „მალიორკა“ 1-1; მეტი თამაშგარე - „სევილია“ 6, ნაკლები - „ბარსელონა“ და „ხეტაფე“ არც ერთი; ბურთის ფლობა: მეტი - „ლევანტე“ 59%, ნაკლები - „ბარსელონა“ 31%; დასწრება: მეტი - „ბარსელონა“ 23 ათასი, ნაკლები - „დეპორტივო“ 15,5 ათასი.

**სტუმრად**: დიდი მოგება - „სარაგოსა“ 3:0, წაგება - „ვალენსია“ 0:5, მეტი გოლი - „რეალი“ 2:4; ხშირი სქემა - 4-4-2 (11); კარისკენ დარტყმა: მეტი - „რეალ სოსიედადი“ 23, ნაკლები - „დეპორტივო“ 3; ზუსტი დარტყმა: მეტი - „ერკულესი“ 9, ნაკლები - „დეპორტივო“ 2; მეტი ჯარიმა - „ერკულესი“ 22, ნაკლები - „ბილბაო“ და „ალმერია“ 5-5; მეტი კუთხური - „სევილია“ და „ალმერია“ 9-9, ნაკლები - „სარაგოსა“ 1; მეტი თამაშგარე - „დეპორტივო“ 5, ნაკლები - 4 თამაშში არც ერთი. ბურთის ფლობა: მეტი - „რეალ სოსიედადი“, „სპორტინგი“ და „ხეტაფე“ 64-64%, ნაკლები - „ბარსელონა“ 35%; დასწრება: მეტი - „ბარსელონა“ 90 ათასი, ნაკლები - „ალმერია“ 7 ათასი.

### ორი წყვილი

„ვალენსიამ“ უფრო მეტი გაიტანა - საშუალოდ 1,68 გოლი მატჩში, „ვილიარეალის“ 1,42-ის წინააღმდეგ. „ვალენსიამ“ სეზონში 11 გოლი გაიტანა თავურით, კარგი შედეგი აქვს „ვილიარეალსაც“ - 8. ამ ორმა გუნდმა სულ 4 გოლი გაიტანა საჯარიმო დარტყმებით და 2 „ვალენსიას“ არგენტინელი ლეგიონერის, **ტინო კოსტას** ანგარიშზეა. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდში შესანიშნავად გაისარჯა თავდამსხმელთა დუეტი - „ვილიარეალში“ იტალიელი **ჯუზეპე როსის** და ბრაზილიელი **ნილმარის** ანგარიშზე 29 გოლია, ხოლო „ვალენსიაში“ **რობერტო სოლდადომ** და **არიც ადურისმა** ერთად 28 გოლი გაიტანეს.

„ვალენსიას“ ყველაზე დიდი შემწეხებელი **გონსალო იგუაინი** იყო, რომელმაც ამ სეზონში 3 გოლი გაუტანა „ღამურებს“, „ვილიარეალში“ კი **კრიშტიანო რონალდოს** უკავშირებენ ცუდ მოგონებებს, მან „წყალქვეშა ნავს“ 5 ტორპედო მოარტყა.

**ვალენსია**

**გოლები**: სოლდადო (18), ადურისი (10), მატა (8), პ. ერნანდესი (5), ტ. კოსტა (4), ხოაკინი (4), ჟონასი (3), სტანკევიჩიუსი (2), ბანეგა (2), ალბა (2), მადურო (1), მატიო (1), თოფალი (1), ვისენტე (1), დ. ნავარო (1), ლანცარო (სარაგოსა) ს.კ. (1).

### საგოლე პასები

| ფეხბ. | პასი | ვის |
|---|---|---|
| მატა | 12 | 6 სოლდადო, 2 პ. ერნანდესი, 1 ტ. კოსტა, ალბა, მადურო, ჟონასი |
| ხოაკინი | 7 | 4 ადურისი, 1 მატა, სოლდადო, ალბა |
| პ. ერნანდესი | 6 | 3 მატა, 1 სოლდადო, ხოაკინი, ბანეგა |
| ბანეგა | 4 | 1 ადურისი, მატა, ტ. კოსტა, ხოაკინი |
| ჟონასი | 3 | 2 სოლდადო, 1 პ. ერნანდესი |
| სოლდადო | 3 | 3 ადურისი |
| მატიო | 3 | 2 სოლდადო, 1 პ. ერნანდესი |
| ბრუნო | 2 | 1 მატა, სოლდადო |
| მიგელი | 2 | 1 ჟონასი, სოლდადო |
| რ. კოშტა | 2 | 1 სტანკევიჩიუსი, მატა |
| ადურისი | 2 | 1 ხოაკინი, პ. ერნანდესი |
| ტ. კოსტა | 1 | 1 მატიო |
| მ. ფერნანდეში | 1 | 1 თოფალი |
| ა. დომინგესი | 1 | 1 ვისენტე |
| ალბელდა | 1 | 1 ადურისი |
| თოფალი | 1 | 1 სოლდადო |

**ვილიარეალი**

**გოლები**: როსი (18), ნილმარი (11), მ. რუბენი (5), კასორლა (5), კანი (5), ბ. ვალერო (3), კაპდევილა (2), კატალა (1), გონსალო (1), მარჩენა (1), მონტერო (1), სენა (1)

### საგოლე პასები

| ფეხბ. | პასი | ვის |
|---|---|---|
| კასორლა | 9 | 5 როსი, 2 ნილმარი, 1 კანი, ბ. ვალერო |
| ბ. ვალერო | 8 | 2 როსი, ნილმარი, რუბენი, 1 კატალა, გონსალო |
| როსი | 5 | 2 ნილმარი, კასორლა, 1 კანი |
| ნილმარი | 3 | 1 კასორლა, კანი, როსი |
| კატალა | 2 | 1 მარჩენა, რუბენი |
| მარიო | 2 | 1 კანი, ნილმარი |
| ბრუნო | 2 | 1 რუბენი, როსი |
| კანი | 2 | 2 როსი |
| რუბენი | 2 | 1 კაპდევილა, როსი |
| ა. ლოპესი | 2 | 1 კაპდევილა, ნილმარი |
| მუსაჩიო | 1 | 1 მონტერო |
| კაპდევილა | 1 | 1 ნილმარი |
| სენა | 1 | 1 კასორლა |
| მონტერო | 1 | 1 ნილმარი |

### სტაბილური წყალქვეშა ნავი

**უნაი ემერიმ** 27 ფეხბურთელი გამოიყენა (5 ისეთი ფეხბურთელიც იყო, რომლებიც მხოლოდ განაცხადში მოხვდნენ), **ხუან კარლოს გარიდომ** კი 28 ფეხბურთელი ათამაშა (+4 მხოლოდ განაცხადში). „ვილიარეალის“ გოლკიპერმა **დიეგო ლოპესმა** ლა ლიგის ყველა, 3420 წუთი ითამაშა. მაშინ როცა „ვალენსიაში“ ყველაზე მეტი ხანი მოედანზე **ხუან მატამ** დაყო - 2582 წუთი. ეს მაჩვენებელი „ვილიარეალის“ ხუთი ფეხბურთელისას ჩამორჩება. ამ ორ გუნდში ყველაზე ცოტა **ნაჩო ინსამ** ითამაშა - 9 წუთი (ვილიარეალი). „ვალენსიაში“ ყველაზე ხშირად შეცვლაზე **ხორდი ალბა** შედიოდა (13), „ვილიარეალში“ კი - **მარკო რუბენი** (18).

ვილიარეალის შეტევების სულისჩამდგმელი ბორხა ვალერო

**ვალენსია**

**მეკარეები**: გუაიტა (20), სესარი (16), მოია (4).

**მცველები**: მატიო (29), რ. კოშტა (29), მიგელი (24), სტანკევიჩიუსი (21), ბრუნო სალტორი (19), დ. ნავარო (17), დეალბერტი (14).

**ნახევარმცველები**: ხოაკინი (30), ბანეგა (28), პ. ერნანდესი (27), ალბა (27), ტ. კოსტა (24), მ. თოფალი (23), მადურო (18), ალბელდა (16), ა. დომინგესი (9), მ. ფერნანდეში (7), ისკო (4), ფეგული (3).

**თავდამსხმელები**: სოლდადო (34), მატა (33), ადურისი (29), ვისენტე (14), ჟონასი (13).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: სესარი - მიგელი, რ. კოშტა, სტანკევიჩიუსი, მატიო - ხოაკინი, მ. თოფალი, ბანეგა, მატა - სოლდადო, ადურისი.

**სასტარტო 11 (სტატისტიკით)**: გუაიტა - მიგელი, რ. კოშტა, სტანკევიჩიუსი, მატიო - მ. თოფალი, ბრუნო, - ხოაკინი, ტ. კოსტა, მატა, - სოლდადო.

**ვილიარეალი**

**მეკარეები**: დ. ლოპესი (38)

**მცველები**: მუსაჩიო (31), კაპდევილა (31), მარჩენა (28), გონსალო (23), მარიო (22), ა. ლოპესი (18), კატალა (15), ორიოლი (6), სისინიო (6), კიკო (4), ტომასი (1).

**ნახევარმცველები**: ბრუნო (37), კასორლა (37), ბ. ვალერო (35), კანი (33), სენა (20), ვაკასო (11), მატილია (11), კრისტობალი (2), გულონი (1).

**თავდამსხმელები**: როსი (36), ნილმარი (31), რუბენი (30), მონტერო (8), ალტიდორი (3), ბ. ნიელსენი (1).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: დ. ლოპესი - ა. ლოპესი, მუსაჩიო, მარჩენა, კაპდევილა - ბ. ვალერო, ბრუნო, კასორლა, კანი - როსი, ნილმარი.

**სასტარტო 11 (სტატისტიკით)**: დ. ლოპესი - გონსალო, მუსაჩიო, მარჩენა, კაპდევილა - ბრუნო, ბ. ვალერო, კანი, კასორლა - როსი, ნილმარი.

### უხეში ღამურები

„ვალენსია“ უფრო უხეშობდა, ვიდრე „ვილიარეალი“ - „ღამურების“ ფეხბურთელები სეზონში 7-ჯერ გააძევეს (მათ შორის ლიტველი **სტანკევიჩიუსი** ორჯერ), „ვილიარეალის“ - 4-ჯერ. ამ ორ გუნდში ყველაზე მეტი, 12 ყვითელი ბარათი ვალენსიელმა ტინო კოსტამ მიიღო.

ტრავმებმა ეს ორი გუნდი ნაკლებად აზარალა, თუ არ ჩავთვლით **ანხელ ლოპესის** (ვილიარეალი) 130-დღიან არყოფნას ფეხზე ოპერაციის გამო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● არსენალი

# ბარსელონალი ან არსელონა

ჯეკ უილშირი მეუღლესთან ერთად

ეს უკვე დაუსრულებელს ემსგავსება: „ბარსელონამ“ და „არსენალმა“ მეორე წელიწადია ვერაფრით გაარკვიეს, ბოლოს და ბოლოს, სად უნდა თამაშობდეს წარმოშობითა და აღზრდით ბარსელონელი, მაგრამ ყმანვილკაცობაში ლონდონს გადაბარგებული და პროფესიულ ფეხბურთს იქ ნაზიარები **სესკ ფაბრეგასი**. ვაჭრობა თავიდან, ვინ მოთვლის უკვე მერამდენედ, განახლდა. ესპანეთის ჩემპიონმა ინგლისის მეოთხე გუნდს ამჯერად 27 მილიონი ფუნტი შესთავაზა. მოგეხსენებათ, „მეთოფეებს“ ნათქვამი ჰქონდათ, რომ თავიანთ კაპიტანს მხოლოდ 35 მილიონ ფუნტად გაყიდიან. ცნობისთვის: 27 მილიონი ფუნტი 30,35 ხოლო 35 მილიონი ფუნტი თითქმის 40 მილიონი ევროა. ცნობილი გახდა ისიც, რომ შეთავაზება ზეპირი იყო - „ბარსას“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** „არსენალის“ აღმასრულებელ შეფ **აივან გაზიდისს** პირადად უთხრა, რამდენს იხდიდა ფაბრეგასის სანაცვლოდ. რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ 24 წლის კაპიტნის 30,35 მილიონ ევროდ გაყიდვაზე „არსენალმა“ უარი თქვა, თუმცა დაადასტურა, რომ მას 40 მილიონად დათმობს. ასე იყო შარშან ზაფხულშიც, ჩრდილოლონდონელებმა ფაბრეგასი 35 მილიონ ფუნტზე ნაკლებად ცოცხალი თავით არ გაყიდეს — შარშან ფუნტისა და ევროს შეფარდება სხვა იყო. მაშინ ტრანსფერი ჩაიშალა და სესკი „არსენალში“ დარჩა.

სესკ ფაბრეგასი

შეგახსენებთ, რომ როსელმა ერთი კვირის წინ ფაბრეგასი იმ საგანს შეადარა, რომელიც რაც დრო გადის, იცვითება. მან თქვა: *„შარშან ფაბრეგასის სანაცვლოდ 40 მილიონ ევრომდე ვიხდიდით, მაგრამ წლეულს ის ამდენი აღარ ღირს და ეს თვალშისაცემია. მას მერე დრო გავიდა და ფეხბურთელი გაიცვითა“.*

ცვეთაში, სავარაუდოდ, ორივე ფეხის ორთავა კუნთის ტრავმა იგულისხმება, რომელიც სესკმა ბოლო ორ წელიწადში გადაიტანა. საინტერესოა, რომ კაპიტნის ცვეთა საკუთრივ „არსენალშიც“ ადარდებს. „მეთოფეთა“ დირექტორატში არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ სანამ ამ მოთამაშეს რაღაც ფასი ჯერ კიდევ ადევს, ჯობს ის გაიყიდოს.

სესკ ფაბრეგასს „არსენალთან“ კონტრაქტი აკავშირებს, რომელსაც ვადა ოთხი წლის მერე გაუვა. შესაძლოა ვინმემ იკითხოს, მან „ბარსელონას“ საუცხოო ნახევარდაცვაში ვინ უნდა შეცვალოს. წერენ, რომ ის ყველაზე მეტად 31 წლის **ჩავის** შემცვლელად ესახებათ. ჩავის აქილევსის მყესის მუდმივი პრობლემა აქვს.

ფაბრეგასი გასული კვირის განმავლობაში, სარეკლამო კამპანიის ფარგლებში ინდონეზიაში იმყოფებოდა, სადაც, ბუნებრივია, ჟურნალისტებმა „ბარსაში“ გადასვლის პერსპექტივაზე ჰკითხეს. მან სრულყოფილი პასუხისგან თავი შეიკავა, თუმცა კატალონიური კლუბის მწვრთნელი, **პეპ გვარდიოლა** აქო. სესკმა თქვა: *„ჩემი უდიდესი კერპი პეპია“.*

„არსენალის“ ამბებზე ლაპარაკი შეგვიძლია მისი სამხრეთამერიკული ინტერესის განხილვით განვაგრძოთ. ჩრდილოლონდონელები ერთი კვირის წინ 23 წლის არგენტინელი **რიკარდო ალვარესის** შეძენით იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. „მეთოფეთა“ კლუბის ერთ-ერთი ჩინოსანი **რიჩარდ ლოუ** „ველეს სარსფილდის“ პრეზიდენტ **ფერნანდო რაფაინის** ურიგდებოდა, მაგრამ ფასზე ვერ შეუთანხმდა. არგენტინულ კლუბს ნახევარმცველის სანაცვლოდ 12,3 მილიონი ევროს მიღება უნდა. ალვარესი ათლეტურია, მისი სიმაღლე 188 სანტიმეტრი გახლავთ და მას ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. მისი ყიდვა „არსენალის“ გარდა სურთ იტალიურ „ინტერსა“ და „რომას“, გერმანულ „შალკეს“ და ესპანურ გუნდებს „მალაგასა“ და „სევილიას“. ცაცია ალვარესის შესახებ „არსენალს“ მისმა ბრაზილიელმა სკაუტმა, **სანდრო ორლანდელიმ** ჯერ კიდევ სამი წლის წინ აცნობა.

ამასობაში, „ბლექბერნიდან“ „ემირეიტ სთედიუმისკენ“ მიილტვის 27 წლის კონგოელი მცველი **კრის სამბა**, რომელიც თავისი კლუბის ხელმძღვანელებს ემუდარება, მის საოცნებო ტრანსფერს ხელი არ შეუშალონ. დაბრკოლება აქაც ფულია: „როვერსს“ 11-12 მილიონი ფუნტი უნდა, „არსენალი“ კი 8 მილიონს იხდის.

კიდევ, „არსენალს“ „ევერტონისგან“ 28 წლის ინგლისელი ნახევარმცველის **ფილ ჯეგიელკას** შეძენა სურს. ჯეგიელკა პოლონური წარმოშობის ადამიანია და მისი გვარის სწორად გამოთქმაზე ინგლისში ბევრს დავობენ. მართალია, კომენტატორები მას ინგლისური ყაიდით ჯეგიელკას ეძახიან, მაგრამ ეჭვობენ, რომ როგორც პოლონელი, იაგიელკა უფრო იქნება. საკუთრივ მანჩესტერში დაბადებულ დედით შოტლანდიელ მოთამაშეს ერთ-ერთ ინტერვიუში დასჭირდა თავისი გვარის პოლონურად გამოთქმა და მესამე ვარიანტი, იაგელკა თქვა. ამიტომ, როგორც ჩანს, ნახევარმცველი, რომელსაც ინგლისის ეროვნულ გუნდში 8 შეხვედრა აქვს ჩატარებული, კომენტატორებისა და მიმომხილველებისთვის ჯეგიელკად დარჩება.

ბოლოს კი ისიც ვთქვათ, „მეთოფეთაგან“ ვინ სად ისვენებს. ასე მაგალითად, 19 წლის ვარსკვლავი **ჯეკ უილშირი** და მისი სატრფო **ლორან ნილი**, რომელიც ჯეკზე სამი წლით უფროსია, სარდინიაზე ნებივრობენ. ინგლისური პრესა წერს, რომ წყვილი, რომელიც მას მერეა ერთად, რაც ჯეკი 16 წლის იყო, ლორანი კი 19-ის, იანვარში დაშორდა ერთმანეთს, მაგრამ შემდეგ ქალის ფეხმძიმობის ამბავი გაირკვა და... ერთი კვირის წინ დიდი შერიგებაც შედგა. უილშირმა „ტვიტერში“ დაწერა, რომ კარგად ესმის, რას ნიშნავს იყო ღირსეული მამა და იქვე საკუთარ მამას „მამის დღე“ მიულოცა. შენ რომ არა, დღეს ის ვერ ვიქნებოდი, რაც ვარო, წერს ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, რომელიც შვილს ოქტომბერში ელოდება.

თეო უოლკოტი და მისი სატრფო მელანი სლეიდი რივიერაზე ისვენებენ

**თეო უოლკოტი** და მისი სატრფო **მელანი სლეიდი** კი საფრანგეთის რივიერაზე ისვენებენ და როგორც პაპარაცების გადაღებული ფოტოებიდან ჩანს, ცდილობენ მზეზე არ დაიწვან.

● ჩელსი

# პაპარა სტეფილო

გასულ სეზონში „ჩელსიმ“ ინგლისის ჩემპიონის ტიტული დაკარგა გუნდთან, რომელსაც „პატარა ბარდა“ ანუ ესპანურად **ჩიჩარიტო** ჰყავდა. ახალ სეზონში ლონდონის გუნდი ძველი დიდების დაბრუნებას „პატარა სტაფილოს“ დახმარებით შეეცდება — თურმე ასე ეძახდნენ „ლურჯების“ ახალ მწვრთნელ **ანდრე ვილას-ბოასს**, როდესაც ის, ყმაწვილკაცობისას, ქალაქ პორტოს რეგიონალურ ლიგებში თამაშობდა. გუნდი, რომელშიც სტაფილო ორი წლის განმავლობაში აგორებდა ბურთს, გახლავთ „რამალდენსე“. ის ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში პატარა სტადიონს ფლობდა, რომელიც უფულობის გამო მიატოვა და სადღაც, პატარა და საცოდავი მინდორი იქირავა. რაც შეეხება „რამალდენსეს“ საკლუბო შენობას, ის ფაქტობრივად ბარია, სადაც უბნის კაცები იკრიბებიან და ლაყბობენ.



სხვათა შორის, „პორტოს“ ფანები ვილას-ბოასის „ჩელსიში“ წასვლამ გააბრაზა, „რამალდენსეს“ ფანებს კი დღემდე უყვართ და ახსოვთ თავიანთი ბიჭი. აი, მაგალითად, რას ამბობს კლუბის ერთ-ერთი დირექტორი, მავანი **ნელსონ კარვალიუ**:

*„ჩვენს ხელში ფეხბურთის ბევრ ვარსკვლავს გაუვლია, მაგრამ ვილას-ბოასი სხვაა, რადგან მას არ ვავიწყდებით. მან ამასწინათაც გვახსენა ერთ-ერთ ინტერვიუში“.*

არადა, „ჩელსის“ 33 წლის მწვრთნელი „რამალდენსეს“ შემადგენლობაში სრულიად უსახური ფიგურა გახლდათ. ერთადერთი, რითაც ის ხალხს დაამახსოვრდა, ზრდილობაა. მცველი იყო, მაგრამ ვაგლახ... ამოცანას ვერ ართმევდა თავს. თვალში მონითალო თმით თუ მოგზვდებოდათ. სწორედ ამიტომაც შეარქვეს სტაფილო.

*„პატარა სტაფილო შეურაცხმყოფელი მეტსახელი არ არის, სასაცილოა* — ამბობს **აგოსტინო მარკეში**, რომელიც „რამალდენსეში“ ბავშვთა შვიდკაცა გუნდს ავარჯიშებს — *ის ძალიან კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ახლა ჩვენ ძველს კი არ ვიხსენებთ, იმაზე ვფიქრობთ, როგორ წავა მისი საქმეები ლონდონში. აქ, პორტუგალიაში, მისი ცხოვრება იდილიური იყო იმასთან შედარებით, რაც ინგლისში ელის. უნდა მოახერხოს და პრესის აგრესიას მშვიდად შეხვდეს“.*

პორტოში ბევრი ფიქრობს, რომ ვილას-ბოასი იღბლიან ვარსკვლავზეა დაბადებული, რადგან ინგლისელი ბებიის წყალობით ენას კარგად ფლობს და ცხოვრებამ დიდ მწვრთნელს, **ბობი რობსონს** შეახვედრა. შემდეგ მან გაიცნო **ჟოზე მოურინიო**, რომელმაც ასევე დიდი როლი ითამაშა მის სამწვრთნელო კარიერაში, მაგრამ მოურინიო „ჩელსის“ ცხოვრებაში ქარივით შევარდა და თავს განსაკუთრებული უწოდა, ვილას-ბოასი კი, სავარაუდოდ, ასე ვერ მოიქცევა. აგოსტინო მარკეში განაგრძობს:

*„მოურინიო ისე იქცეოდა, გეგონება მეფე ყოფილიყო, ვილას-ბოასი კი ზრდილობიანი ბიჭია და ამ შეცდომას არ დაუშვებს“.*

ვილას-ბოასის ოჯახშიც ამას იმეორებენ — ანდრე განსაკუთრებული არ არისო. ერთადერთი, რაც მან სხვანაირად გააკეთა, ის გახლდათ, რომ მდიდარი მამის ბიზნესს კი არ გაჰყვა, ფეხბურთში აინყო მოღვაწეობა.

ანდრეს ბიძაშვილი **ბეატრის ვილას-ბოასი**: *„ის იმით გახლავთ გამორჩეული, რომ ოჯახის სხვა წევრებისგან განსხვავებით ექიმი ან ადვოკატი არ გახდა. ის ყოველთვის ერთი მოკრძალებული ბიჭი იყო, რომელიც ფეხბურთზე გადაირია, თუმცა თავად საკუთარ ბიძაშვილებზე უკეთესადაც ვერ თამაშობდა. მერე გაირკვა, რომ მაინც სწორედ აურჩევია პროფესია“.*

„ჩელსის“ ახალ მწვრთნელს ჰყავს მეუღლე, 31 წლის **ჟოანა** და ორი გოგონა. მისი დიდი ოჯახიდან სწორედ ისინი წაჰყვებიან ანდრეს ლონდონში.

*„მათ ძალიან წესიერი ოჯახი აქვთ, მოკრძალებული ხალხია. არადა, ანდრეს მამის სიმდიდრე იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ის თავხედ ადამიანად გაზრდილიყო“* - ამბობს მეგობარი **ალბერტო კონსეისაო**. საინტერესოა, რომ ვილას-ბოასი პორტოში სიდედრ-სიმამრის სახლთან, ქუჩის გადაღმა ცხოვრობს. ახლოს არის მისი მშობლების სახლიც. ერთადერთი, რითაც მან ახლოს მცხოვრები ნათესავები და მეზობლები შეაწუხა, ის გახლდათ, რომ „პორტუდან“ „ჩელსიში“ გადასვლით ფანები გააღიზიანა და მათ სახლთან მიტინგები მოუწყვეს. სახლი პოლიციამ დაიცვა, თუმცა ანდრეს ბავშვები უკვე სოფელში ჰყავდა წაყვანილი.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაგუნაშვილმა**

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ეშლის გაოცება უნდა

25 წლის თავდამსხმელმა, **ეშლი იანგმა** „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა და მყისვე მეოცე ჩემპიონობაზე დაიწყო ლაპარაკი. მოგეხსენებათ, გასულ სეზონში „იუნაიტედმა“ მეცხრამეტედ მოიპოვა ინგლისის უძლიერესი გუნდის ტიტული, რაც სარეკორდო შედეგი გახლდათ. მანამდე ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდი „ლივერპული“ იყო.

გარემარბმა კონტრაქტზე ხელმოწერის დღეს პრესის ყურადღება იმით მიიპყრო, რომ სხვა ვარსკვლავებისგან განსხვავებით „იუნაიტედის“ ბანაკში ძველი მანქანით, საკმაოდ შელანძღული „ფორდ ფიესტათი“ მივიდა. მან ინგლისის ჩემპიონთან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამ ხუთი წლის განმავლობაში ფეხბურთელი 31 მილიონ ფუნტს (კვირაში 129 ათასი) მიიღებს. შეგახსენებთ, რომ მის სანაცვლოდ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ასტონ ვილას“ 20 მილიონი ფუნტი გადაუხადა.

იანგმა თქვა: *„მე მომეცა შესაძლებლობა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში გადმოვსულიყავი და ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. იმედი მაქვს, რომ ისტორიული ამბის მონაწილე გავხდები — „მანჩესტერ იუნაიტედს“ ტიტულის მეოცედ მოპოვებაში დავეხმარები. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება გახლავთ. მინდა ცხოვრების მიერ ბოძებულ შესაძლებლობას ორივე ხელით ჩავეჭიდო“.*

ახალ თანაგუნდელს „ტვიტერით“ მიესალმა „იუნაიტედის“ დიდი ვარსკვლავი **უეინ რუნი**: *„ძალიან გამიხარდა ეშლი იანგმა ჩვენთან კონტრაქტს ხელი რომ მოაწერა. სეზონის განმავლობაში მისგან საგოლე გადაცემებს ველოდები“.*

ეშლი იანგის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა 25 წლის ეკვადორელი ვარსკვლავის, **ანტონიო ვალენსიას** შევიწროებას ნიშნავს. ბუნებრივია, მას და 24 წლის პორტუგალიელ გარემარბ **ნანის** ამიერიდან მეტი გარჯა მოუწევთ — კონკურენცია გაიზარდა. ვალენსიას ახალი თანაგუნდელის გამოჩენის შესახებ სამშობლოში ჰკითხეს, სადაც ის ნაკრებში გახლავთ გამოძახებული. მან უპასუხა:

*„ეშლი იანგის ტრანსფერის ამბავი ცნობებში მოვისმინე, მაგრამ არ მეშინია. სეზონი დიდხანს გრძელდება, ალექს ფერგიუსონის ხელში კი ყველა ფეხბურთელს მიეცემა მნიშვნელოვან შეხვედრებში მონაწილეობის შანსი. ეშლი კარგი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ უფრო მეტი ჯილდოს მოპოვებაში დაგვეხმარება. რაც შემეხება მე, „იუნაიტედში“ ორი სეზონი დარჩა და ეჭვი არ მეპარება, რომ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადას ბოლომდე ამოვწურავ. მეტიც, შეიძლება რამდენიმეწლიან ახალ კონტრაქტსაც გამოვკრა ხელი“.*

ვალენსიასა და „იუნაიტედის“ საერთო მომავალზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ეკვადორელ ვარსკვლავს, ბოლო ხანს, მადრიდის „რეალსა“ და „იუვენტუსთან“ აკავშირებდნენ.

*„ეს ყველაფერი ჭორია. საიდან მოვიდა ეს ჭორები? ნამდვილად ვერ გეტყვით, წარმოდგენა არ მაქვს* — თქვა ვალენსიამ — *ამწუთას მხოლოდ „კოპა ამერიკაზე“ ვფიქრობ, სადაც ჩემი ქვეყნის ნაკრების სახელით კარგად უნდა გამოვიდე. საბედნიეროდ, ტრავმა, რომელიც გასული სეზონის განმავლობაში მაწუხებდა, საბოლოოდ მოვიშუშე“.*

ფეხბურთელების ცოლები

# ალენა და იუვე სამუდამოდ

## ალენა სერედოვა

**დაბადების თარიღი:** 1978 წლის 21 მარტი
**დაბადების ადგილი:** ჩეხეთი, პრაღა
**სიმაღლე:** 180,5 სმ.
**პარამეტრები:** 94-61-92
**თვალის ფერი:** წაბლისფერი
**თმის ფერი:** წაბლისფერი
**არის:** იტალიური საფეხბურთო კლუბ ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონის** მეუღლე - ტელე-წამყვანი, მსახიობი და მოდელი.

უმშვენიერესმა ალენამ მსახიობის პროფესიას მოდელისა და ტელეწამყვანის საქმიანობაც შესანიშნავად შეუთავსა. მსოფლიოს საუკეთესო ლამაზმანის ტიტულის მოპოვების მსურველთა შორის მყოფი ალენა 1998 წელს საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. მოგვიანებით საცხოვრებლად იტალიაში გადავიდა. იტალიურ თეატრში სპექტაკლში **„Guglielmo Tell e la Mela“**-ში მონაწილეობის პარალელურად ითამაშა ფილმში „მე ვნახე ვარსკვლავები“. 2004 წელს მონაწილეობას იღებს სათვალის მწარმოებელი ფირმა **„BACI&ABBRACCI“**-ს ფოტო-გადაღებებში. 2005 წლიდან ალენა იტალიური **„Rai2“**-ს სპორტულ გადაცემას „მეორე საღამო“ უძღვება.

## პატარა ელისკა

სერედოვების ოჯახში ალენას გარდა, კიდევ ერთი ქალიშვილი ელისკა აღიზარდა. გოგონებმა ბავშვობა ჩეხეთში, ვინორადის დასახლებაში გაატარეს. მშვენიერი ალენას მსგავსად, მისმა უმცროსმა დამ სამოდელო საქმიანობას მიჰყო ხელი და იტალიაში წარმატებული სამოდელო კარიერა მოიწყო. დის მსგავსად ელისკასაც ფეხბურთელი საქმრო ჰყავს.

## გრანდე ჯიჯი

ალენა სერედოვას მშვენიერებამ და პროფესიულმა წარმატებებმა „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონამდეც მიაღწია. მათი ხანგრძლივი ურთიერთობა 2011 წლის 16 ივნისს ქორწინებით დასრულდა. ჟურნალისტები ქორწილს ორი დღით გვიან 18 ივნისს ელოდებოდნენ. ჯვრისწერა პრაღაში, მშვენიერი ალენას მშობლიურ ქალაქში, წმიდა პეტრე-პავლეს ეკლესიაში გაიმართა, ხოლო საქორწინო წვეულება ტოსკანაში გაგრძელდა. სტუმართა შორის იყვნენ: **ანდრეა პირლო, ჩირო ფერარა, სიმონე ვენტურა, ჯორჯო პანარიელო, ეროზ რამაცოტი, ფედერიკა პანიკუჩი** და **კარლო კონტი**. საკურთხეველთან მიმავალ ალენას რობი უილიამსის სიმღერა **“She’s the one** ჩაესმოდა.

ახალდაქორწინებულ ბუფონებს უკვე ჰყავთ ორი ვაჟი. 2007 წლის 28 დეკემბერს მათ **ლუის ტომასი** შეეძინათ. ბავშვის სახელი ჯიჯიმ კამერუნელი მეკარის **ტომას ნ’კოსადმი** უზომო სიყვარულის გამო შეარჩია. მეორე ვაჟი, **დევიდ ლი**, 2009 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა.

## ბებერი ძალბატონი და ალენა

33 წლის ჯანლუიჯიმ, როდესაც საბოლოოდ გადაწყვიტა ბედი ჩეხი ლამაზმანისთვის დაეკავშირებინა სიახლე გულშემატკივრებსაც აუწყა: *„მოგესალმებით ყველას. მსურს გახაროთ, რომ მე და ალენამ დაოჯახება გადავწყვიტეთ. ქორწილი პრაღაში გაიმართება“.*

ჯიჯი რომ ერთგულია, მან „იუვენტუსის“ მიმართ არაერთგზის დაამტკიცა. რაღა გასაკვირია, რომ საკუთარი შვილების დედასთან ურთიერთობა ქორწინების ფიცითაც დაიკანონა. ჟურნალისტებთან საუბარში მან ასეთი ფრაზაც თქვა: „ალენა და „იუვე“ სამუდამოდ“.

ჯანლუიჯი ბუფონი: *„ალენა ერთადერთი ქალია, რომელიც მე მჭირდება. ეს ქორწილი ჩემს ცხოვრებაში ერთადერთია და აღარ განმეორდება. ალენას ცოლობა დეკემბერში სპეციალურად ამ დღისთვის მოწყობილ ვახშამზე შევთავაზე, თუმცა თანხმობას რამდენიმე დღე ველოდებოდი. იმის მიუხედავად, რომ ორივენი დაკავებული ვართ, შევძელით დრო გამოგვენახა. ქორწილი პრაღაში გადავწყვიტეთ, რადგან სიმშვიდეს ვეძებდით. ახლა არა მხოლოდ მამა, არამედ ქმარიც ვარ“.*

ალენა სერედოვა: *„დავქორწინდით, რადგან ლამაზი და ბედნიერი სიყვარული გვაქვს. ქორწინებით ბიუროკრატიული პრობლემებიც მოგვარდა. შევეცდებით, მესამე ბავშვზეც ვიზრუნოთ“.*



## განუმეორებელი საჩუქარი

მეორე ვაჟის არსებობა ჯიჯის ალენამ ორიგინალური გზით აუწყა.

ალენა სერედოვა: *„გადავწყვიტე ჯიჯისთვის ეს სიახლე საჩუქრის სახით მეთქვა. ცნობილი საიუველირო ფირმის საჩუქრების ყუთში ფეხმძიმობის ტესტი ჩავდე. მან კი იფიქრა, ბრილიანტის სამკაულს ვჩუქნიდი. თავიდან სიცხის საზომი ეგონა. იმის გასაანალიზებლად, თუ რა ხდებოდა, ხუთი წუთი დასჭირდა“.*

## სტუმრად კიამბრეტის შოუში

ჯიჯი ბუფონი და ალენა სერედოვა დაქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე პიერო კიამბრეტის შოუს ეწვივნენ. მომავალმა ცოლ-ქმარმა თავადაც იხალისეს და ტელემაყურებლებიც ახალისეს. ალენამ ხუმრობით ჯიჯისთან ქორწინების სამი მიზეზიც დაასახელა: *„პირველი ის, რომ გვყავს ორი შვილი, მეორე - მაქვს გვარი, რომლიც არ მომწონს და მსურს გამოვცვალო. მესამე - როგორც იქნა, იტალიის მოქალაქე გავხდები“.* მომავალი მეუღლის ამ სიტყვებზე ჯიჯიმ ბევრი იხალისა.

**სალომე ხარატიშვილი**

უეფა

# ერთად რასიზმის წინააღმდეგ

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე მთელი ერთი წელი რჩება. უეფამ FARE-სთან (იშიფრება როგორც “ფეხბურთი რასიზმის წინააღმდეგ ევროპაში) და ორგანიზაცია NEVER AGAIN-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო სპეციალურ კონფერენციაში ექსტრემიზმთან და რასიზმთან ბრძოლის საკითხებში. შეხვედრა ვარშავაში, პოლონეთის პარლამენტის შენობაში შედგა. სტუმრებს მიესალმნენ პოლონეთის პარლამენტისა და მთავრობის წევრები, ასევე ამ საქმეში გამობრძმედილი ევროპელი აქტივისტები, ვეტერანი ფეხბურთელები.

აი, რა განაცხადა იუსტიციის მინისტრმა **კშიშტოფ კვიატკოვსკიმ**: *“ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სპორტულ ღონისძიებებზე რასიზმთან ბრძოლის საკითხებს. ყველაზე მეტად იმიტომაც, რომ მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატს უნდა ვუმასპინძლოთ. ყველას გვინდა, რომ ჩვენი სტადიონები ასოცირდებოდეს გულშემატკივართა ცივილიზებულ ქცევასთან, პოზიტიურ ემოციებთან, არაძალადობრივ გარემოსთან, ასევე ადგილთან, სადაც არ აქვს ადგილი ქსენოფობიასა და რასიზმს”.*

ბატონ მინისტრს სიტყვა NEVER AGAIN-ის თავმჯდომარე **რაფალ პანკოვსკიმ** ჩამოართვა. მისი აზრით, სწორედ ფეხბურთის დახმარებით შეიძლება ფართო მასებში ტოლერანტობისა და მულტიკულტურული იდეების დანერგვა. *“დარწმუნებული ვარ, რომ სპორტულ ღონისძიებებზე უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს სპორტის ფუნდამენტური იდეების ხორცშესხმა, ისეთების, როგორიც არის “ფეარ პლეი”, სამართლიანი თამაში, ერთმანეთის პატივისცემა,* - განაცხადა ევროსაბჭოში საფრანგეთის წარმომადგენელმა **ფრანსუა სანტანჯელომ**. - *რასიზმისა და დისკრიმინაციისგან დაცვა ეს არის ადამიანის ის უფლებები, რაც განუხრელად უნდა იყოს დაცული”.*

უეფას კორპორატიულმა მენეჯერმა **პატრიკ გასერმა** დიდი მადლობა გადაუხადა ზემოთ აღნიშნულ ორ ორგანიზაციას გაწეული სამუშაოსთვის. *“ყველას გვინდა, რომ ევრო-2012-ზე კულტურული მრავალფეროვნების დღესასწაული შედგეს. ამან მთელ ტურნირს დადებითი კვალი უნდა დაამჩნიოს. ბოლოს კი დავძენ, რომ ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველით ამ ტურნირის დაწყებას,”* – განაცხადა პატრიკ გასერმა.

შემაჯამებელი სიტყვა FARE-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **პიარა პოუარმა** თქვა: *“ჩვენ ვამაყობთ ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით, მოხარული ვარ, რომ სპორტში დისკრიმინაციისა და რასიზმის წინააღმდეგ ბევრნი ვართ გაერთიანებულნი. ბოლოს ხანს ამ მიმართულებით აშკარა პროგრესს მივაღწიეთ. იმისთვის, რომ საზოგადოებისგან მაქსიმალური შედეგი მივიღოთ, ამისთვის ახალგაზრდობასთან დიალოგია საჭირო. ამ მიზნებისთვის პოლონეთსა და უკრაინას თავიანთი პროგრამები აქვთ შემუშავებული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს პროგრამები ევრო 2012-ის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება. წლების შემდეგ ამ ქვეყნების საზოგადოებებზე ჩვენი პროგრამები დიდ გავლენას მოახდენს”.*

**ლევან ბიბილაშვილი**

მარსელი

# ნკულუ ველოდრომზე

მარსელის “ოლიმპიკი” მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის დაკომპლექტებას ნელ-ნელა ასრულებს. ხელმძღვანელობის განცხადებით, გუნდს მაქსიმუმ ორი ახალწვეული შეიძლება კიდევ შეუერთდეს. უკვე ყველაფერი გარკვეულია და უახლოეს დღეებში კლუბს “მონაკოს” 21 წლის კამერუნელი მცველი **ნიკოლას ნკულუ** შეუერთდება. ლიგა 1-დან გავარდნის შემდეგ ფეხბურთელმა კლუბისგან ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა და აგერ, მყიდველი უკვე გამოუჩნდა. როგორც გამოცემა “პროვანსი” იუწყება, “მონაკო” ფულადი კომპენსაციის გარდა (თანხა არ სახელდება), “ოლიმპიკის” დუბლების 19 წლის ფეხბურთელ **სენა მანგოსაც** მიიღებს.

“ეკიპი” დიდი ხანია წერდა, “მარსელს” თავდასხმის გასაძლიერებლად “ფიორენტინასგან” **ალბერტო ჯილარდინოს** ყიდვა უნდაო, მაგრამ ფაქტია, რომ მოლაპარაკებებს დღემდე არანაირი შედეგი არ გამოუღია. როგორც ჩანს, სამხრეთელებმა 29 წლის იტალიელ ფორვარდზე ხელი ჩაიქნია. ამჯერად იგივე “ეკიპი” ამტკიცებს, რომ “მარსელს” “მანჩესტერ სიტის” ტოგოელი თავდამსხმელის, 27 წლის **ემანუელ ადებაიორის** შეძენა სურს. აფრიკელზე ისიც დაწერა, რომ მისი ყიდვა “ზენიტსაც” უნდოდა. თავდამსხმელმა მოვლენათა ამგვარი განვითარება უარყო. ვნახოთ, რას იტყვის ის “მარსელზე”.

**ლევან ბიბილაშვილი**



● ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებში.

მარჯვნივ ვანო მამისაშვილი

# ოქრო-ვერცხლის დასაწყისი

## ბიჭები არ ხუმრობენ

**ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებმა წარმატებული სტარტი აიღო მალტის ქალაქ კოტონერაში გუშინ დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში - თითო ოქრო და ვერცხლი, ასეთია გიორგი ვაზაგაშვილის შეგირდთა მონაგარი. კონტინენტის წლევანდელი ჩემპიონი ივანე მამისაშვილი (55) გახდა, თამაზ კირაკოზაშვილი (60) კი ფინალში დამარცხდა.**

ორივე მოჭიდავე საქართველოს წლევანდელი ჩემპიონია, თუმცა შემდგომ შეჯიბრებებში უდავო ფავორიტად კირაკოზაშვილი იქცა. წლეულს ნაკრებმა ორჯერ იჭიდავა უცხოეთში - ანთალიასა და კიევში. კირაკოზაშვილმა ორივე მოიგო, მამისაშვილმა კი პირიქით, ორივე წააგო. ბუნებრივია, ხარისხი არც მის მიერ მოპოვებულ ოქროს დაეწუნება და ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ გახდებოდა ევროპის ჩემპიონი, მამისაშვილიც ნამდვილად ქებას იმსახურებს ამ გამარჯვებისთვის, მაგრამ კირაკოზაშვილის შემთხვევაში გულდასაწყვეტი ისაა, რომ აქამდე ყველაფრის მომგებმა წააგო ყველაზე მთავარი! თუმცა სპორტი ასეთია - მუდამ ვერ გაიმარჯვებ...

მამისაშვილმა პირველი შეხვედრა საკმაოდ მძიმედ მოიგო რუს **შაპი სურაკატოვთან** - იუკოთი, ბრიტანელი **სამეულ ჰალი** კი დიდი უპირატესობით, ვაზარ-იპონით დაჯაბნა. მესამე წრეში ნაცნობი და საკმაოდ ძლიერი მეტოქე შეხვდა - აზერბაიჯანელი **ელბრუს ზამანოვი**, ვისთანაც კიევში დამარცხდა. ამჯერად ჩვენებურმა ღირსეული რევანში აიღო, თუმცა საამისოდ დიდი ბრძოლა გადახდა - ორივე მეტოქემ ვაზარი მიითვალა, მომავალ ჩემპიონს კი წარმატება იუკომ მოუტანა. ნახევარფინალში უკრაინელ **ალექსანდრ იემჩენკოსთან** მის ჭიდაობას გვარიანი სიფრთხილე ეტყობოდა, მაგრამ ინიციატივას მთელ შეხვედრაში ფლობდა. შედეგად, მსაჯებმა მეტოქეს დამსახურებულად მისცეს გაფრთხილებები. შეხვედრის დამთავრებამდე 25 წამით ადრე ჩვენებური იუკოს იგებდა, მაგრამ თვითონაც მიიღო მერე გაფრთხილება და დამატებითი დრო დაინიშნა. საბედნიეროდ, იქ იუკო მიითვალა, თუმცა ეს გდება საკამათო გახდა - მსაჯებმა ერთი პირობა გააუქმეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ სამართალმა იზეიმა. ფინალში აზერბაიჯანელი **ისკანდერ ტალიშინსკიც** გავიდა, რომელმაც წლეულს ანთალიაში გაიმარჯვა, კიევში კი ფინალი წააგო. თანაც, ამჯერად მან ქვეჯგუფში **ბაჩანა ბოლქვაძე** დაგვიმარცხა, რისთვისაც მამისაშვილმა იძია შური. ჩვენებური უკანმოუხედავად არც ფინალში უტევდა, მაგრამ ინიციატივასაც ინარჩუნებდა და გაფრთხილებებით მოიგო. ნამდვილად არ ვიქნებით სუბიექტურები, მსაჯებს გადაწყვეტილებებს თუ შევუქებთ - აზერბაიჯანელი თითქოს ტრავმასაც იმიზეზებდა და ორთაბრძოლასაც გაურბოდა.

კირაკოზაშვილმა ფინალამდე ოთხი შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო. გაფრთხილებებით მხოლოდ ბრიტანელ **აიდენ მოფატს** აჯობა მეორე წრეში, უნგრელ **ერიკ კორმანისს** ორ-ორი ვაზარ-იუკო აართვა, რუმინელი **რიხარდ ბარდოსი** ნახევარ წუთში დააიპონა, ფრანგი **ვილჰელმ ჩერელი** კი ჯერ ვაზარზე დააგდო, მერე კი ესეც იპონზე დასცა. ასეთივე უპირატესობით მოუგო აზერბაიჯანელ **რაშად რუფულლაიევსაც**, რომელიც წლეულს უკვე მესამედ დაამარცხა - კიევშიც მოუგო და ანთალიაშიც. სამწუხაროდ, ფინალში შემართება მხოლოდ სანყის წუთებში ეყო რუსთა დაღესტნელ **ელდარ გაზიმაგომედოვთან**. მაშინ ერთი გდებაც გააკეთა, რომელიც მთავარმა მსაჯმა იპონით შეაფასა, თუმცა გვერდითებმა გააუქმეს. ციდან ვარსკვლავები არც რუსს მოუწყვეტია, მაგრამ ერთხელ იუკო ალალად მიითვალა და შეხვედრაშიც უპირატესობას ფლობდა. სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში კირაკოზაშვილი არ ჰგავდა ყველაფრის მომგებს და ვერც ვერაფერი გააკეთა საჩემპიონოდ.

**ქვარცხლბეკი. ბიჭები.**

**50 კგ.** 1. ელიოს მანზი (იტალია), 2. ვალოდ ხიარი, 3. ლუის მასუ (ორივე - საფრანგეთი), ლუკა კავალო (იტალია).

**55 კგ.** 1. ივანე მამისაშვილი (საქართველო), 2. ისკანდერ ტალიშინსკი, 3. ელბრუს ზამანოვი (ორივე - აზერბაიჯანი), 3. ალექსანდრ იემჩენკო (უკრაინა).

**60 კგ.** 1. ელდარ გაზიმაგომედოვი (რუსეთი), 2. თამაზ კირაკოზაშვილი (საქართველო), 3. ვლადისლავ აზოვცევი (რუსეთი), რაშად რუფულლაიევი (აზერბაიჯანი)

ედალოსანთა დუეტის გარდა, გუშინ კიდევ სამმა ქართველმა იჭიდავა. იმათგან **ზვიად ხუბულური** (50) პირველივე წრეში დამარცხდა ჰოლანდიელ **გლენ კოპერთან**, ბაჩანა ბოლქვაძემ (55) და **ჯუმბერ ჩიხიაშვილმა** (60) კი თითო შეხვედრა მოიგეს, ოლონდ ჩიხიაშვილმა - პირველივე წრეში, ბოლქვაძე კი იმ ეტაპზე ისვენებდა. ჩიხიაშვილმა მოლდოველ **გეორგე გაბუნს** სძლია და შემდეგ სლოვენიელ **ადრიან გომბოცთან** დამარცხდა. ბოლქვაძემ რუმინელი **ბოგდან პოპი** დაჯაბნა, მაგრამ როგორც ზემოთ გითხარით, მომავალ ფინალისტთან, აზერბაიჯანელ ტალიშინსკისთან წააგო.

დანარჩენი წონების ფალავნები ამ უქმეებზე იასპარეზებენ. წილისყრამ ისე ინება, რომ გოგონათა ტურნირში მონაწილე ქართული კვარტეტი დღესვე გავა ტატამზე - **გურანდა შოთაძე** (52) სულაც წონით კატეგორიას გახსნის უნგრელ **საბინა გერსაკთან** შეხვედრით. ამავე წონაში **მარიამ ციხელაშვილი** პირდაპირ მესამე წრეშია გასული, სადაც რუმინელ **ლარისა ალექსანდრა ფლორიანსა** და კიპროსელ **მარილენა პანგალოუს** შორის მოგებულს ელოდება. ჩვენი გოგოების გუნდის ლიდერი, ანთალიის ტურნირის მომგები **მარიამ ჯანაშვილი** (57) სერბ **ნატაშა სიმონკოვიჩს** ხვდება, **ანი მინდიაშვილი** (63) - პოლონელ **ურსულა ჰოფმანს**.

ხიჭებში დღეს 66-73-ის წარმომადგენლები იასპარეზებენ. ჩვენებურთაგან **აპოლონ ზურაბიანი** (66) აზერბაიჯანელ **მიხაილ ანანიევს** ეჭიდავება, ამავე წონაში საქართველოს ჩემპიონი **გიორგი მუზაშვილი** კი პირდაპირ მეორე წრეშია გასული, სადაც მოლდოველ **სერგეი სპაჩსა** და ჩეხ **ფრანტიშეკ სმელნიკს** შორის მოგებულს დაეჭიდება. 73-ში ქვეყნის ჩემპიონი **ბექა დონღვანი** პირველივე წრიდან ჰოლანდიელ **ბოიდ დერკსთან** შეხვედრით მოსინჯავს საკუთარ შანსებს, **ლევან გუგავა** კი იმავე ეტაპზე პოლონელ **მიესცკო პოლგრაბსკის** ძლევას შეეცდება.

კვირას მოჭიდავეთაგან 81 კილოგრამში საქართველოს ჩემპიონი **ბექა ღვინიაშვილი** გერმანელ **ტომ გორლიცს** ხვდება, **ადამ ვარაზაშვილი** კი მეორე წრეშია გასული, სადაც მალტელ **იაკობ ბეზინასა** და ბელარუს **ნიკალაი ბარადძინაუს** შორის მოგებულთან იჭიდავებს. 90-ში ჩვენი გუნდის კიდევ ერთი გამოკვეთილი ლიდერი, საქართველოს პირველობის, ანთალიისა და კიევის ტურნირების მომგები **შალვა ჩოჩელი** პირველად ფრანგ **ალექს ოლარტეს** დაეჭიდება, **გურამ თუშიშვილი** კი - რუს **ალექსანდრ გრაჩევს**. მძიმე წონაში ქვეყნის ჩემპიონი **გიორგი ლაზუაშვილი** გერმანელ **ბენჯამინ ბიუზგარნეს** ხვდება, **გიგა გელაშვილი** - ხორვატ **მატეი გრუბიცას**.

**ირაკლი თავაძე**

**FM 107,9**

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.**

● წყალბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალბათ დღეს გამოვლინდება

**გუშინ** საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში თბილისის საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობს. ფავორიტებად საქართველოს და ყაზახეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს მიიჩნევენ, ბელარუსები ახალგაზრდული შემადგენლობით არიან ჩამოსული, მასპინძელთა მეორე გუნდი კი უმთავრესად 1993 წელს დაბადებული წყალბურთელებით არის დაკომპლექტებული. ასპარეზობის სტარტზე ფავორიტებმა გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვებები ჩაინერეს.

შეჯიბრება ყაზახეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მატჩით გაიხსნა.

**ყაზახეთი-საქართველო (ახალგ.) 20:4 (7:2, 3:2, 7:0, 3:0)**

**ყაზახეთი:** შვედოვი, შმიდერი (2), მ. შაკენოვი (1), ფილიპენკო (2), პანფილი (2), ფენოჩკო (2), ა. შაკენოვი (1), კოკორინი, უკუმანოვი (3), რუფეი (3), მანაფოვი (4), ტემრხანოვი (1), რემჩენკო, მთავარი მწვრთნელი დროზდოვი.

**საქართველო: ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე, ბაბუნაშვილი (2), დავითური, ცანკაშვილი, სხილაძე, ქართველიშვილი (1), გელაშვილი, ურუშაძე, ქავთარაძე (1), ყაზახიშვილი, პეიტრიშვილი. შუბლაძე.**

**პაექრობა აზიის ჩემპიონების იერიშებით დაიწყო და მეორე წუთზე პანფილომ სტუმრები დააწინაურა. პირველი პერიოდის 6 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა კიდევ 5 უპასუხო ბურთი გაუშვეს. ბოლო ორწუთიან მონაკვეთში ჩვენები გამოფხიზლდნენ. მეტოქეს ორი ბურთი გაუტანეს. დანარჩენ სამ რვაწუთიან მონაკვეთში ყაზახების უპირატესობა აშკარა იყო და საბოლოო წარმატებასაც მიაღწიეს — 20:4.**

**საქართველო (ეროვნული)-ბელარუსი 21:5 (5:1, 4:1, 7:2, 5:1)**

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ლაითაძე, ელაჩა (1), პოპოვიჩი (2), კორდიჩი, ხვედელიანი, ჩომახიძე (3), ბაღათურია (4), რურუა (4), გეგელაშვილი (1), ნიკოლეიშვილი (4), ფრანჩევიჩი (2), სტრუიჩი, მთავარი მწვრთნელი დავითიანი.

**ბელარუსი:** არხიპავი, ციპლიაშინი, პრანჩუკი (1), ხარლაფი, მანუგპი, მინუჩკი, პანოვი (2), ბიჩკოვი (1), დრაზდოვი, ჩუპრინა, შარაბაშანი (1), ტარსიაკოვი, შანტური. მთავარი მწვრთნელი ფრალოვი.

მატჩის დასაწყისშივე რევაზ ჩომახიძემ პირველივე იერიში გოლით დააგვირგვინა. მალევე ბაღათურიამ ანგარიში ორამდე გაზარდა. სტუმართა ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგობის დაძლევა ჩვენს ეროვნულ გუნდს არ გასჭირვებია. შეიძლება ითქვას, რომ ეს მატჩი ჩვენი ბიჭებისთვის ერთგვარი სასპარინგო შეხვედრა იყო ტურნირის მთავარი ორთაბრძოლისთვის, რომელიც დღეს საღამოს „ოლიმპიკში“ გაიმართება. საქართველო ყაზახეთს დაუპირისპირდება.

— შარშან პოლონეთში 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში ბელარუსებს შევხვდით და ის პაექრობა ფრედ — 6:6 დამთავრდა, — გვითხრა ახალგაზრდული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ჩომახიძემ. — ბელარუსებმა იმ გუნდიდან თბილისის ტურნირზე რამდენიმე მოთამაშე ჩამოიყვანეს. ჩვენი ნაკრებიც გადახალისდა. ამიტომ შაბათს ამ ორი ახალგაზრდული კოლექტივის დაპირისპირება საინტერესო იქნება. უფრო დაძაბულად წარიმართება საქართველო-ყაზახეთის ორთაბრძოლა. მართალია, სტუმრებს ძირითადი გუნდის სამი მოთამაშე აკლიათ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ჩემპიონი მაინც ჩემპიონია და მასთან საპაექროდ მთელი ძალების გაღება მოგვიწევს...

ასე რომ, დღეს „ოლიმპიკის“ აუზში 17.00 საათიდან გულშემატკივრებს საინტერესო ორთაბრძოლები ელით.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# გაისად უცხოელებიც ჩამოვლენ

**ვარიანის** კრივის კლუბ „ჩემპიონის“ დარბაზში გუშინ დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონის გიორგი კანდელაკის სახელობის ტურნირი კრივში 1997-1998 წწ დაბადებულ მოკრივეთა შორის თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, საჩხერეს, გარდაბანის, რუსთავის, თელავის, ახალციხის, ახალქალაქის, ერედვის, გორის და ვარიანის კრივის სკოლებისა და კლუბების აღსაზრდელების მონაწილეობით. საგულისხმოა, რომ ყველა გუნდმა შეძლო საპრიზო ადგილის მოპოვება, თუმცა განსაკუთრებით კარგად გორელმა და ახალქალაქელმა მოკრივეებმა იასპარეზეს.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს:** 34 კგ — არსენ ელიზბარიანი (ახალქალაქი), 36 კგ — ბექა ლაზარაშვილი (გორი), 38 კგ — მჰერ მელტონიანი (ახალქალაქი), 39 კგ — ლაშა კობახიძე (გორი), 40 კგ — ნუკრი გამგებელი (ვარიანი), 41,5 კგ — თარაშ კანდელაკი (გორი), 43 კგ — გაგიკ პოზოიანი (ახალქალაქი), 44, 5 კგ — მიხეილ კაზარიანი (ახალქალაქი), 50 კგ — გიორგი დოლიაშვილი (გორი), 52 კგ — ჯოტო თაბოშვილი (ერედვი), 56 კგ — გოჩა გურული (ქუთაისი), 59 კგ — რატი ტლაშაძე (გორი), 62 კგ — გიორგი ხარაბაძე (ქუთაისი), 72 კგ — გიორგი ზურაბიანი (გარდაბანი).

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში უკეთესი შედეგით პირველ ადგილზე გორის კრივის სკოლის გუნდი გავიდა. *„შეჯიბრებამ კარგად ჩაიარა. გაისად უცხოელებსაც მოვიწვევთ“* — გვითხრა შეჯიბრების დასრულების შემდეგ ტურნირის მთავარმა ორგანიზატორმა **ავთანდილ შოშიაშვილმა.**

**ვასილ ბალახაძე**

**ვარიანიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

# უკრაინისკენ!..

**ვაკის საკალათბურთო აკადემიაში გუშინ ღია ვარჯიში გამართა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა. საშუალება მოგვეცა გავცნობოდით გუნდის მზადების პროცესსა და სამომავლო გეგმებს. ამ საქმეში უკეთ გუნდის მთავარი მწვრთნელი, მიხეილ ბერუაშვილი გაგვარკვევს.**

- ჭაბუკთა ნაკრებმა მზადება მარტიდან დაიწყო. თავიდან კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით და რუსთავის დარბაზში ვვარჯიშობდით, ივნისიდან კი ყოველდღიურ წვრთნას შევუდექით. უკრაინაში საკონტროლო მატჩების გასამართად მივემგზავრებით, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვარჯიშს "დინამოს" ბაზაზე გავაგრძელებთ. იქ ვიცხოვრებთ.

**- ფიზმომზადება სად გაიარეთ?**

- საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი ძალიან გაიწელა. ფინალური სერია დღეს (24 ივნისს) მთავრდება. ვინც პირველობა ადრე დაასრულა, 10-დღიანი წვრთნა გაიარა ფიზმომზადების მწვრთნელთან...

**- ჭაბუკთა ნაკრებში კიდევ ვის ელით?**

- ფინალის მონაწილე გუნდებიდან "ქუთაისიდან" და "სოხუმიდან" ორ-ორი კალათბურთელი შემოგვიერთდება: ცირეკიძე, გრძელიძე, როგავა და ჩოჩია.

**- გაკლიათ ბექა ბურჯანაძეც.**

- იგი ესპანეთშია, "კახასოლში" ვარჯიშობს, საქართველოში 1 ივლისს ჩამოვა.

**- ბექა უნივერსალია. თქვენ რა პოზიციაზე ათამაშებთ?**

- ცენტრები გვყავს, ამიტომ, ხუთ ნომრად ბურჯანაძეს, ალბათ, იშვიათად მოუწევს თამაში. მას ძირითადად მძიმე ფორვარდის ამპლუაში გამოვიყენებთ.

**- რომელი პოზიციაა მეტად პრობლემატური?**

- დღეს ვერ დავაკონკრეტებ. საკონტროლო მატჩები ბევრ პლუსსა და მინუსს გვიჩვენებს.

**- უკრაინაში როდის მიემგზავრებით?**

- 25 ივლისს. იქაურ თანატოლებთან ორ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ და საქართველოში ივნისშივე დაბრუნდებით.

**- ამხანაგური შეხვედრები კიდევ ხომ არ იგეგმება?**

- ჩვენი კალათბურთის ფედერაცია თურქეთის ფედერაციასთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ვიმედოვნებთ, რომ ივლისში თურქეთშიც ჩავატარებთ რამდენიმე შეხვედრას.

**- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე რა მიზნებს ისახავთ?**

- ახლა გუნდის სათანადოდ მომზადებაზე ვზრუნავთ, ბულგარეთში ჩასვლის შემდეგ მთავარი ამოცანა ჯგუფიდან გასვლა იქნება.

**- მეტოქეებზე რას იტყვით?**

- მონინააღმდეგეებად წამყვანი საკალათბურთო ქვეყნის გუნდები არ გვყავს, მაგრამ არც იოლი თამაშები გველის. ჯგუფის ფავორიტი, სავარაუდოდ მასპინძელი ბულგარეთი იქნება.

| მოთამაშე | სმ | დაბ.წ. | ამპლუა | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| ირაკლი მიქელაძე | 179 | 1994 | გამთამაშებელი | ავერსი |
| რეზო როგავა | 185 | 1993 | გამთამაშებელი | სოხუმი |
| ლევან გრძელიძე | 190 | 1994 | უკანახაზელი | ქუთაისი |
| ნიკა რამიშვილი | 179 | 1994 | უკანახაზელი | ავერსი |
| გელა გულმაგარაშვილი | 196 | 1993 | უკანახაზელი | ზაზა |
| ალეკო ჩოჩია | 185 | 1993 | უკანახაზელი | სოხუმი |
| კახა ჯინჭარაძე | 192 | 1993 | ფორვარდი | ფოთი |
| ლევან ლილიშვილი | 200 | 1994 | ფორვარდი | ორგი |
| ილია ჯიშიაშვილი | 204 | 1993 | ფორვარდი | სტუ |
| გელა ბურჯანაძე | 201 | 1994 | ფორვარდი | კახასოლი (ესპ) |
| სანა ლოგუანიძე | 192 | 1993 | ფორვარდი | სტუ |
| გიორგი ცირეკიძე | 202 | 1994 | წინახაზელი | ქუთაისი |
| გელა ნადირაძე | 202 | 1994 | წინახაზელი | ავერსი |
| ლერი კვანტალიანი | 202 | 1994 | წინახაზელი | ავერსი |
| დავით კორძაძე | 203 | 1993 | წინახაზელი | სოხუმი |

**A ჯგუფის კალენდარი**

**21 ივლისი**
15:45 უნგრეთი-ავსტრია
20:15 საქართველო-ლუქსემბურგი

**22 ივლისი**
15:45 საქართველო-უნგრეთი
20:15 ბულგარეთი-ლუქსემბურგი

**23 ივლისი**
15:45 საქართველო-ავსტრია
20:15 უნგრეთი-ბულგარეთი

**24 ივლისი**
15:45 ლუქსემბურგი-უნგრეთი
20:15 ბულგარეთი ავსტრია

**25 ივლისი**
15:45 ავსტრია-ლუქსემბურგი
20:15 ბულგარეთი-საქართველო

მიხეილ ბერუაშვილი

● საქართველოს U-18ჩემპიონატი. ფინალური სერია

# ოქროს სოხუმი

**სოხუმი-ქუთაისი 79:73**

**19:19, 17:14, 25:20, 18:20**

**სოხუმი: ჩოჩია (18ქ, 6პ, 4ჩ), გაფრინდაშვილი (6ქ, 12მ), დოლიძე, ძიძიგური, რ. როგავა (2ქ, 4პ, 5ჩ), დ. როგავა, გოლეთიანი (4ქ, 4პ), მესხი (8ქ, 7პ, 13მ), ორმოცაძე (20ქ, 6მ), ბულიავა (21ქ, 11მ)**

**ქუთაისი: გრძელიძე (15ქ, 5მ, 4ჩ), ტყაბლაძე (11ქ, 5ჩ), ფხაკაძე (4ქ, 9მ), ცირეკიძე (21ქ, 12მ), დვალიშვილი (17ქ, 16მ, 4პ), გოგოძე (5ქ, 5პ, 4ჩ)**

გუშინ ღამით დასრულდა საქართველოს 18-წლამდელთა პირველობა. ქვეყნის ჩემპიონი გახდა „სოხუმი", რომელმაც ეს ტიტული შვიდწლიანი შესვენების შემდეგ მოიპოვა. სოხუმელებმა 18-წლამდელთა პირველობა ბოლოს 2004-ში მოიგეს, თუმცა მაშინ შეჯიბრება ამჟამინდელივით ორგანიზებულად არ მიმდინარეობდა - გუნდები სეზონის ბოლოს არკვევდნენ ჩემპიონის ვინაობას.

2010-11 წლების ჩემპიონატი მარათონივით გრძელი გამოდგა და ჩემპიონიც ღირსეულ ბრძოლაში გამოვლინდა. შეგახსენებთ, რომ რეგულარული ეტაპი „სახომმა" მოიგო, ხოლო მეორე ადგილზე „ქუთაისი" გავიდა. ფინალურ სერიაში ერთმანეთს სწორედ ეს ორი გუნდი დაუპირისპირდა და საბოლოო გამარჯვებაც რეგულარულის მომგებ „სოხუმს" დარჩა - 2:1.

ფინალური სერიის გადამწყვეტი მესამე მატჩი თბილისში გაიმართა. შეხვედრის პირველი პერიოდი ფრედ დასრულდა, მესამესა და მეოთხე ათწუთიულებში მცირე უპირატესობა სოხუმელთა მხარეს იყო. ბოლო რაუნდში „ქუთაისმა" 2 ქულის სხვაობით (20:18) იმარჯვა, რაც საბოლოო წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. **ლიკა ქაჯაიას** განვრთნილმა „სოხუმმა" 79:73 გაიმარჯვა და ოქროს მოპოვებით ძალიან გაიხარა.

ისევე როგორც წინა შეხვედრებში, ქუთათურებმა ფარქვეშიდან სცადეს უპირატესობის მოპოვება, თუმცა მასპინძლებმა არაფერი დაუთმეს - მოხსნებში „ქუთაისს" 50:48 აჯობეს. თუმცა სტუმრებმა უფრო მეტი ორქულიანი გამოიყენეს - 26, 20-ის წინააღმდეგ. სოხუმელთა წარმატება პერიმეტრიდან ზუსტმა თამაშმა განაპირობა. მათ 11 შორეული ტყორცნა გამოიყენეს, მაშინ, როცა „ქუთაისმა" მხოლოდ ორი სამქულიანი ჩააგდო. აქვე გეტყვით, რომ გუნდებმა დაბალი რეზულტატურობით სტყორცნეს საჯარიმოები: „სოხუმი" - 17-დან 6, „ქუთაისი" - 23-დან 15 გამოიყენა.

იმერელთაგან **გიორგი ცირეკიძე** და **დიმიტრი დვალიშვილი** გამოირჩნენ. პირველმა 21 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა, ხოლო მეორემ - 17 ქულა და 16 მოხსნა. ასევე ორმაგი დუბლი მიითვალა „სოხუმის" მოთამაშემ **ოთარ ბულიავამ** - 21 ქულა და 11 მოხსნა. მასპინძელთა ვიცე-ბომბარდირი **გიორგი ორმოცაძე** გახდა (20 ქულა), ხოლო 18 ქულა და 6 პასი მოაგროვა **ალეკო ჩოჩიამ**. მან ყველაზე მეტი სამქულიანი გამოიყენა - 4 (შვიდიდან).

თუ სხვა კალათბურთელები დაისვენებენ, ალეკო ჩოჩია, **რეზო როგავა**, ლევან გრძელიძე და გიორგი ცირეკიძე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს შეუერთდებიან და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მოემზადებიან.

● დებიუტანტი

## კახა ულენტი

**დაბადა:** 2000 წლის 21 მარტს, თბილისში.
**სიმაღლე:** 158 სმ.
**წონა:** 37 კგ.
**სწავლობს** 53-ე სკოლაში.

კალათბურთის თამაში 2010 წლის სექტემბერში „დინამოში" დაიწყო, მამის, არჩილ ულენტის ხელმძღვანელობით. მანამდე ფეხბურთზე დადიოდა.

ამჟამად „აკადემიაში" გია კაზანჯიანი ავარჯიშებს.

2011 წლის ივნისში დასრულებულ 2000 წელს დაბადებულთა ფესტივალზე აირჩიეს საუკეთესო 8 კალათბურთელი. მათ შორის იყო კახა ულენტი.

**ჰობი:** ფეხბურთი, კალათბურთი და მუსიკა.

● სუპერლიგა. სოხუმი

# გაფრინდაშვილი სოხუმში შეფრინდა

საქართველოს სუპერლიგის საუკეთესო მეპასე **გიორგი გაფრინდაშვილმა**, რომელიც გასულ სეზონში თსუ-ს ღირსებას იცავდა, 24 ივნისს საკალათბურთო კლუბ "სოხუმთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამის შესახებ „ლელოს" აცნობა „სოხუმის" პრესსამსახურის უფროსმა **თენგიზ პაჭკორიამ**.

კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ "სოხუმის" ვიცე-პრეზიდენტმა **თემურ ჩილაჩავამ** აღნიშნა:

- მწვრთნელები, ბაინარს ბაგაცკისი და ვაჟა კვარაცხელია ბოლო თვეებში ყურადღებით აკვირდებოდნენ გაფრინდაშვილის თამაშს. ისინი თვლიან, რომ მომავალ სეზონში კალათბურთელი გუნდს სათანადოდ გამოადგება და ამიტომ, გიორგის ჩვენს გუნდში გადმოსვლა შევთავაზეთ. მოხარულები ვართ, რომ იგი ამიერიდან „სოხუმის" რიგებში ითამაშებს, - თქვა ჩილაჩავამ.

თავად გიორგიმ ასეთი კომენტარი გააკეთა:

- ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, ჩემს სათქმელს მოედანზე ვიტყვი და ვეცდები, „სოხუმის" ქომაგები გავახარო.

გაფრინდაშვილი დაიბადა 1988 წლის 25 მარტს, თბილისში. 1996-2004 წლებში თამაშობდა თსუ-ს ბავშვთა და ახალგაზრდულ გუნდებში ნუგზარ მარკოიშვილის ხელმძღვანელობით. 2002-2005 წლებში გიორგი თსუ-სთან ერთად უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა და ამ გუნდთან ერთად საქართველოს უმაღლეს ლიგაში მესამე ადგილი დაიკავა. 2004 წლიდან საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში გამოდიოდა, იასპარეზა ტრევიზოს კემპზე და ტურნირის MVP-ს ჯილდო მიიღო.

გაფრინდაშვილი 2005-2006 წლებში თამაშობდა სლოვენიის "ოლიმპიას" ახალგაზრდულ გუნდში. 2006-2007 წლებში თამაშობდა ლატვიაში, ასკ-ს ახალგაზრდულ გუნდში. 2008-2009 წლების სეზონი კი ამერიკაში გაატარა - მიდლენდის კოლეჯში სწავლობდა (ტექსისის შტატი).

გაფრინდაშვილი 2009 წლიდან თსუ-შია, რომელთან ერთადაც საქართველოს სუპერლიგის ვერცხლის მედალი მოიგო. 2011 წლის იანვარში თსუ-სთან ერთად გახდა ქორქია-საკანდელიძის თასის მფლობელი და ტურნირის საუკეთესო უკანახაზელი.

ჩვენ მკითხველს მოეხსენება, რომ ივნისში „სოხუმთან" ორწლიანი კონტრაქტები გააფორმეს: მიხეილ ბერიშვილმა, ირაკლი ჩლაიძემ, ლაშა ფარღალავამ, ლევან ფაცაციამ და ვახტანგ ქადარიამ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილიმ**

## ქართული სპორტი

● ჩოგბურთი

# შაფათავა წყვილთა ფინალში

რომის საერთაშორისო ტურნირში მოულოდნელი მარცხი იწვნია **სოფიო შაფათავამ** (292). 22 წლის ქართველი მეოთხედფინალში 18 წლის ფრანგს, **კრისტინა მლადენოვიჩს** (266) ხვდებოდა. როგორც ხედავთ, სოფოს მეტოქე ოდნავ წინაა მსოფლიო კლასიფიკაციაში, თუმცა ასეთი ანგარიშით წაგებას ჩვენებურისგან არ ველოდით - 0:6, 0:6.

ახლა შაფათავა მთლიანად წყვილთა ბადეზე გადაერთვება, სადაც ფინალშია გასული. ის და რუსი **მარინა შამაიკო** (408) ნახევარფინალში მე-4 ნომრად განთესილებს, **ეკატერინა ბიჩკოვას** (რუსეთი, 199) და **ელიცა კოსტოვას** (ბელარუსი, 186) გაუსწორდნენ - 3:6, 1:6. რომის ტურნირის ფინალში ქართველისა და რუსის მეტოქეები არგენტინელი **პაულა ორმაეჩეა** (236) და პარაგვაელი **ვერონიკა სეპედე როიგი** (321) არიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# რენას და დათოს თასზე

თელავის კორტებზე დასასრულს უახლოვდება „რენას და დათოს თასის" გათამაშება, რომელშიც 10 ქვეყნის 130-მდე ჩოგბურთელი მონაწილეობს.

14-წლიან ვაჟებში 32 მოასპარეზეს შორის საქართველოს 12 წარმომადგენელი ჩაება მთავარი პრიზისთვის პაექრობაში. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა პირველი წრე ვერ გადალახა. ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი აიხან მანაფლი (აზერბაიჯანი) გუშინ რუს პაველ კოტოვთან დამარცხდა (0:6, 1:6), მეორე ნომერმა ტიმურ იგამბერდიევმა (რუსეთი), რომელსაც თბილისის თასზე **ალექსანდრე ბაქშიმ** აჯობა, გუშინ თელავში თანამემამულე ილია სტრუკოვი დაამარცხა (6:1, 7:5) და დღეს ფინალში კოტოვს დაუპირისპირდება. რაც შეეხება ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გამარჯვებულ ბაქშის, თელავში მან 16-წლიანებში მოსინჯა ძალები და ნახევარფინალამდე მიაღწია, იქ კი **შოთა მეფარიძესთან** წააგო (2:6, 4:6). ამ უკანასკნელმა გადამწყვეტ პაექრობაში პირველ ნომრად განთესილი **გიორგი ჯავახიშვილიც** დაჯაბნა (6:7, 6:1, 7:5) და მთავარი პრიზიც დაისაკუთრა. გოგონებშიც პირველობა ქართველ ჩოგბურთელს ხვდა: **ბარბარე ერისთავმა** ნახევარფინალში ბელარუს ალინა ზუბკოვას დააყრევინა ფარ-ხმალი (6:3, 6:2), გადამწყვეტ პაექრობაში კი მოლდოველ იანინა მინასიანს აჯობა - 2:6, 6:4, 7:5.

თოთხმეტწლიან გოგონათა ფინალში დღეს ქართველები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ოღონდ, თბილისელი **მარიამ ბოლქვაძის** (გუშინ **ქრისტინე გეგეშიძე** დაამარცხა - 6:3, 6:2) მეტოქე რუსეთის მოქალაქე **ანა ყიფიანი** იქნება.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# მეორე ადგილს დასჯერდა

ჯერმუკში კარენ ასრიანის საერთაშორისო მემორიალზე ქართველ დიდოსტატ **კონსტანტინე შანავას** მთავარი პრიზის მოპოვების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთპიროვნული ლიდერი **ტიგრან კოტანჯიანი** (სომხეთი) რუს **მაქსიმ ტუროვს** დაუზავდა. ჩვენებურმა ეს შანსი ვერ გამოიყენა - ისიც ყაიმზე შეუთანხმდა **რობერტ ჰოვანესიანს** (სომხეთი). ასევე, ქულა გაიყვეს ევგენი გლეიზეროვმა (რუსეთი) და არტურ ჩიბუხჩიანმა (სომხეთი), დავიდ პეტროსიანმა (სომხეთი) და პოუია იდანიმ (ირანი). მიხეილ ულიბინმა (რუსეთი) **დავით მაღალაშვილს** სძლია, **შოთა აზალაძემ** 16 წლის ყაზახი დინარა სადუაკასოვა დაამარცხა, **ნინო ბაციაშვილი** მარია კურსოვას (რუსეთი) დაუზავდა, **ბაჩანა მორჩიაშვილის** გამოუცხადებლობის გამო ჰარუთიუნ ბარსეგიანს (სომხეთი) მოგება ჩაეთვალა. **სოფიო გვეტაძემ** ფიდეს ოსტატ ამირ კოვსარინიას ვერ აჯობა - ყაიმი. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. ტიგრან კოტანჯიანი (სომხეთი, 7), 2. კონსტანტინე შანავა (6,5), 3. მაქსიმ ტუროვი (რუსეთი, 6.5), 4. მიხაილ ულიბინი (რუსეთი, 6.5), 5. რობერტ ჰოვანესიანი (სომხეთი, 6.5), 6. ლევონ ბაბუჯიანი (სომხეთი,6.5)... 9. შოთა აზალაძე (6), 15. დავით მაღალაშვილი (5.5), 28. ნინო ბაციაშვილი (5), 46. ბაჩანა მორჩიაშვილი (4), 48. სოფიო გვეტაძე (4 ქულა).



კონსტანტინე შანავა

ქალებში 5,5 ქულით პირველი იყო ირინა ტუროვა (რუსეთი), 5-5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, მარია კურსოვამ (რუსეთი), დინარა სადუაკასოვამ (ყაზახეთი) და ნინო ბაციაშვილმა გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

# ტაიმ-აუტი ლეონოსთან ერთად

ბიბლიოთეკა



*1976 წელი. ინსბრუკი, ავსტრია. ზამთრის XII ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი*

● თარიღი. 25 ივნისი - 1 ივლისი

**25. 06. 1978 წ.** არგენტინის ნაკრები გახდა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონი.

**28. 06. 1989 წ.** ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილეს კიევის დინამოელი **ოლეგ ბლოხინი.** გაიმართა მატჩი „მსოფლიოს ვარსკვლავთა" და სსრკ ნაკრებს შორის — 3:3.

**28. 06. 1971 წ.** დაიბადა **ფაბიენ ბარტეზი** — ფეხბურთი (საფრანგეთი).

**28. 06. 1958 წ.** ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში ფრანგმა **ფონტენმა** გფრ-თან მატჩში (6:2) შეაგდო გოლი, რომელიც იყო მის მიერ ტურნირში გატანილი მე-13 ბურთი (მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდი).

**29. 06. 1958 წ.** ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი: ბრაზილია-შვეცია 5:2. ბრაზილიელი დიდი აღიარეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ.

**30. 06. 1990 წ.** ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში ირლანდიის წინააღმდეგ იტალიელთა მეკარემ **ძენგამ** დაამყარა ჩემპიონატების რეკორდი — 516 წუთის განმავლობაში არ გაუშვია საკუთარ კარში არც ერთი ბურთი.

**01. 07. 1906 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „სპორტინგი" (ლისაბონი). თასების თასის მფლობელი (1964).

● ვიქტორინა

**1. ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ვინ იყო პირველი ბომბარდირი?**

ა — სკიაივო (იტალია)
ბ — კონენი (გერმანია)
გ — სტაგილე (არგენტინა)

**1. რომელმა მოჭადრაკემ მოიგო ზედიზედ ერთ საერთაშორისო ტურნირში (ვენა, 1873 წ) 16 პარტია, რაც დღემდე მსოფლიოს არაოფიციალურ რეკორდად ითვლება?**

ა — ანდრია დადიანმა
ბ — ხოსე რაულ კაპაბლანკამ
გ — ვილჰელმ სტეინიცმა

**2. წარმოთქვამს თუ არა მსაჯი, კოლეგების სახელით ფიცს ოლიმპიურ თამაშებზე?**

ა — არა
ბ — დიახ
გ — აღრე წარმოთქვამდნენ

**3. რომელ წელს შედგა გარინჩას გამოსათხოვარი მატჩი მარაკანას სტადიონზე?**

ა — 1973 წელს
ბ — 1974 წელს
გ — 1977 წელს

**4. ეწყობოდა თუ არა ოლიმპიურ თამაშებზე ლიტერატურისა და ხელოვნების ოლიმპიური კონკურსები?**

ა — არასდროს
ბ — ეწყობოდა მხოლოდ ანტიკურ თამაშებზე
გ — ერთხანს ეწყობოდა თანამედროვე თამაშებზეც

**5. რა არის ქერლინგი?**

ა — ინგლისური სამაგიდო თამაში
ბ — გუნდურდი თამაში ყინულზე
გ — ესტაფეტა ველოსიპედებით

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ

## ფეხბურთი ახლო ხედით
## უკანასკნელი დამატებები წესებში

1) რეკლამის განთავსება ნებადართულია მხოლოდ მოთამაშეთა მაისურებზე (ისიც მხოლოდ კლუბებისათვის). დაუშვებელია რეკლამის განთავსება ტრუსებზე (შორტებზე);

2) მოთამაშეებმა არ უნდა გამოაჩინონ შიდა მაისურა, რომელზეც გამოსახულია ლოზუნგები და რეკლამა;

3) მაისურები უნდა იყოს მკლავებით;

4) მაისურის გახდა ისჯება ყვითელი ბარათით;

5) თუ მოთამაშეს სამედიცინო დახმარება უშუალოდ მოედანზე აღმოუჩინეს, უნდა დატოვოს მოედანი და შემდეგ დაბრუნდეს უკან;

6) ფიფა დიდ ყურადღებას უთმობს მოთამაშეთა მხრიდან სიმულაციას. მსაჯებს აქვთ მკაცრი გაფრთხილება, მკაცრად დასაჯონ სიმულანტები და გააფრთხილონ ისინი არასპორტული საქციელის გამო.

7) თუკი მოთამაშე აყოვნებს თამაშის განახლებას დროის გაყვანის მიზნით, უნდა დაისაჯოს ყვითელი ბარათით;

7) საფეხბურთო კლუბის ემბლემა განთავსებული უნდა იყოს მაისურის მარჯვენა ან მარცხენა მხარეს და მისი ზომა უნდა იყოს არაუმეტეს 15X25 სმ. ნომრის ზომები 25-35 სმ.

9) სათადარიგო სკამი უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელს არ უშლიდეს მაყურებლებს.

10) სტუმართა გუნდს შეიძლება გამოეყოს სტადიონის 5-10%.

● თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | | | | | | 7-4 | 9 | I |
| B | | | | | | | | | 4-1 | 6 | II |
| C | | | | | | | | | 4-6 | 1 | III |
| D | | | | | | | | | 0-4 | 1 | IV |

### წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 0:0 | 0:0 | 6:0 | 3 | 1 | 2 | 0 | 6-0 | 5 | I |
| B | 0:0 | | 2:0 | 1:1 | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 | II |
| C | 0:0 | 0:2 | | 1:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 | III |
| D | 0:6 | 1:1 | 0:1 | | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 | IV |

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის პროექტით**

# კროსვორდი



**თარაზულად:** 4. სპორტული ნაგებობა ველორბოლისთვის; 5. ყატარის „ალ-ჰარაფის" ფრანგი მწვრთნელი; 6. ამერიკელი მოცურავე, მიუნხენის ოლიმპიადის გმირი; 9. '"უდინეზესა" და ჩილეს ნაკრების ნახევარმცველი; 10. რბენა მოკლე დისტანციაზე; 11. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით); 14. გენიოსი ამერიკელი მოჭადრაკე; 15. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 16. "ჩელსის" და პორტუგალიის ნაკრების მეკარე; 17. პრაღის საფეხბურთო კლუბი; 18. ბაქოს საფეხბურთო კლუბი; 20. "ჩელსის" ფრანგი თავდამსხმელი; 24. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი; 25. ინგლისური ეროვნული თამაში ბურთით; 27. ინგლისის საფეხბურთო კლუბი "ასტონ ..."; 30. "მილანის" კოლუმბიელი მცველი; 31. ნბა-ს ვარსკვლავი შაკილ ...; 32. გერმანიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი.

**შვეულად:** 1. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მწვრთნელი, რომელსაც "ოლდ ტრაფორდის" სტადიონთან ძეგლი დაუდგეს; 2. იტალიური სპორტული ავტომობილი; 3. ბეისბოლის მსგავსი თამაში რუსეთში; 4. ხტომის ნაირსახეობა ფიგურულ ციგურაობაში; 5. ჩოგბურთში შერეული წყვილი; 7. 1964 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 8. სამაგიდო თამაში დანომრილი კოჭებით; 12. მთავარი მსაჯი; 13. იხ. სურათი — 2010 წლის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი; 14. "ვერდერის" მცველი კლემენს ...; 19. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე; 21. ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ავსტრიული ფეხბურთის ისტორიაში კარლ ...; 22. ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი საფეხბურთო კლუბი; 23. მილანის "ინტერის" თავდამსხმელი; 26. საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონის" პრეზიდენტი; 28. საკალათბურთო კლუბ "ბეშიქთაშის" გამთამაშებელი ... აივერსონი; 29. ლეგენდარული ბრაზილიელი ავტომრბოლელი.

● პრესკონფერენცია

ილია ზედგინიძე და რიჩი დიქსონი

# ბუქარესტში მთავარი მიზანი მიღწეულია

## წინ ახალი ზელანდიაა

საქართველოს მორაგებთა ნაკრები ახლახან რუმინეთიდან დაბრუნდა, სადაც IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში სამიდან ორი მოიგო და მეორე ადგილი დაიკავა. „ბორჯღალოსნები" ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასისთვის მზადებას 4 ივლისიდან შეუდგებიან. განვლილი ტურნირისა და მომავლის გეგმების შესახებ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** და კაპიტანმა **ილია ზედგინიძემ** პრესკონფერენცია გამართეს.

**რიჩი დიქსონი:**

„ბუქარესტში ერთა თასზე სრულიად ახალი გუნდი წავიყვანეთ, რომელიც ჩამოყალიბებულ, ერთად დიდხანს მოასპარეზე გუნდებს ეთამაშა. ცხადია, ამან გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა. პირველი თამაშის წინ მხოლოდ ორი დღე გვქონდა მოსამზადებლად, არადა მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავდა. სამხრეთ აფრიკის „კინგ ზის" მორაგბეები ორი წელიწადია სულ ერთად ვარჯიშობენ და თამაშობენ.

მეორე მატჩში არგენტინის A ნაკრებთან რადიკალურად განსხვავებული გუნდი ვათამაშე, ვინაიდან ყველა, ოცდაექვსივე მორაგბეს დავპირდით, რომ აუცილებლად მივცემდით თავის გამოჩენის შანსს.

მესამე მატჩი ნამიბიასთან სარეიტინგო იყო, ამიტომ მას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს თითოეულ მორაგბეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. თავიდან თამაში ცუდად დავიწყეთ. შესვენების შემდეგ კი გუნდმა მობილიზება მოახერხა და მატჩის გადარჩენა შეძლო. მიხარია, რომ ბევრმა ახალმა მოთამაშემ ბუქარესტში თავი კარგად წარმოაჩინა.

ამ ტურნირზე სამი მიზანი გვქონდა დასახული. პირველი, საქმეში გვენახა ახალი მოთამაშეები, მეორე - გვინდოდა გაგვერკვია იმ მორაგბეების მდგომარეობა, ვისაც ნაკრებში სხვადასხვა მიზეზების გამო დიდი ხანია არ უთამშია და ბოლოს, აუცილებლად უნდა მოგვეგო სარეიტინგო მატჩი. სამივე მიზანი მიღწეულია.

მინდა მოკლედ ვთქვა იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება შევძელით მას შემდეგ, რაც ნოემბერში ნაკრები ჩავიბარე. გუნდის სამწვრთნელო შტაბი ჩემთვის ისეთივე უცხო იყო, როგორც მორაგბეები. მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, ახალ ზელანდიაში წასვლაზე პრეტენზია 40 მორაგბეზე მეტს ექნებაო, არ დავიჯერებდი. ამას ძალიან სკეპტიკურად შევხედავდი. ამჟამად კი საქმე ისეა, რომ მსოფლიო თასზე თამაშის შანსი 45 მორაგბეს აქვს.

ეს ფაქტი, ცხადია, ძალიან გვახარებს, თუმცა იმავდროულად დიდი თავსატეხი გაგვიჩინა. 45 მოთამაშიდან 30-ის არჩევა ძალიან რთული საქმეა. მათთან, ვინც მსოფლიოზე ვერ მოხვდება, თუ მუშაობას სწორი მიმართულებით გავაგრძელებთ, მომავალში კვალავ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას შევძლებთ.

მსოფლიოს თასისთვის მზადებას 4 ივლისს თბილისში დავიწყებთ. ძირითადად ფიზიკური კონდიციების დახვეწაზე ვიმუშავებთ. მერე 18 ივლისს საფრანგეთში გავემგზავრებით და იქ ბურთით ვარჯიშს დავიწყებთ. აგვისტოში რამდენიმე საწვრთნელი თამაში გავქვს დაგეგმილი. ახალ ზელანდიაში ძალიან მძიმე თამაშები გველის და ის 30 მორაგბე, ვინც 3 სექტემბერს თვითმფრინავში ჩაჯდება და ახალ ზელანდიაში გაემგზავრება, ფიზიკურად უმაღლეს დონეზე უნდა იყოს მომზადებული.

ჩვენ უკვე დავიწყეთ მომავალ მეტოქეებზე დოსიეს შექმნა. არგენტინის, შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებების თამაშებს კი აგვისტოში უშუალოდ დავესწრები. ეს გუნდები ამ დროს ბრიტანეთში ტესტებს გამართავენ. 2007 წელს ირლანდიასთან ბრწყინვალე თამაშის შემდეგ საქართველოს ნაკრებს უკვე ყველა სერიოზულად აღიქვამს და, გარწმუნებთ, ისინიც სწავლობენ და აანალიზებენ ჩვენს თამაშს. ერთი სიტყვით, ჩვენი გუნდი მსოფლიო რაგბიში უცხო აღარ არის, რაც კიდევ მეტად გვაფიქრებინებს, რომ ახალ ზელანდიაში ურთულესი ბრძოლები გველის"

**ილია ზედგინიძე:**

„რუმინეთში გამართული ტურნირი ძალიან საინტერესო გამოდგა. როგორც ახალგაზრდა, ისე ვეტერანი მორაგბეები დიდი ენთუზიაზმით მივუდექით საქმეს და თუ პირველ მატჩს არ ჩავთვლით, სადაც ობიექტური მიზეზების გამო სათანადოდ ვერ ვითამაშეთ, საერთო ჯამში ცუდი შედეგი არ გვიჩვენებია.

ახლა მთავარი ორიენტირი მსოფლიოს თასის გათამაშებაა. ყველანაირად ვეცდებით სათანადოდ მოვემზადოთ. საფრანგეთში ელიტურ, პირველი დივიზიონის გუნდებს, „მონპელიესა" და „ბურგუენს" ვეთამაშებით. სავარაუდოდ, კიდევ გვექნება რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრა უფრო დაბალი დივიზიონის გუნდებთან. წინ ძალიან დიდი სამუშაო გვაქვს. ახალ ზელანდიაში ურთულესი თამაშები გვექნება."

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **ჯაბა ბერეგვაძე (არმია), აქვსენტი გიორგაძე, ანტონ ფეიერიშვილი (ორივე-კასტრი), გიორგი ულენტი (მონპელიე), ვასილ კაკოვინი, დავით ხინჩაგიშვილი (ორივე-ბრივი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), ბექა შეყლაშვილი (აჟენი), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები).**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი), ილია ზედგინიძე (კარკერენი).**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), გია ლაბაძე (ლა სეინი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბესო უდესიანი (მაკონი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), ლაშა თავართქილაძე (ფარული).**

№9: **ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), გიორგი კაჭარავა (ლელო)**

№10: **მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო)**

№12-13: **რევაზ გიგაური (ფიჟაკი), ირაკლი გიორგაძე (აია), დავით კაჭარავა (ნიცა), ალექსანდრე თოდუა (ლელო), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი)**

№11-14: **ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი ჩხიკვაძე (ორივე-აია), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი).**

№15: **მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი).**

● მეტოქეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრავალეროვანი ინგლისი

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუნდის გაფართოებული, 45-კაციანი შემადგენლობა გააცხადა. აქედან, როგორც გაირკვა, მოთამაშეთა 27 პროცენტი საზღვარგარეთაა დაბადებული. გამორიცხული არ არის, მათმა უმრავლესობამ ნაკრების საბოლოო, 30-კაციან განაცხადში დაიკავოს ადგილი.

## ავსტრალია

ლონდონის „ვოსფსის" ცხრა ნომერი **ჯო სიმპსონი** სიდნეიში დაიბადა. მისი მშობლები ახალ ზელანდიაში დაბადებული ბრიტანელები იყვნენ. გასაკვირი არ არის, რომ ჯო სარაგბო სამყაროში გაიზარდა. მან განათლება ილინგში მიიღო და რიჩმონდის ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა. ინგლისის ნაკრებში პირველად ავსტრალიელ „ბარბაროსებთან" მატჩში გამოჩნდა, მაშინ ის სათადარიგოთა შორის იყო.

„პომების" გაფართოებულ შემადგენლობაში ახლა სამი ცხრა ნომერია. სიმპსონს დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რომ ერთი ზედმეტი თვითონ არ აღმოჩნდეს.

## კენია

ინგლისის ნაკრების ვეტერანი **საიმონ შოუ** კენიის დედაქალაქ ნაირობიში 1973 წელს დაიბადა. ის მხოლოდ ოცი წლის ოყო, როცა პირველად მოირგო ინგლისის ნაკრების კვართი. დღესდღეობით მის ანაგარიშზეა ეროვნულ ნაკრებში მოხვეჭილი 66 კეპი.

საიმონს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა 2009 წელს „ბრიტანელი ლომების" მიერ გამართულ ტურნეში სამხრეთ აფრიკაში. ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეორეხაზელია. მაშინ შოუმ „ბოკეს" მართლაც შესანიშნავი შოუ მოუწყო. ინგლისის ნაკრების ქომაგები იმედოვნებენ, რომ ის იმავეს გამეორებას ახალზელანდიაშიც შეძლებს. იმ დროისთვის საიმონ შოუ 38 წლის იქნება.

## ახალი ზელანდია

„პომების" შემადგენლობაში რამდენიმე ახალზელანდიელია. **რიკი ფლუტის, შონთაი ჰეპისა** და **დილან ჰართლის** ახალხან **ტომას ვალდრომიც** შეუერთდა. ფლატის ეროვნულ ნაკრებში უკვე მოხვეჭილი აქვს 13 კეპი, საკმაოდ ხშირად თამაშობენ ჰართლიც და ჰეპიც. ვალდრომმა კი ინგლისურ რაგბიში სულ ერთი სეზონი გაატარა, მას შემდეგ, რაც „ლესტერ ტაიგერზში" ახალზელანდიური გრანდიდან, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზიდან" გადაბარგდა.

## სამოა

ინგლისის ნაკრების შუამარბის **მანუ ტულიგაის** ოთხმა ძმამ სამოას ნაკრებში თამაში არჩია. მანუმ მტკიცედ გადაწყვიტა თავისი კარიერა „პომებს" დაუკავშიროს. საამისოდ მან ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაძაბული ბრძოლა გადაიტანა, რათა ქვეყნისთვის თავისი ერთგულება დაემტკიცებინა და ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო.

ტულიგაიმ ნლეულს შესანიშნავად ითამაშა. „ლესტერ ტაიგერზის" შემადგენლობაში მან 20 მატჩი გამართა და შვიდი ლელო გაიტანა. ინგლისის A ნაკრების სკოლის გავლის შემდეგ, ყველა ფიქრობდა, რომ ეროვნულ ნაკრებში ადგილს იოლად დაიმკვიდრებდა, მაგრამ „სეილ შარქსთან" მატჩში, **კრის ეშტონთან** ბინძური თამაშის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

მანუს ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემები აქვს, ერთნაირად ძლიერი და უკომპრომისოა როგორც შეტევაში, ისე დაცვაში თამაშისას. მარტინ ჯონსონმა მას ბოლო შანსი მისცა და თან მკაცრად გააფრთხილა, რომ დისციპლინის დარღვევას არაფრით აპატიებს.

## სამხრეთ აფრიკა

პირველი სამხრეთაფრიკელი მორაგბე, რომელმაც ინგლისის ნაკრების კვართი მოირგო **ვი ბი თომსონი** გახლდათ. ეს 1892 წელს მოხდა. მას შემდეგ „პომების" რიგებში უამრავ სამხრეთაფრიკელს უთამაშია. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო **მაიკ ქეთი.** საკმაოდ დიდი დამსახურება აქვთ ინგლისური რაგბის წინაშე **ებოთ სტუარტს, მაიკლ გორაკს, ჯეფ ალლფორდს** და **ნიკ აბენდენონს.**

სამხრეთაფრიკელები მრავალად არიან მარტინ ჯონსონის მიერ დასახელებული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაშიც. ესენი არიან, „სარასენზის" მორაგბეები - მეთ სტივენსი და მოურის ბოთა, ასევე „სეილ შარქსის" მესამეხაზელი **ჰენრი ფური**.

სტივენსს, ფურისგან განსხვავებით, ნაკრებში წლეულს არ უთამაშია, ბოთა კი, სავარაუდოდ, ყოფილი კაპიტნის, **სტივენ ბორტვიკის** ნაცვლად მიიწვიეს.

## ტრინიდადი

**დელონ არმითიჯი,** რომელიც სან ფერნანდოში დაიბადა, პირველი ვესტინდოელი იყო, რომელმაც ინგლისის ნაკრებში ითამაშა. ის 1996 წელს საფრანგეთში გადავიდა და ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარზე „ნიცაში" თამაშობდა. მას შემდეგ, რაც საფრანგეთის 16-წლამდელთა ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, ლონდონში გადაბარგდა და სანამ „ლონდონ აირიშში" ჩაირიცხებიდა, რიჩმონდის სკოლაში სწავლობდა და თამაშობდა.

დელონ არმითიჯის დებიუტი „პომების" რიგებში 2008 წელს წყნარი ოკეანის კუნძულების ნაკრებთან მატჩში შედგა და მას შემდეგ ეროვნულ გუნდში 19 კეპი მოიხვეჭა. დელონმა და მისმა ძმამ, ასევე კარიბის ზღვის აუზში დაბადებულმა **სტეფან არმითიჯმა,** 2009 წელს იტალიის ნაკრებთან ერთად ითამაშეს.

## აშშ

22 წლის შერკინების ბურჯი **ალექს კორბსიერო** ნიუ-იორკში დაიბადა. 2008 წელს ის „ლონდონ აირიშში" ჩაირიცხა და წლეულს ექვსი ერის გათამაშებაში ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა. ის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი მორაგბეა.

ნიშანდობლივია, რომ ახალგაზრდულ და A ნაკრებში მიღებული გამოცდილების შემდეგ, იტალიელ-ამერიკელ კორბსიეროს ინგლისის ნაკრებში დებიუტი სწორედ იტალიის ეროვნულ გუნდთან ჰქონდა. მან დიდი წინააღმდეგობა გაუნია და თითქმის დაჩაგრა კიდეც „სკუადრა აძურას" სახელგანთქმული პირველხაზელი **მარტინ კასტროჯოვანი.**

ალექსს ეროვნულ ნაკრებში ძალზედ სერიოზული კონკურენტი ჰყავს - ვეტერანი **ენდრიუ შერიდანი,** თუმცა, ვფიქრობთ, რომ ის ნამდვილად ღირსია ახალ ზელანდიაში ინგლისის ნაკრების კვართით ითამაშოს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

დელონ არმითიჯი

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# დიდი ტრეიდები და დრაფტი

## ფელტონი პორტლენდში, ფერნანდესი დალასში, ჯექსონი მილუოკიში...

კაირი ირვინგი

გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 2011 წლის დრაფტის ცერემონია ჩატარდა. ამ მნიშვნელოვან მოვლენას წინ უძღოდა რამდენიმე საინტერესო ტრეიდი, რომელშიც ლიგის ცნობილი კალათბურთელები იყვნენ ჩართული.

მივყვეთ თანმიმდევრობით. პირველ ტრეიდში სამი გუნდი - „მილუოკი", „შარლოტი" და „საკრამენტო" იღებდა მონაწილეობას.

გაცვლის შედეგად, „მილუოკიმ" მიიღო შემტევი მცველი **სტივენ ჯექსონი** და ორი გამთამაშებელი - **ბენო უდრიხი** და **შონ ლივინგსტონი**, აგრეთვე დრაფტის მე-19 ნომრის არჩევის უფლება, „შარლოტს" ერგო ფორვარდი **კორი მაგეტი** და დრაფტის მე-7 ნომერი, „საკრამენტოს" - მცველი **ჯონ სალმონსი** და მე-10 ნომერი.

■ ■ ■

„სან ანტონიო სპურსმა" მაინც მიაღწია საწადელს და დრაფტის პირველ რაუნდში აიყვანა კალათბურთელი. ამისთვის მას თავისი ახალგაზრდა მცველის **ჯორჯ ჰილის** „ინდიანაში" გაშვება მოუხდა. „სპურსის" შემადგენლობა შეავსო სანდიეგოელმა **კოუჰი ლეონარდმა**. ის შარშან NCAA-ის ჩემპიონატში საშუალოდ 15.5 ქულასა და 10.6 მოხსნას აგროვებდა.

„სპურსის" კიდევ ერთი ახალწვეული გახდა ტექსასის მცველი **კორი ჯოზეფი** - ის 29-ე ნომრად იქნა არჩეული.

ჯორჯ ჰილი წარმოშობით ინდიანას შტატიდანაა, ამიტომაც კმაყოფილი დარჩა ამ ტრედით.

*„ეს ძალიან ემოციური მომენტია. მინდა ყველას მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის. „სან ანტონიოში" გატარებული დრო არასოდეს დამავიწყდება"*, - განაცხადა ჰოლმა, რომელიც გასულ სეზონში საშუალოდ 11.6 ქულას აგროვებდა.

■ ■ ■

ერთი ტრეიდი შედგა „ჰიუსტონ როკეტსსა" და „მინესოტა ტიმბერვულვზს" შორის. „რაკეტებმა" დათმეს ცენტრი **ბრედ მილერი**, წლევანდელი დრაფტის 23-ე ნომერი (**ნიკოლა მირკოტიჩი**) და მომავალი დრაფტის პირველი რაუნდი, სანაცვლოდ კი „მგლებისგან" გამთამაშებელი **ჯონი ფლინი** და ცენტრი **დონატას მოტეიუნასი** მიიღეს.

2011-12 წლების სეზონში მილერმა 60 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.4 ქულა და 3.7 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

კიდევ ერთი სამგუნდიანი ტრეიდი დღის ყველაზე საინტერესო გარიგება იყო. მასში „დენვერი", „პორტლენდი" და „დალასი" მონაწილეობდნენ.

„პორტლენდმა" შემადგენლობა შეავსო გამთამაშებელ **რეიმონდ ფელტონით** „ნაგეტსიდან", საპირისპირო მიმართულებით კი ვეტერანი მცველი **ანდრე მილერი** გაუშვა. გარდა ამისა, „ბლეიზერსიდან" „დალასში" გადავიდა ესპანელი მცველი **რუდი ფერნანდესი**. „მავერიქსმა" აგრეთვე ფინელ **პეტერი კოპონენზე** უფლებები მიიღო.

თავის მხრივ, „მავერიქსმა" „პორტლენდს" მისცა ორი ახალბედა - **ჯორდან ჰემილტონი** (26-ე ნომერი) და **ტანგაი ნგომბო** (57-ე ნომერი).

■ ■ ■

რაც შეეხება გუშინდელ დრაფტს, როგორც მოსალოდნელი იყო, „კლივლენდმა" პირველ ნომრად აირჩია გამთამაშებელი **კაირი ირვინგი**.

*„არანაირი ეჭვი არ მქონდა დრაფტის პირველ ნომერთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა, როცა არჩევანი ჩემს სასარგებლოდ გაკეთდა, განსაკუთრებული შეგრძნება მაქვს. მოუთმენლად ველი კლივლენდში გადაბარგებას. ეს დიდი სპორტული ქალაქია და იმედია, „კავალიერზის" მფლობელთა მოლოდინს გავამართლებ"*, - განაცხადა ირვინგმა.

დრაფტის პირველი ათეულის წევრები კლუბებმა შემდეგნაირად დაინაწილეს:

1. კაირი ირვინგი (დიუკი) - **კლივლენდი**
2. დერიუს უილიამსი (არიზონა) - **მინესოტა**
3. ენეს კანტერი (კენტუკი) - **იუტა**
4. ტრისტან ტომპსონი (ტექსასი) - **კლივლენდი**
5. იონას ვალანჩიუნასი (ლ. რიტასი) - **ტორონტო**
6. იან ვესელი (პარტიზანი) - **ვაშინგტონი**
7. ბისმაკ ბიიომბო (ფუენლაბრადა) - **შარლოტი**
8. ბრენდონ ნაიტი (კენტუკი) - **დეტროიტი**
9. კემბა უოკერი (კონეკტიკუტი) - **შარლოტი**
10. ჯიმერ ფრედეტი (ბრიგემ იანგი) - **საკრამენტო.**

● ფორმულა 1



ვალენსიაში ქუჩის რბოლა იმართება

# ჩემპიონატი ვალენსიაში გაგრძელდება

უახლოეს უქმეებზე ვალენსიაში ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატის მერვე ეტაპი. ტრადიციულად, ევროპის გრანპრი ესპანეთის ამ ქალაქში მოსაწყენი გამოდის, მაგრამ ამ სეზონში რბოლას შეიძლება უშველოს სიახლეებმა - „პირელის" საბურავებმა და მართვადმა უკანა ანტიფრთებმა.

ვალენსიას ქუჩის ავტოდრომი ევროპის გრანპრის მეოთხედ უმასპინძლებს. ტრასის განმასხვავებელი ნიშანია დიდი რაოდენობით მოსახვევი - წრეზე მათი რიცხვი 25-ს შეადგენს, მთელი რბოლის განმავლობაში თითქმის 1500-ს. თანაც მარჯვენა მოსახვევების რაოდენობა სამჯერ მეტია.

ასეთი რაოდენობის მოსახვევებმა, წესით, დამატებითი ინტრიგა უნდა შემატოს რბოლას, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ბოლო წლებში ევროპის გრანპრიზე მოვლენები მეტად დუნედ მიმდინარეობდა.

თუმცა შარშან ოდნავ გაახალისა პუბლიკა **მარკ უებერმა**. მან **ჰეიკი კოვალაინენზე** მიიტანა იერიში, მაგრამ აშკარად ზედმეტი მოინდომა, ჰაერში აფრინდა და თან მეტოქეც გამოთიშა ბრძოლას.

ამჯერად დამატებით ინტრიგას ის ფაქტიც შემოიტანს, რომ პირველად სეზონში მრბოლელებს მოუწევთ ტრასაზე მედიუმის საბურავებით გასვლა. რა გავლენას მოახდენს ის რბოლის მსვლელობაზე და როგორ სწრაფად შეეჩვევიან მას პილოტები - ეს საკითხი ყველას აინტერესებს. ეს იმიტომ, რომ თავად „პირელის" წარმომადგენლები ამბობენ - ამ საბურავების „საქციელი" ყოვლად არაპროგნოზირებადია. ალტერნატივად წარმოდგენილია „სოფტის" საბურავები, მით უმეტეს, რომ კვირას ვალენსიაში ცხელ ამინდს ელოდებიან. წვიმის ალბათობა თითქმის არ არსებობს.

რბოლის წინ ჟურნალისტებს საკუთარ მოსაზრებები გაუზიარეს ფავორიტებმა.

*„შარშან ჩვენ აქ წარმატებით გამოვდიოდით. ახლაც კარგი მანქანა გვყავს. ასე რომ, მოუთმენლად ველი ტრასაზე გასვლას"*, - განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონატის ლიდერმა **სებასტიან ფეტელმა**.

მისი პარტნიორი მარკ უებერიც ოპტიმიზმით უყურებს მომავალ რბოლას. *„აქ წინა რბოლებში არ მიმართლებდა, ასე რომ, ცუდი ტრადიციის შეწყვეტის სურვილი მაქვს*, - ამბობს ავსტრალიელი. - *შევეცდებით დავამტკიცოთ ჩვენი უპირატესობა სისწრაფეში, თუმცა ბრძოლა ძალიან დაძაბული იქნება"*.

*„ზედიზედ რამდენიმე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ მინდა გამარჯვებაზე ვიფიქრო*, - განაცხადა „მაკლარენის" პილოტმა **ლუის ჰემილტონმა**. - *ვალენსიაში ტრასა მომწონს, ასე რომ, ბოლომდე ვიბრძოლებთ. იმედია, ამჯერად მაინც გამიმართლებს"*.

საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფი **ჯენსონ ბატონი** დარწმუნებულია, რომ „მაკლარენის" ბოლიდი შეძლებს „რედ ბულთან" თანაბრად ბრძოლას. *„დარწმუნებული ვარ, შევძლებთ ღირსეული წინააღმდეგობის გაწევას. ეს ტრასა რაღაცით ჰგავს მონაკოსა და მონრეალის ტრასებს*, - ამბობს ბატონი. - *აქ ძალიან რთულია გასწრება და ამიტომაც მნიშვნელოვანი იქნება კვალიფიკაციაში წარმატებით გამოსვლა"*.

**ევროპის გრანპრი**

**ტრასა** - ვალენსია, ესპანეთი
**წრის სიგრძე** - 5 419 მ
**წრეების რაოდენობა** - 57
**წრის რეკორდი** - 1.38,683 (ტიმო გლოკი, 2009)
**შარშანდელი გამარჯვებული** - სებასტიან ფეტელი (რედ ბული)

**საერთო ჩათვლა**

1. სებასტიან ფეტელი (**რედ ბული**) - **161 ქულა**
2. ჯენსონ ბატონი (**მაკლარენი**) - **101**
3. მარკ უებერი (**რედ ბული**) - **94**
4. ლუის ჰემილტონი (**მაკლარენი**) - **85**
5. ფერნანდო ალონსო (**ფერარი**) - **69**

**გრანპრის განრიგი**

24 ივნისი, 12:00 - **I ვარჯიში**
24 ივნისი, 16:00 - **II ვარჯიში**
25 ივნისი, 13:00 - **III ვარჯიში**
25 ივნისი, 16:00 - **კვალიფიკაცია**
26 ივნისი, 16:00 - **რბოლა**

# რონ არტესტი სახელს იცვლის

## დალასის აღლუმი 341 ათასი დაჯდა

უცნაური გადაწყვეტილება მიიღო „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ფორვარდმა **რონ არტესტმა** - მან სახელის შეცვლა გადაწყვიტა. რონს უნდა ამიერიდან **მეტა უორლდ პისი** (Metta World Peace) დაუძახონ. კალათბურთელმა უკვე შეიტანა ყველა საჭირო დოკუმენტი ლოს ანჯელესის სასამართლოში. „ლეიკერსის" წევრმა ეს გადაწყვეტილება პირადი მიზეზით მიიღო.

არტესტის განცხადებას 26 აგვისტოს განიხილავენ.

■ ■ ■

„დალას მავერიქსის" მფლობელმა **მარკ ქიუბანმა** ქალაქის მთავრობისგან NBA-ის ჩემპიონობის აღსანიშნავი აღლუმის ანგარიში მიიღო. დანახარჯის ანაზღაურებას ქიუბანი საკუთარი ჯიბიდან აპირებს.

აღლუმის საერთო ღირებულებამ 341 ათასი დოლარი შეადგინა. ყველაზე ძვირი (270 ათასი) დაჯდა 540 პოლიციელის დაქირავება. სახანძრო სამსახურის მომსახურება 54 ათასი ღირდა, ყველაზე იაფი იყო აღლუმის დროს ქუჩაში დატოვებული ნაგვის დასუფთავება - 843 დოლარი.

საჩემპიონო აღლუმს 250 ათასი დალასელი დაესწრო.

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ახალი მთავარი მწვრთნელი **მაიკ ბრაუნი** სასწრაფოდ ითხოვს თავისი გუნდის რიგების **ანდერსონ ვარეჟაოთი** შევსებას. ეს ბრაზილიელი „კლივლენდში" ბრაუნის შეგირდი იყო. კალიფორნიელთა დამრიგებლის აზრით, სწორედ ასეთი ხისტი მოთამაშე არ ჰყოფნის „ლეიკერსს" შემადგენლობაში.

■ ■ ■

გუშინ ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა" ორ კარგ კალათბურთელს გამოეთხოვა - კლუბი დატოვეს ამერიკელებმა **ალან ანდერსონმა** და **ტერენს მორისმა**. სამაგიეროდ, კატალონურმა გრანდმა კონტრაქტი გააფორმა უნივერსალ **ჩაკ ეიდსონთან**, რომელიც ევროლიგის ჩემპიონ თელ-ავივის „მაკაბიდან" გადაიბირა.



დალასის აღლუმი



ფიშერი უკან დახევას არ აპირებს

# სეზონი ჩამლილია?

*რამდენიმე წყარო გვატყობინებს, რომ გაიმართა NBA-ის კლუბების მფლობელებისა და მოთამაშეების მორიგი შეხვედრა. მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი ძალიან წარუმატებელი იყო.*

*მოთამაშეთა პროფკავშირის ხელმძღვანელის **ბილი ჰანტერის** მხრიდან ისმოდა ფრაზები, რომელიც ნამდვილად ვერ დააიმედებდა კალათბურთის მოყვარულებს. ბოსების მოთხოვნებს მან „გიგანტური", „მიუღებელი" და „აბსურდული" უწოდა. ლიგის კალათბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა** ასევე განაცხადა - მე და ჩემი კოლეგები ძალიან შორს ვართ იმისგან, რომ მფლობელების წინაშე დათმობებზე წავიდეთო. „მათ სურთ ის ფულიც წაგვართვან, რომელიც გასულ სეზონში გამოვიმუშავეთ"*, - ამბობს „ლეიკერსის" მცველი.

*როგორც ჩანს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მართლაც ვერ აიცილებენ თავიდან ლოკაუტს. თუმცა ეს ისედაც ცხადი იყო.*

● კრივი

# ჰეიმ მსაჯი შეცვალეთო

ბრიტანელმა სუპერმძიმეწონოსანმა **დევიდ ჰეიმ** უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** ბრძოლისთვის დანიშნული ამერიკელი რეფერის **ხენარო როდრიგესის** შეცვლა, მოითხოვა, - წერს გაზეთი „სანი". ჰეისა და მის გუნდს აწუხებს ის ფაქტი, რომ ადრე როდრიგესი ოთხჯერ მსაჯობდა კლიჩკოს ბრძოლებს. არ დაზუსტებულა აქვს თუ არა ბრიტანელ ჩემპიონს რეფერის შეცვლის შესაძლებლობა.

პირველად როდრიგესმა კლიჩკოს ბრძოლა 2001 წლის მარტში იმსაჯა, როცა უკრაინელმა ნოკაუტით მოუგო ამერიკელ **დერიკ ჯეფერსონს**. ერთი წლის შემდეგ ამერიკელმა რეფერმ განსაჯა კლიჩკოსა და სამხრეთაფრიკელი **ფრანსუა ბოთას** ჩხუბი და უკრაინელის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება დააფიქსირა მერვე რაუნდში.

2003 წლის მარტში როდრიგესი კლიჩკოსა და კიდევ ერთი სამხრეთფარიკელის **კორი სანდერსის** ბრძოლის მსაჯად დაინიშნა. ვლადიმერმა ის შეხვედრა მეორე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო. დაბოლოს, 2010 წლის მარტში როდრიგესმა იმსაჯა კლიჩკოსა და ამერიკელი **ედი ჩემბერსის** ორთაბრძოლა. მე-12 რაუნდის დასრულებამდე ხუთი წამით ადრე უკრაინელმა მეტოქე ნოკაუტში გაგზავნა.

კლიჩკოსა და ჰეის ბრძოლა 2 ივლისს ჰამბურგში გაიმართება. უკრაინელი IBF-სა და WBO-ის ტიტულებს დაიცავს, ბრიტანელი - WBA-ის ტიტულს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დევიდ ჰეი

● ჩოგბურთი. უიმბლდონის 10 დიადი მატჩი

# როჯერისა და პიტის ერთადერთი შეხვედრა

ორი დიადი ჩოგბურთელი - **პიტ სამპრასი** და **როჯერ ფედერერი** ერთადერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს ოფიციალურ დონეზე. ეს სწორედ უიმბლდონზე მოხდა.

ახალი ათასწლეულის პირველ უიმბლდონს ბევრი კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი. გაამართლებდა თუ არა განთესვის ახალი სისტემა (32 განთესილი ჩოგბურთელი 16-ის ნაცვლად)? შეწყვეტდა **ტიმ ჰენმანი** ბრიტანელთა 25-წლიან უიღბლო სერიას მშობლიურ ტურნირზე? დაბოლოს, მოახერხებდა თუ არა პიტ სამპრასი მეორე ცდაზე მაინც **ბიორნ ბორგის** რეკორდის გამეორებას (ზედიზედ ხუთი მოგება უიმბლდონზე). პირველი ცდა სამი მოგებით დასრულდა - 1996 წელს პიტი **რიხარდ კრაიჩეკმა** შეაჩერა. ამის შემდეგ ამერიკელმა კიდევ ოთხჯერ გაიმარჯვა. ახლა ის კვლავ პირველ ნომრად იყო განთესილი, ძალა და ამბიცია არ აკლდა ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელის რენომეს დასაფასტურებლად.

პირველ წრეში პიტმა დამაჯერებლად დაამარცხა **ფრანსისკო კლავეტი**, მეორეში მოულოდნელად დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ნაკლებად ცნობილი ბრიტანელისგან - **ბარი კოუენისგან**. პირველი ორი სეტის კანონზომიერად წაგების შემდეგ, მერსისაიდელმა შესვენებაზე ჩოგბურთისთვის არასტანდარტული წესით სცადა განწყობის შექმნა. ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა 2005 წლამდე, როცა ლეგენდარულმა სიმღერამ - You'll Never Walk Alone არნახული გმირობა ჩაადენინა „ლივერპულის" ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ასე რომ, კოუენი გახდა იმ დიადი გამარჯვების ერთგვარი წინამორბედი. ბრიტანელმა მოიგო მომდევნო ორი სეტი, მხნედ იბრძოლა მეხუთეში, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო. სამპრასმა აიღო გადამწყვეტი პარტია და მესამე წრეში გავიდა, სადაც უპრობლემოდ დაამარცხა **სარგის სარგსიანი**. მომდევნო მონინააღმდეგე ახალგაზრდა და ნიჭიერი იყო, მაგრამ პიტი ბევრჯერ გამკლავებია ასეთ ვუნდერკინდებს. მეტოქეს როჯერ ფედერერი ერქვა...

იუნიორებს შორის ერთეულთა და წყვილთა თანრიგში უიმბლდონის ჩემპიონი (1998) მესამედ თამაშობდა „დიდების" ტურნირზე. თუმცა მანამდე დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია - ორივეჯერ პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას: ჯერ **ირჟი ნოვაკთან**, შემდეგ **ევგენი კაფელნიკოვთან**. 2001 წელს შვეიცარიელი უკვე გაუშინაურდა უფროს კოლეგებთან თამაშს და მე-15 ნომრად იყო განთესილი. სამპრასამდე მას ორმაგი ბელგიური ბარიერის გადალახვამ მოუწია **კრისტოფ როხუსისა** და **ქსავიე მალისეს** სახით. ამასთან, მეორე ბელგიელმა თითქმის გაიმეორა დრამატული მატჩი სამპრასსა და კოუენს შორის. იქაც ორი სეტი ფავორიტმა მოიგო, შემდეგ ანგარიში გათანაბრდა და ყველაფერი მეხუთე პარტიაში გადაწყდა. განსხვავება ის იყო, რომ თითოეულ პარტიაში ნაკლები ბრძოლა შეინიშნებოდა. **იონას ბიორკმანის** სამ სეტში დამარცხების შემდეგ შვეიცარიელი უიმბლდონის მთავარ ფავორიტზე გავიდა.

...

ეს მატჩი სიმბოლოებით იყო სავსე. როჯერი ათი წლით უმცროსი გახლდათ თავის დიად მეტოქეზე. სამპრასი ცენტრალური კორტის ხშირი სტუმარი იყო, ფედერერს კი დებიუტი ჰქონდა მთავარ არენაზე. თუ კრაიჩეკთან 1996 წლის მეოთხედფინალში წაგებიდან დავითვლით, პიტს უიმბლდონზე ზედიზედ 31 მატჩი ჰქონდა მოგებული და თუ ფედერერს დაამარცხებდა, ბრიტანულ ბალახზე საიუბილეო - მეასე გამარჯვებას იზეიმებდა.

ისინი ბევრი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს. თითქმის ერთი სიმაღლის, ერთნაირი სათამაშო მანერით. „ნაიკის" ერთნაირი ფორმა ეცვათ და ჩოგნებიც ერთნაირი ჰქონდათ - Wilson ProStaff Original 6.0 85!

პირველი ამერიკელი აწვდიდა. თამაში დაიწყო.

პირველ სეტში მეტოქეები მორიგეობით იღებდნენ საკუთარ მონოდებას. ორივეს მხრიდან თითქმის უშეცდომო თამაში ლოგიკურად ტაი-ბრეიკით დასრულდა. აქ კი ფედერერს გაუმართლა. თავიდან, 3:4-ზე როჯერმა აშკარად აუტში გაუშვა ბურთი, მაგრამ მსაჯმა ქულა ჩაუთვალა. შემდეგ საკუთარ სეტბოლზე ამერიკელმა ცუდად მიიღო შვეიცარიელის მონოდება. ჩემპიონი მსაჯს შეეკამათა - როჯერმა კვადრატში ვერ მოახვედრაო, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეცვლილა. სამპრასი ძალიან კარგად აწვდიდა, ტაი-ბრეიკზე ორი ეისი შეასრულა, მაგრამ ბადესთან გასვლები ყოველთვის წარმატებული არ გამოსდიოდა. ერთ-ერთი ასეთი გასვლის დროს (ფედერერის სეტბოლზე) გათამაშება უზუსტო დარტყმით დასრულდა. შვეიცარიელმა პირველი სეტი აიღო.

აშკარად ჩანდა, რომ მეორე პარტიაში მეტოქეები ზედმეტად ნერვიულობდნენ. სამპრასმა ექვსი ბრეიკ-პოინტი მისცა როჯერს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ამით ვერ ისარგებლა. მე-12 გეიმი ფედერერმა უცნაურად ჩაატარა - თავიდან ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მესამე გათამაშებისას ბადეს გაარტყა ბურთი. სამმაგი სეტბოლი მან გმირულად მოიგერია, შემდეგ კი მორიგი საჩუქარი გაუკეთა მეტოქეს, როცა მარტივ სიტუაციაში აუტში გაუშვა ბურთი. ხოლო, როცა ფედერერმა სმეში კორტს დიდი მანძილით ააცილა, ცხადი გახდა, რომ ასეთი თამაშით ის ტაი-ბრეიკს არ იმსახურებდა. 5:7 - სამპრასმა ანგარიში გაათანაბრა.

მესამე სეტის მესამე გეიმში ფედერერმა, როგორც იქნა, პირველი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ასე გაჭირვებით მოპოვებული უპირატესობა იქვე დაკარგა. სამპრასმა რამდენჯერმე ბრწყინვალედ შეასრულა შემოვლითი დარტყმა და საბოლოოდ, დაიბრუნა საკუთარი მონოდება. სეტის ბედი მეცხრე გეიმში სამპრასის მონოდებაზე გადაწყდა. თავიდან ფედერერმა დიდი მონდომების წყალობით გაათანაბრა ანგარიში თითქმის წაგებულ გეიმში, მიიღო ბრეიკ-პოინტი, რასაც ბადესთან გასული სამპრასის შეცდომა მოჰყვა სმეშის შესრულებისას. შემდეგ გეიმში როჯერმა სამჯერ იდეალურად მოაწოდა - ორ მონოდებას ამერიკელი მისწვდა, მაგრამ სხვაობა მას შემდეგ, რაც ფედერერმა ბადეს გაარტყა ბურთი უძლიერესი პირველი მონოდების შემდეგ. 15:40 - სამპრასი წინ მიდის, ცდილობს კუთხეებში ითამაშოს, მაგრამ... ბურთი ისევ ბადეს ხვდება. ფედერერს ორმაგი მატჩბოლი აქვს. შვეიცარიელმა პირველივე შანსი გამოიყენა - იდეალურად დასცა ბურთი ხაზზე. წინ წასული სამპრასი გაშეშდა, ბედნიერი ფედერერი კი მუხლებზე დაეცა. მეფე მოკვდა - გაუმარჯოს მეფეს!

■ ■ ■

მეტოქეებმა 25-25 ეისი შეასრულეს. სამპარსმა 9 ორმაგი და 22 უნებლიე შეცდომა დაუშვა, 6 ორმაგი და 16 უნებლიე ჰქონდა ფედერერს. სტატისტიკამ როჯერს 42 „ვინერსი" დაუთვალა - ერთით მეტი (სწორედ ის ფინალური დარტყმა), ვიდრე მეტოქეს. ნახევარზე მეტი ბადესთან გასვლა ორივესთვის წარმატებული გამოდგა. ისინი მართლაც ღირსეული მეტოქეები იყვნენ.

სამსაათიანმა ბრძოლამ ძალიან გამოფიტა შვეიცარიელი. მეოთხედფინალში ის ოთხ სეტში დამარცხდა (ისევ ორი ტაი-ბრეიკი) **ტიმ ჰენმანთან**, მაგრამ მორიგი ინგლისური ოცნება არ ახდა - ტიმმა ნახევარფინალში ორი მატჩბოლი ვერ გამოიყენა და დამარცხდა.

სამპრასმა კიდევ ერთხელ სცადა ძალები უიმბლდონზე, მაგრამ 2002 წლის გათამაშების მეორე წრეში მეორე შვეიცარიელთან - **გეორგ ბასტლთან** დამარცხდა. მოგვიანებით ამერიკის ღია პირველობა მოიგო და პენსიაში გავიდა, ერთი ნლის შემდეგ კი უიმბლდონზე როჯერ ფედერერის ტრიუმფი ვიხილეთ.

მატჩის შემდეგ

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

## ევროპული ბირთვული ოლიმპიადა

**ფეხბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| იაპონია-არგენტინა | 3:1 |
| იამაიკა-საფრანგეთი | 1:1 |

**ამხანაგური მაჯრები**

| | |
|---|---|
| ალემანია-დინამო (კ) | 0:2 |
| ციურიხი-ლუგანო | 0:1 |
| ლიერსი-სერკლი | 0:1 |
| მატერსბურგი-უიპეშტი | 3:0 |
| აალსტი-ვესტერლო | 0:4 |
| სიონი-ივერდონი | 4:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| სლიგო-შემროკი | 2:0 |
| ბოჰემიანსი-დროგედა | 2:0 |
| დანდალკი-გალვეი | 6:1 |
| სტ. პატრიკსი-ბრეი | 1:0 |
| უნივერსიტი-დერი | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კორკი-უოტერფორდი | 2:3 |
| შელბურნი-ეთლონი | 2:0 |
| უექსფორდი-ლიმერიკი | 2:3 |

**ინლანდია**

| | |
|---|---|
| ვესტმანაიეარი-სტიარანანი | 2:1 |
| ურალი-სკა ენერგია | 2:0 |
| გაზოვიკი-ლუჩ ენერგია | 0:0 |
| ალანია-მორდოვია | 4:0 |
| ჩერნომორეცი-დინამო (ბრ) | 2:1 |
| ფაკელი-სიბირი | 0:3 |
| ჟემჩუჟინა-შინიკი | 2:3 |
| გაზპრომი-კამაზ | 0:2 |
| ხიმკი-ენისეი | 1:0 |
| ტორპედო-ნ. ნოვგოროდი | 0:1 |
| ბალტიკა-ტორპედო (ვ) | 1:3 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-ბატე | 2:0 |
| შახტიორი-ბელშინა | 0:0 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ბანგა-ჟალგირისი | 0:1 |

**ქალთაბურთი**

**ევროგასკეტი 2011**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ლატვია | 66:57 |
| ხორვატია-პოლონეთი | 64:56 |
| ჩერნოგორია-საფრანგეთი | 73:68 |

● TV პროგრამა

**25 ივნისი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
**12:00** სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო.
**13:00** ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰაგი-აიაქსი.
**15:00** სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. რომა.
**16:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. VI დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:30** სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი.
**01:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ატლეტიკო მინეირო (LIVE).

**GMG-სპორტი**

**10:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-იტალია.
**11:45** კალათბურთი. ევროლიგა. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
**13:30** ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
**14:00** ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
**15:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. VI დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**05:45** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. დ. ალექსანდერი-ლ. მატისე. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**14:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. VI დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**01:25** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ატლეტიკო მინეირო (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:55** უიმბლდონი. VI დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**HTB-პლუსი (ქალთაბურთი)**

**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ჩეხეთი. პოლონეთი (LIVE).
**22:25** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ლიტვა-ბელარუსი. პოლონეთი (LIVE).
**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-კონეკტიკუტი (LIVE).

**SPORT+**

**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:45** ავტოსპორტი. პორშეს მსოფლიო თასი. ნიურბურგრინგი. გერმანია (LIVE).
**18:00** ცურვა. პარიზის ღია პირველობა. I დღე. საფრანგეთი (LIVE).
**22:30** ცხენოსნობა. Global Champions Tour. მონაკო (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-ინგლისი. მექსიკა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. XIV ტური. სიდნეი-კოლინგუდი (LIVE).
**16:00** ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. გერმანია-ახალი ზელანდია. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**17:30** რაგბი 7. გრანპრის სერია. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კანადა-რუანდა. მექსიკა (LIVE).
**05:00** ფეხბურთი. კონკაკაფის ჩემპიონატი - ოქროს თასი. ფინალი. აშშ-მექსიკა. აშშ (LIVE).

**26 ივნისი. კვირა**

**GMG-სპორტი**

**10:00** კალათბურთი. ევროლიგა. ბარსელონა-პანათინაიკოსი.
**12:00** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ფინალი. ტულუზა-მონპელიე.
**14:30** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
**16:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. კუბა-იაპონია. შვეიცარია.
**18:00** K1. ბრძოლა წესების გარეშე.
**20:10** ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
**20:40** უიმბლდონის ისტორია. I და II ნაწილი.
**22:00** კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**20:45** რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-როსტოვი (LIVE).
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ავაი-ფლუმინენსე (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**18:25** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-ყუბანი (LIVE).
**20:45** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრასნოდარი-ანჟი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**13:55** რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-ვოლგა (LIVE).
**16:15** რუსეთის ჩემპიონატი. ამკარი-ცსკა (LIVE).
**18:30** რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-ტერეკი (LIVE).
**20:45** რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-როსტოვი (LIVE).

**HTB-პლუსი (ქალთაბურთი)**

**17:25** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-საფრანგეთი. პოლონეთი (LIVE).
**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ხორვატია. პოლონეთი (LIVE).
**22:25** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ლატვია-ჩერნოგორია. პოლონეთი (LIVE).
**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ინდიანა (LIVE).

**SPORT+**

**20:45** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ლოკომოტივი (LIVE).

**EUROSPORT**

**11:30** ავტოსპორტი. GP3-ის სერია. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-საფრანგეთი. გერმანია (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-კანადა. გერმანია (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-პანამა. მექსიკა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:30** ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. ჩინეთი-არგენტინა. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**16:00** რაგბი 7. გრანპრის სერია. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**17:15** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სინგაპურის თასი. ფინალი (LIVE).
**19:00** ცურვა. პარიზის ღია პირველობა. II დღე. საფრანგეთი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბურკინა ფასო-ეკვადორი. მექსიკა (LIVE).

ჰოკეი

## სეზონი 6 ოქტომბერს იწყება



ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ 2011-12 წლების სეზონის რეგულარული ჩემპიონატის კალენდარი გამოაქვეყნა. გახსნის დღეს - 6 ოქტომბერს სამი მატჩი გაიმართება: „ბოსტონი“-“ფილადელფია“, „ტორონტო“-“მონრეალი“ და „ვანკუვერი“-“პიტსბურგი“.

სეზონის დასაწყისში ევროპაში ოთხი მატჩი გაიმართება: „ბაფალო“-“ანაჰაიმი“ (ჰელსინკი, 7 ოქტომბერი), „ლოს ანჯელესი“-“რეინჯერსი“ (სტოკჰოლმი, 7 ოქტომბერი), „ანაჰაიმი“-“რეინჯერსი“ (სტოკჰოლმი, 8 ოქტომბერი) და „ლოს ანჯელესი“-“ბაფალო“ (ბერლინი, 8 ოქტომბერი).

ლიგის ახალბედა „ვიპინეგი“ პირველ მატჩს 9 ოქტომბერს „მონრეალის“ წინააღმდეგ ჩაატარებს. NHL-ის ვარსკვლავური უქმეები 26-30 იანვარს გაიმართება. რეგულარული ჩემპიონატი 7 აპრილს იხურება. ეს არის ერთადერთი დღე სეზონში, როცა ლიგის ყველა გუნდი გავა ყინულზე.

ველოსპორტი

## 500-სინჯიანი ტური

ფრანგული ანტისადოპინგო სააგენტო და ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი ტურ დე ფრანსის მსვლელობისას თანამშრომლობის ხელშეკრულებას გააფორმებენ.

ფრანგული ველომარათონის მსვლელობისას დოპინგოფიცრების ორი ჯგუფი დოპინგსინჯებს შეაგროვებს. აგრეთვე ტესტებს ჩაატარებენ ტურ დე ფრანსის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ველომრბოლთა კავშირის ექიმის **მარიო ძორძოლის** თქმით, წლევანდელ ტურზე დაახლოებით იმდენივე სინჯს აიღებენ, რამდენიც შარშან. ეს რიცხვი დაახლოებით 500-ს უდრის.

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი და საფრანგეთის ანტისადოპინგო სამსახური წელს „პარიზი-ნიცასა“ და „დოფინე ლიბერეს“ რბოლებისას თანამშრომლობდნენ.

კრივი

## სუპერსიქსი ოქტომბერში დასრულდება

საშუალონონოსანთა ტურნირის - Super Six-ის ფინალი 29 ოქტომბერს გაიმართება. როგორც ცნობილია, გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **ანდრე უორდი** და WBC-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელი, ბრიტანელი **კარლ ფროჩი**. ამ ჩხუბში გაირკვევა უძლიერესი 76 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

ბრძოლის ჩატარების სავარაუდო ადგილია ლას ვეგასი და ნიუ იორკი. *„დაჟინებით ვითხოვ ამ ბრძოლის ორგანიზაციას ლას ვეგასში,* - განაცხადა ფორჩმა. - *ეს მსოფლიოს საკრივო დედაქალაქია და იქაურ აფიშებზე საკუთარი სახელის ხილვა შესანიშნავი იქნება. ყველა მოკრივე ოცნებობს ლას ვეგასში ჩხუბს და არც მე ვარ გამონაკლისი. იმედია, ყველაფერი გამოვა“.*

ფორმულა 1

## პერესი ევროპაზეც არ იქნება?

„ზაუბერის“ პილოტი **სერხიო პერესი** იმედს გამოთქვამს, რომ მოახერხებს მონაწილეობის მიღებას ევროპის გრანპრიში, რომელიც ამ უქმეებზე ვალენსიაში გაიმართება. მექსიკელმა პილოტმა გამოტოვა ორი კვირის წინ კანადის გრანპრი. ის სერიოზულ ავარიაში მოხვდა მონაკოს საკვალიფიკაციო რბოლაში. მონრეალში ის გრანპრიში მონაწილეობას აპირებდა, მაგრამ პირველ პრაქტიკამდე ერთი დღით ადრე თავი ცუდად იგრძნო და უარი თქვა გამოსვლაზე.

*„ახლა ასი პროცენტით მზად ვგრძნობ თავს,* - ამბობს BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში პერესი. - *ნამდვილად დავჯდები საჭესთან, მაგრამ თუ ისევ თავბრუსხვევა ვიგრძენი, მაშინ რბოლაზე უარის თქმა მომიწევს. იმედია, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება“.*

კვირის ბოლოს

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

ჩოგბურთი

უიმბლდონი 2011

ცვეტანა პირონკოვა

# რუსები ფავორიტებს კარგავენ

გუშინდელი დღის მთავარი მოულოდნელობები რუს ჩოგბურთელებს უკავშირდებათ. ტურნირს გამოეთიშა შარშანდელი ფინალისტი **ვერა ზვონარევა**, რომელმაც უშანსოდ დათმო შეხვედრა **ცვეტანა პირონკოვასთან** - 2:6, 3:6. როგორც ჩანს, ბულგარელს შარშან ნახევარფინალში წაგებისთვის ძალიან უნდოდა შურისძიება, ამიტომაც გუშინ უნაკლო ჩოგბურთი აჩვენა და საათსა და 17 წუთის განმავლობაში მხოლოდ 4 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა. ზვონარევამ მხოლოდ ერთი ბრეიკი გააკეთა და ოთხჯერ წააგო საკუთარი მონოდება. ეს იყო ამ ჩოგბურთელთა მესამე შეხვედრა და პირონკოვამ მეორედ მოუგო რუსული ჩოგბურთის პირველ ნომერს.

მეორე რუსული სენსაცია **სვეტლანა კუზნეცოვას** სახელს უკავშირდება. ქართველი **ანა ტატიშვილის** მძლეველმა **იანინა ვიკმაიერმა** ჩვენებურთან რთული სამსეტიანი მატჩის შემდეგ რუსების ერთ-ერთი იმედიც ასევე სამ პარტიაში დაამარცხა, თანაც ამჯერადაც მდევრის როლში იყო.

როგორც ჩანს, ფორმაში შედის უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი **ვენუს უილიამსი**. პირველ ორ წრეში სამსეტიანი მატჩების ჩატარების შემდეგ, ამერიკელმა გუშინ საათსა და ორ წუთში გაანადგურა ესპანელი **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი** - 6:0, 6:2. არადა, პირნეელი თითქოს კარგ ფორმაში შეხვდა უიმბლდონს, რაზეც პირველ წრეში სერბი **ელენა იანკოვიჩის** დამარცხებაც მეტყველებდა.

ახლა, ვენუს უილიამსს უიმბლდონზე 71 მოგება და 9 წაგება აქვს. ამ ტურნირზე გამარჯვებების რაოდენობით ის მხოლოდ **მარტინა ნავრატილოვას** (120), **კრის ევერტსა** (96) და **შტეფი გრაფს** (74) ჩამორჩება.

უფროსი უილიამსი მეოთხე წრეში ზვონარევას მძლეველ პირონკოვას შეხვდება და თავად მოუწევს რევანშზე ზრუნვა, რადგან შარშან მეოთხედფინალში სწორედ ბულგარელმა გამოთიშა ბრძოლას.

ძალიან საიმედო და სტაბილური თამაში აჩვენა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**. დანიელი პირონკოვაზე შორს წავიდა და მხოლოდ ერთი (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა **ვირჟინ რაზანოსთან** შეხვედრაში - 6:1, 6:3. ფრანგმა ბოლოსკენ გაიბრძოლა, როცა 5:2-ზე სამი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ მომდევნო გეიმში ვოზნიაცკიმ მატჩზე დამაჯერებლად ჩააწოდა.

გვარიანად ანერვიულა თავისი გულშემატკივრები **მარია შარაპოვამ**. 17 წლის ბრიტანელ **ლაურა რობსონთან** პირველ სეტს 1:4-ს აგებდა, შემდეგ ტაიბრეიკზეც ჩამორჩა (2:4), მაგრამ ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და რუსმა გადალახა უიმბლდონის იუნიორთა ყოფილი ჩემპიონის ბარიერი.

■ ■ ■

მამაკაცებს შორის ერთი მატჩი უნდა გამოვყოთ - უიმბლდონის სამგზის ფინალისტის **ენდი როდიკის** წლევანდელი ლაშქრობა ბრიტანულ ბალახზე კვლავ წარუმატებლად დასრულდა. არადა, ამერიკელი დამარცხდა **ფელისიანო ლოპესთან**, რომელთანაც მანამდე შვიდიდან შვიდი მატჩი ჰქონდა მოგებული.

ესპანელმა უმაღლესი დონის ჩოგბურთი აჩვენა. მის ანგარიშზე იყო 28 ეისი, 57 „ვინერსი“, ორი ბრეიკი და მხოლოდ შვიდი უნებლიე შეცდომა.

წვიმის გამო მამაკაცებს შორის მესამე წრის ხუთი შეხვედრის დასრულება ვერ მოესწრო. ერთ-ერთი იყო მოქმედი ჩემპიონის **რაფაელ ნადალისა** და ლუქსემბურგელი **ჟილ მიულერის** მატჩი. ჩოგბურთელებმა მხოლოდ პირველი სეტის თამაში მოასწრეს და ესპანელი სასწაულებრივ გადაურჩა წაგებას. 5:6-ზე ნადალმა საკუთარი მოწოდებისას ორი სეტბოლი მოიგერია, ტაი-ბრეიკზე კი ბოლოსკენ გატეხა ლუქსემბურგელის წინააღმდეგობა - 8:6.

სეტის შემდეგ ნადალმა სამედიცინო ტაიმ-აუტი მოითხოვა, იქვე წვიმაც წამოვიდა და რაფას დასვენების საშუალება მიეცა.

**კაცები**

**II წრე**

**დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:7, 6:1, 4:6, 6:3, 6:2; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-იგორ ანდრეევი (რუს) 4:6, 5:7, 6:3, 6:4, 6:1; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 11)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:3, 2:6, 7:6, 7:6.

**III წრე**

**რიშარ გასკე (საფ, 17)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:3, 6:2, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ენდი როდიკი (აშშ, 8) 7:6, 7:6, 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 6:4, 4:6, 6:1, 7:6.

**ქალები**

**II წრე**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:1, 6:3; **შუია პენგი (ჩინ, 20)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 4:6, 6:2, 7:5; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-ლაურა რობსონი (ბრიტ) 7:6, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 4:6, 7:5, 6:2.

**III წრე**

**ქსენია პერვაკი (რუს)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 11) 6:4, 7:6; **ნადია პეტროვა (რუს)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:3, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 25) 6:3, 3:6, 6:2; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-რობერტა ვინჩი (იტა, 29) 6:3, 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 19)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 12) 4:6, 6:3, 6:4; **ვენუს უილიამსი (აშშ, 23)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:0, 6:2; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 32)**-ვერა ზვონარევა (რუს, 2) 6:2, 6:3.

## ყველაზე მყვირალა აზარენკა

უიმბლდონის საჩოგბურთო კლუბის თავმჯდომარე **იან რიტჩი** ბრძოლას უცხადებს მატჩების დროს ქალი ჩოგბურთელების ყვირილსა და კვნესას. ის სპეციალური მიმართვით გამოვიდა, რომელშიც მოუწოდა გოგონებს, თავი შეიკავონ დარტყმის მომენტში ყვირილისგან, რაც ასე აღიზიანებს გულშემატკივარს და ხელს უშლის მეტოქეს კონცენტრირებაში. ინგლისელის აზრით, ასეთი საქციელი, როგორც წესი, ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ახასიათებთ.

*„მათ რიგებში უკულტურობაა გამეფებული“,* - დაასკვნა რიტჩიმ.

უიმბლდონის კორტების სიმშვიდეს ყველაზე მეტად ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** არღვევს. პირველი წრის მატჩში სპეციალურმა აპარატურამ 95 დეციბელის სიმძლავრის ხმა დააფიქსირა, რომელიც 1.5 წამი გაგრძელდა.

თუმცა აზარენკამ მაინც ვერ დაამხო **მარია შარაპოვას** რეკორდი, რომელიც 2009 წლის უიმბლდონის დროს არის დამყარებული - მაშინ რუსმა ჩოგბურთელმა 101.2 დეციბელის სიმძლავრის ხმა გამოსცა კორტზე! სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ მაშინ შარაპოვამ ბენზინის ხერხის ხმა გადაფარა და მხოლოდ აფრენის მომენტში „ბოინგის“ ხმაურს ჩამორჩა.

ფედერერის პორტრეტი

## 70-მეტრიანი ფედერერი

**როჯერ ფედერერის** ერთ-ერთმა სპონსორმა - კომპანია Gillette-მა შვეიცარიელი ჩოგბურთელის მხარდასაჭერი სპეციალური აქცია გამართა. ლონდონის ერთ-ერთ მინდორზე მან როჯერის გრანდიოზული პორტრეტი დახატა, რომელიც სიმაღლეში 70 მეტრია, საერთო ფართობი კი 2800 კვადრატულ მეტრს უდრის.

გამოსახულება შეიქმნა სხვადასხვა ტონალობის მწვანე ფერის ეკოლოგიურად სუფთა საღებავისგან. შემდეგ პორტრეტი Gillette-ის გიგანტური სამართებლისა და 1000 ლიტრი საპარსი ქაფის მეშვეობით „გაპარსეს“.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**